



# ბიზნესის განვითარებისა და გაციფრულების ხელშეწყობა საქართველოში



ბიზნესის განვითარებისა და  
გაციფრულების ხელშეწყობა  
საქართველოში



# წინასიტყვაობა

საქართველოს მთავრობამ გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალისხმევა წარმართა კერძო სექტორის განვითარებისა და მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად, კერძოდ კი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად. OECD-ი მხარს უჭერს ამ რეფორმებს და მჭიდროდ თანამშრომლობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან (MoESD) არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების და შესაბამისი ზომების შემუშავების მიზნით ქართული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელსაყრელი პოლიტიკის გარემოს შესაქმნელად. საქართველომ მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის შეფასების სამ რაუნდში, და დასახელდა, როგორც ამ თვალსაზრისით საუკეთესო შედეგების მქონე ქვეყანა. ამ შეფასებების შედეგები ასახული იქნა OECD-ის შესაბამისი პუბლიკაციებში - *მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი*: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები 2012, 2016 და 2020. პარალელურად, ქვეყნის დონეზე, OECD-მ მხარი დაუჭირა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2020 წლების შემუშავებას და შეაფასა 2018 წელს განხორციელების პროცესში მიღწეული პროგრესი. ამ ღონისძიებების განხორციელების შემდგომ და MoESD-ის მოთხოვნით, OECD-მ დახმარება გაუწია საქართველოს ახალი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მომზადებაში. სტრატეგია 2021-2025 (შემდგომში „სტრატეგია“) და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა განხორციელების პირველი პერიოდისთვის ეფუძნება მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის უახლესი ინდექსის შედეგებს (OECD et al., 2020<sup>[1]</sup>).

ეს პროექტი განხორციელდა პროგრამის ფარგლებში *EU4Business: პოლიტიკიდან მოქმედებამდე*. პროექტი ორიენტირებული იყო რამდენიმე ქვეყნის მონაწილეობაზე და განხორციელდა OECD-ის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და ევროკავშირთან და GIZ-თან მჭიდრო თანამშრომლობით. MoESD-მ შექმნა სპეციალური საჯარო-კერძო სამუშაო ჯგუფი სტრატეგიის შესამუშავებლად, რომელიც რამდენჯერმე შეიკრიბა 2020-2021 წლების განმავლობაში, მათ შორის, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა მოეწყო 2020 წლის სექტემბერში და 2021 წლის მარტში, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე არსებული გამოწვევების და რეფორმების პრიორიტეტების განხილვის მიზნით. OECD-მ ასევე დახმარება გაუწია ქვეყანას პირველი სამოქმედო გეგმის ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯების განსაზღვრაში ამ მიზნით მოწყობილი სამი ტექნიკური სემინარის მეშვეობით, სადაც სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს ხარჯების გაანგარიშების მეთოდოლოგია და იმუშავეს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროექტიდან აღებულ კონკრეტულ მაგალითებზე. სტრატეგიის საბოლოო ვერსია საქართველოს მთავრობამ 2021 წლის ივლისის შუა რიცხვებში დაამტკიცა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაო ჩატარდა *EU4Business: პოლიტიკიდან მოქმედებამდე* პროექტის 1-ლი ეტაპის ფარგლებში, 2021 წლის მაისში დაწყებული EU4Business პროექტის მე-2 ფაზა მიზნად ისახავს დაეხმაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს უფრო ქმედით განვითარებაში მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრების მხარდაჭერაზე ყურადღების გამახვილების გზით. ამ კონტექსტში, და სტრატეგიაზე მუშაობის შემდგომი ეტაპის სახით, OECD-ი ეხმარება საქართველოს მთავრობას შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის დასაჩქარებლად. ამასთან დაკავშირებით, 2021 წლის ივნისსა და ოქტომბერში გაიმართა სამუშაო ჯგუფის ორი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მაღალი რანგის პოლიტიკოსებმა, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა და საერთაშორისო პრაქტიკოსებმა და ექსპერტებმა OECD-ის ქვეყნებიდან, ასევე ევროკავშირისა და OECD-ის წარმომადგენლებმა.

ამ ორი მიმართულებით მუშაობის შედეგად შემუშავდა პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტი:

- პირველ ნაწილში შეჯამებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის შეფასება და რეკომენდაციები, ასევე, ყურადღება გამახვილებულია განხორციელებულ ზომებზე და დამატებით ნაბიჯებზე, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იქნას სამომავლო სამოქმედო გეგმების განხორციელების პერიოდისთვის;
- მეორე ნაწილი ეძღვნება მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულებას საქართველოში, და მასში მიმოხილულია მიმდინარე მდგომარეობა, როგორც ჩარჩო პირობების, ისე მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების სპეციალური მხარდაჭერის პროგრამების თვალსაზრისით, და შემოთავაზებულია რამდენიმე პოლიტიკური არჩევანი მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარების მიზნით.

ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო დისკუსიას საქართველოს პარტნიორთა მხრიდან მიმოხილვისას OECD-ის ევრაზიის კონკურენტუნარიანობის მრგვალ მაგიდაზე (2021 წლის ნოემბერი).

# მადლიერების ნიშნად

წინამდებარე ანგარიშში შეჯამებულია OECD-ის ევრაზიის კონკურენტუნარიანობის პროგრამის (ECP) ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები, რომელიც OECD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის საინიციატივო კომიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციებით და საქართველოს კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. პროექტის კომპონენტი „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის შემუშავება“ განხორციელდა ევროკავშირთან და GIZ საქართველოს ოფისთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საქართველოს რამდენიმე სამინისტროს, სამთავრობო უწყების, კერძო სექტორის ასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს მადლობა გვსურს გადავუხადოთ სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში მათი აქტიური მონაწილეობისთვის და მათი მზაობისთვის ითანამშრომლონ OECD-ს გუნდთან და გაუზიარონ მას ღირებული მოსაზრებები ამ დოკუმენტის შემუშავებაში დახმარების გასაწევად.

კერძოდ, OECD მადლობას ვუხდით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემდეგ წარმომადგენლებს: ეკატერინე მიქაბაძეს (მინისტრის ყოფილი მოადგილე), გურამ გურამიშვილს და ირაკლი ნადარეიშვილს (მინისტრის მოადგილეები), ცისნამი საბაძეს (ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი), ეკა ყუბუსიძეს (ტელეკომუნიკაციების, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი) და გიორგი დაფქვიაშვილი (ელექტრონული კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სამმართველოს უფროსი).

OECD ასევე მადლობას უხდის საქართველოს მთავრობის სხვა წარმომადგენლებს, სამთავრობო უწყებებს და სხვა საჯარო დაწესებულებებს პროექტში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, განსაკუთრებით კი, თამარ ქიტიაშვილს (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე); აწარმოე საქართველოს წარმომადგენლებს - მიხეილ ხიდურელს (აღმასრულებელი დირექტორი), თორნიკე ზირაქიშვილს (დირექტორის მოადგილე), ირაკლი გაბრიამეს (დირექტორის მოადგილე); ავთანდილ კასრაძეს (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე); და ეკა გორდაძეს (ციფრული მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებების მენეჯერი, ციფრული მმართველობის სააგენტო).

ანგარიშის შემუშავებისა და სამუშაო ჯგუფის დისკუსიების პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ შეტანილმა მნიშვნელოვანმა წვლილმა და გამოთქმულმა მოსაზრებებმა. ამისთვის მადლობას ვუხდით: ნანა ცერცვაძეს (საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე), მაგდა ბოლოთაშვილს

(საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე), გვანცა მელაძეს (სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA)) და ნინო ელიზბარაშვილს (საქართველოს ასოციაცია ქალები ბიზნესში).

არაერთმა საერთაშორისო ექსპერტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანგარიშის მომზადებასა და სამუშაო ჯგუფის დისკუსიებში, მათ შორის, იანემ სუსტერსიკმა (ექსპერტი მონიტორინგის, შეფასების და ხარჯების დადგენაში), ხესუს ლოზანომ (IT მეწარმე და მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების უფროსი ექსპერტი), და GIZ საქართველოს ოფისის წარმომადგენელმა ჰანს-იურგენ კასენსმა (პროგრამის დირექტორი), ფილიპ სტეინჰაიმმა (გუნდის ხელმძღვანელი, Clusters4Development), მარინა ავალიშვილი-დე ბურმა (პროგრამის ექსპერტი), სელმა ულრიხსმა (საქართველოს გუნდის ხელმძღვანელი) და ქეთევან გორგოშიძემ (SME-ის სამოქმედო გეგმის ხარჯთაღრიცხვის ყოფილი კოორდინატორი). სამუშაო ჯგუფის ზოგიერთ შეხვედრაში მონაწილეობდნენ დამატებითი ექსპერტები, მათ შორის ისაე სპინუ (მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების და IT მხარდაჭერის ხელმძღვანელი, მოლდოვის მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარების ორგანიზაცია) და ელიფ კოკსალ-ოდოტი (ეკონომისტი, OECD-ს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დირექტორატი).

ევროკავშირმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწია ამ პროექტს EU4Business ინიციატივის ფარგლებში. ჰოა-ბინ ადჯემიანმა (ეკონომიკური განვითარების სექტორის ხელმძღვანელი), მიქაელა ჰაუფმა (საქართველოს გუნდის ყოფილი ხელმძღვანელი), და მაიკლ რუპ (საქართველოს გუნდის ამჟამინდელი ხელმძღვანელი), ასევე, DG NEAR-ისა და ევროკომისიის წარმომადგენლებმა, და დომინიკ პაპენჰაიმმა (გუნდის ხელმძღვანელი, ეკონომიკური განვითარების, საბაზრო შესაძლებლობების და საბიუჯეტო მხარდაჭერის კოორდინატორი, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში) მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მითითებები მიაწოდა და მხარდაჭერა გაუწია ამ პროექტს.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა OECD-ის გლობალური ურთიერთობების სამდივნოს დირექტორის ანდრეას შაალისა და OECD-ის ევრაზიის განყოფილების ხელმძღვანელის უილიამ ტომპსონის ხელმძღვანელობით.

პროექტს მართავდნენ OECD-ის ევრაზიის განყოფილების წარმომადგენლები - დანიელ კვადბეკი, პოლიტიკის უფროსი ანალიტიკოსი, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელი, და ფრანჩესკო ალფონსო, ეკონომისტი, დანაყოფის უფროსის მოადგილე.

ამ ანგარიშის მთავარი ავტორია სალომე უილი, და ანგარიშის მომზადებაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანა-მარია ღერსისმა (ორივე OECD ევრაზიის განყოფილების წარმომადგენლები).

ანგარიში გადასინჯული იქნა ხორხე გალვეს მენდესის (OECD-ის (ეკონომისტი საფინანსო და საწარმოთა საკითხებში) და გერჰარდ ლაგამ (ელექტრონული ცენტრისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ინიციატივის ხელმძღვანელი ავსტრიის ეკონომიკურ პალატაში); ანგარიშის გადასინჯვაში ასევე წვლილი შეიტანეს OECD-ის გარემოს დაცვის დირექტორატის წარმომადგენლებმა - კრშიშტოფ მიჩალაკმა (პროგრამის უფროსი მენეჯერი) და გაი ჰალპერნმა (პოლიტიკის ანალიტიკოსი).

უაღრესად ღირებული ადმინისტრაციული დახმარება იქნა გაწეული ევგენია კლიმენკას, მარინა ტანოვას და ელისა ლარაკოეტქესას მიერ (OECD-ს ევრაზიის განყოფილება).

# სარჩევი

წინასიტყვაობა	3
მადლიერების ნიშნად	5
აკრონიმები და აბრევიატურები	10
შემაჯამებელი შინაარსი	13
შესავალი	19
ეკონომიკური კონტექსტი	19
მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორი	22
COVID-19-ის ზეგავლენა მცირე და საშუალო საწარმოებზე	28
1 რეკომენდაციები საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021 - 2025 წლების სტრატეგიასთან დაკავშირებით	31
პრიორიტეტი 1: საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის	32
პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა	40
პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	48
პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა	54
პრიორიტეტი 5: ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის	62
პრიორიტეტი 6: ქალთა მეწარმეობის წახალისება	66
პრიორიტეტი 7: მწვანე ეკონომიკის განვითარება	71
2 მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარება	75
ხელსაყრელი გარემოს შექმნა	90
მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ციფრული ტექნოლოგიებისა და სერვისების გამოყენების ხელშეწყობა	107
სამომავლო ქმედებები: საგზაო რუკა მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების დასაჩქარებლად	111
რეფერენციები	127



## ცხრილები

ცხრილი 0.1. საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, 2015-2020	21
ცხრილი 0.2. OECD-ის მიერ შემოთავაზებული საერთო სამიზნეები ახალი სტრატეგიისთვის	26
ცხრილი 1.1. ინსტიტუციური და ოპერატიული გარემოს გაძლიერებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მიმოხილვა	38
ცხრილი 1.2. ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების მონიტორინგისთვის შემოთავაზებული KPI-ები	41
ცხრილი 1.3. სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციების მიმოხილვა	48
ცხრილი 1.4. უნარების განვითარების პოლიტიკის მონიტორინგისთვის შემოთავაზებული KPI-ები	48
ცხრილი 1.5. რეკომენდაციების მიმოხილვა მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად	54
ცხრილი 1.6. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მონიტორინგისთვის შემოთავაზებული KPI-ები	54
ცხრილი 1.7. მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის რეკომენდაციების მიმოხილვა	63
ცხრილი 1.8. მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის პროგრესის მონიტორინგისთვის შემოთავაზებული KPI-ები	63
ცხრილი 1.9. საინოვაციო ინფრასტრუქტურის სახეები საქართველოში	64
ცხრილი 1.10. მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციებისა და R&D-ის მხარდაჭერაზე მიმართული რეკომენდაციების მიმოხილვა	67
ცხრილი 1.11. ინოვაციური პოლიტიკის მონიტორინგთან დაკავშირებით შემოთავაზებული KPI-ები	68
ცხრილი 1.12. ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობაზე მიმართული რეკომენდაციების მიმოხილვა	72
ცხრილი 1.13. ქალთა მეწარმეობის პოლიტიკის მხარდაჭერის გაუმჯობესების მონიტორინგისთვის შეთავაზებული KPI-ები	70
ცხრილი 1.14. მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე მიმართული რეკომენდაციების მიმოხილვა	76
ცხრილი 1.15. მცირე და საშუალო საწარმოების გამწვანების პროგრესის მონიტორინგისთვის შემოთავაზებული KPI-ები	76
ცხრილი 2.1. ზოგიერთი დამკვიდრებული და განვითარებადი ციფრული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი	79
ცხრილი 2.2. საქართველოში ციფრული უნარების პოპულარიზაციაზე მიმართული პოლიტიკის ინიციატივების მაგალითები	107
ცხრილი 2.3. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების მხარდაჭერის არსებული საბაზრო/ტექნიკური გადაწყვეტილებების მაგალითები	126

## დიაგრამები

დიაგრამა 0.1. დამატებული ღირებულება საწარმოთა ზომის მიხედვით, 2015-2019	24
დიაგრამა 0.2. ფორმების გადანაწილება რეგიონების მიხედვით	25
დიაგრამა 0.3. საქართველოს SME პოლიტიკის ინდექსის ქულები	24
დიაგრამა 0.4. 2016-2020 წლების SME განვითარების სტრატეგიის საერთო სამიზნეები	27
დიაგრამა 0.5. საქართველოში SME პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩო	30
დიაგრამა 0.6. COVID-19-ის კრიზისის ზეგავლენა საქართველოს SME-ებზე	31
სურათი 1.1. ძირითადი დაბრკოლებები, რომლებსაც მცირე და საშუალო ბიზნესი აწყდება	44
დიაგრამა 1.2. ქართული ფორმების ექსპორტი მათი ზომის მიხედვით	56
დიაგრამა 1.3. ქართული ფორმების ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით	58
დიაგრამა 1.4. განათლება სქესის მიხედვით, 2020	67
დიაგრამა 1.5. საბანკო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ბარიერები სქესის მიხედვით, 2019 წ.	70
დიაგრამა 2.1. COVID-19-ის გავლენა ბიზნესის ონლაინ აქტივობაზე, ფირმის ზომის მიხედვით	83
დიაგრამა 2.2. აღმოსავლეთ პარტნიორობის, OECD-ის და ევროკავშირის 8 ქვეყნებში ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ინტერნეტ აქტივობები	84
დიაგრამა 2.3. ციფრული ტექნოლოგიების გავრცელების ტემპები, ტექნოლოგიებისა და საწარმოების ზომების კლასის მიხედვით	8486
დიაგრამა 2.4. მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის ჩარჩო EaP-ში	87
დიაგრამა 2.5. გაციფრულების ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში	92
დიაგრამა 2.6. ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტების ზრდა საქართველოში EaP, EU და OECD-თან შედარებით	93
დიაგრამა 2.7. მობილური ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტთა რაოდენობის ზრდა საქართველოში EaP, EU და OECD-თან შედარებით	94

დიაგრამა 2.8. EaP-ის ქვეყნების რეგიონებში არსებული განსხვავებები	95
დიაგრამა 2.9 საქართველოს რეგიონებში არსებული განსხვავებები, 2012-2019	95
დიაგრამა 2.10. ICT ფასები – ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირი	97
დიაგრამა 2.11. ICT ფასები – მობილური ფართოზოლოვანი კავშირი	97
დიაგრამა 2.12. საქართველოს ქულები კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში 2020, თითოეული მიმართულებით	102
დიაგრამა 2.13. ICT უნარები EaP-ის, OECD-ის და EU-8 ქვეყნებში	105
დიაგრამა 2.14. „რეცეპტი“ პოლიტიკის შემქმნელებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარების მიზნით	118

## ჩანართები

ჩანართი 0.1. SME პოლიტიკის ინდექსი: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები 2020	26
ჩანართი 1.1. ადრეულ გაფრთხილებასთან და მეორე შანსთან დაკავშირებით არსებული კარგი პრაქტიკის მაგალითები	36
ჩანართი 1.2. ციფრული უნარებისადმი მრავალმხრივი მიდგომის ჩამოყალიბება	47
ჩანართი 1.3. რეგულირებასთან დაკავშირებული საექსპერიმენტო ინიციატივები	53
ჩანართი 1.4. სინგაპურის საწარმოების განვითარების პროგრამა Go Global	61
ჩანართი 2.1. მაგალითი: სამშენებლო კომპანიის მიერ ციფრული გადაწყვეტილებების მიღების ეტაპები	81
ჩანართი 2.2. საქართველოს ხელისუფლების მიერ COVID-19-ის საპასუხოდ მიღებული ციფრული გადაწყვეტილებების მაგალითები	90
ჩანართი 2.3 საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტი	110
ჩანართი 2.4. ინსტრუმენტების წყება ციფრული უსაფრთხოების პოლიტიკისთვის	118
ჩანართი 2.5. მეწარმეებს შორის გაციფრულების უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლება: ფინეთის საწარმოთა ფედერაციის (FFE) მაგალითი	120122
ჩანართი 2.6. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა გაციფრულების გზაზე: KMU Digital-ის მაგალითი	124

# აკრონიმები და აბრევიატურები

AI	ხელოვნური ინტელექტი
API	აპლიკაციის პროგრამის ინტერფეისები
ASEAN	სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია
BAG	საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BfD	ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის
CERT	კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფი
CICs	საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრები
CIS	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
ComCom	კომუნიკაციების კომისია
COSME	საწარმოთა და მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობა
CRM	მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე
DGA	ციფრული მმართველობის სააგენტო
EAD	ადრეული გაფრთხილება დანია
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
EaPeReg ქსელი	აღმოსავლეთ პარტნიორობის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელთა
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
eID	ელექტრონული პირადობა
eIDAS	ელექტრონული იდენტიფიკაციის, ავთენტიფიკაციის და ნდობის სერვისები
ERP	საწარმოო რესურსების დაგეგმვა
EU	ევროკავშირი
EUR	ევრო
FabLabs	ფაბრიკაციის ლაბორატორიები
FDI	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

FFE	ფინეთის საწარმოთა ფედერაცია
FinTech	ფინანსური ტექნოლოგია
GCCI	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
GCI	კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GDPR	მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია
GEL	ქართული ლარი
GENIE	საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემა
GITA	საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
GIZ	Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit [გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაცია]
GNBA	საქართველოს ეროვნული ბლოკჩეინის სააგენტო
GNCC	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
GoG	საქართველოს მთავრობა
GRENA	საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია
GSMEA	საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია
GUAM	დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია
ICT	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
INFE	ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელი
INSEAD	ადმინისტრაციულ საქმეთა ევროპული ინსტიტუტი
IoT	ნივთების ინტერნეტი
ISOC	ინტერნეტ საზოგადოება
IT	ინფორმაციული ტექნოლოგია
ITU	საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი
KISA	კორეის ინტერნეტ უსაფრთხოების სააგენტო
KMU	Kleine und Mittlere Unternehmen [მცირე და საშუალო საწარმოები]
KPI	შესრულების ძირითადი მაჩვენებლები
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LMIS	შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემები
MENA	ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი
MoESD	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MSME	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები
NATO	ჩრდილო - ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
NBDS	ფართოზოლოვანი ქსელის განვითარების ეროვნული სტრატეგია

NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი
NIS	ქსელები და ინფორმაციული სისტემები
NLP	ბუნებრივი ენის დამუშავება
NRA	ეროვნული მარეგულირებელი ორგანო
ODIMM	Organizația pentru Dezvoltarea Sectorului Întreprinderilor Mici și Mijlocii [მოლდოვის მცირე და საშუალო საწარმოების სექტორის განვითარების ორგანიზაცია]
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OSCE	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
PPD	საჯარო-კერძო დიალოგი
PPE	პერსონალური დამცავი აღჭურვილობა
R&D	კვლევა და განვითარება
RFID	რადიო სიხშირის იდენტიფიკაცია
RIA	რეგულირების ზემოქმედების შეფასება
RIH	რეგიონალური ინოვაციების ჰაბები
SaaS	პროგრამული უზრუნველყოფა როგორც სერვისი
SARAS სამსახური	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის
SCM	მიწოდების ჯაჭვის მართვა
SDA	საჯარო სერვისების განვითარების სააგენტო
SELFIE	თვითრეფლექსია ეფექტური სწავლის შესახებ ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობით
SME	მცირე და საშუალო საწარმოები
SMEPI	მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკის ინდექსი
STEM	მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNDP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა
US	ამერიკის შეერთებული შტატები
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო დახმარების სააგენტო
USD	აშშ დოლარი
VET	პროფესიული განათლების ტრენინგი

# შემაჯამებელი შინაარსი

მცირე და საშუალო საწარმოები (SME) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს ეკონომიკაში, და მათზე მთლიანი დასაქმების 65%-ი მოდის. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს მათ მიერ წარმოებული დამატებული ღირებულება 59.3%-ს შეადგენდა 2015 წლის 58.1%-თან შედარებით. მიუხედავად ამისა, ისინი ძირითადად წარმოდგენილი არიან დაბალი ღირებულების წარმოების პოტენციალის მქონე სექტორებში, და მათი პროდუქტიულობა ჯერ კიდევ გაცილებით დაბალია ევროკავშირის დონეებთან შედარებით. გარდა ამისა, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოები განსაკუთრებით დაზარალდა COVID-19 კრიზისის გამო, კერძოდ კი იქიდან გამომდინარე, რომ ისინი უმეტესწილად წარმოდგენილი იყვნენ პანდემიით განსაკუთრებით დაზარალებულ ისეთ სექტორებში, როგორცაა მომსახურება და ტურიზმი, სადაც ლიკვიდობის დეფიციტის მაღალი რისკი არსებობს. არსებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის ბოლოსთვის მცირე და საშუალო ფირმების დაახლოებით 5.4% და საშუალო ფირმების 2% სამუდამოდ დაიხურა (მაშინ, როდესაც მსხვილი ფირმების მხოლოდ 0.4%-ი დაიხურა), ხოლო მცირე და საშუალო ფირმების 82% და 86%-ს, შესაბამისად, განიცდიდა ლიკვიდობის ან ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის შემცირებას პანდემიის დაწყების შემდგომ პერიოდში (მსხვილი ფირმების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 68%-ს შეადგენდა). აქედან გამომდინარე, საჭიროა კონკრეტულად მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორისთვის განკუთვნილი ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სად, ინკლუზიურ, მწვანე და მედეგ ეკონომიკურ აღდგენას და მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამ მიზნით, OECD დაეხმარა საქართველოს მთავრობას პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც ეფუძნება მიმდინარე მდგომარეობის შეფასებას, მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას შემდეგი მიზნით: i) საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც 2021-2025 წლების პერიოდს მოიცავს, და მასთან დაკავშირებული პირველი სამოქმედო გეგმის მომზადება და ii) მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარება.

წინამდებარე დოკუმენტის პირველ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის და მისი პირველი სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე, და მიმოხილულია სტრატეგიის შვიდი განზომილების მიმართულებით OECD-ის მიერ გამოვლენილი ძირითადი გამოწვევები, და ასევე შემოთავაზებულია პოლიტიკის რეკომენდაციები მომავალი სამოქმედო გეგმებისა და ძირითადი შესრულების ინდიკატორების (KPIs) განხორციელების პროგრესის მონიტორინგისთვის.

- **საქართველომ საგრძნობლად გააუმჯობესა ინსტიტუციური ჩარჩო და ოპერატიული გარემო**, მაგ. პოლიტიკის შემუშავებაში საჯარო და კერძო სექტორის მონაწილეობის გაფართოებისა და ფორმალიზების, ელექტრონული მმართველობის სერვისების სწრაფად მზარდი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, ელექტრონული სახელმწიფო სერვისების დანერგვის, და უაღრესად აუცილებელი გადახდისუუნარობის ჩარჩოს რეფორმირების გზით. თუმცა, პანდემიის შედეგად წარუმატებელი ბიზნესების რაოდენობის მატება მოითხოვს მოქმედებებს რესტრუქტურირებისა და ახალი სამეწარმეო წამოწყების ხელშესაწყობად. საჭიროა რეგულაციების გადასინჯვასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების ინიციატივების გაძლიერება, რათა მცირე და საშუალო ბიზნესი უკეთ იყოს ინფორმირებული ახალი კანონმდებლობის თაობაზე; გარდა ამისა, მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ სტატისტიკა შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვდეს OECD-ის მონაცემთა ბაზების მაგალითების სახით გამოყენების გზით.
- **გადაიდგა რამდენიმე ნაბიჯი სამეწარმეო უნარებისა და კულტურის განვითარებისთვის**, მათ შორის, შეიქმნა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა, განხორციელდა არაფორმალური სწავლების ინიციატივები და ეროვნულ სასკოლო სასწავლო გეგმებში განათლების ყველა საფეხურზე დაინერგა მეწარმეობის თემა. მიუხედავად ამისა, არსებობს საჭირო უნარების მუდმივი შეუსაბამობა და შეზღუდული თანამშრომლობაა საწარმოებსა და პროფესიული განათლების მომზადების (VET) დაწესებულებებს შორის. ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სამსახურიდან გათავისუფლების გაზრდის გათვალისწინებით, საქართველომ შეიძლება განიხილოს ზომების დანერგვა, რომლებიც მიმართული იქნება გათავისუფლებული მუშაკების დახმარებაზე ახალ სამსახურში მოწყობაში, ინდუსტრიასა და პროფესიული განათლების დაწესებულებებს შორის კავშირების გაძლიერებაზე და ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე.
- **საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა უმჯობესდება** უფრო ხელსაყრელი საკრედიტო პირობების, ალტერნატიული საბანკო დაფინანსების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებებისა და ფინანსური განათლების ხელშეწყობის ინიციატივების წყალობით (მაგ. ეროვნული სტრატეგია და სახელმძღვანელო მითითებები მეწარმეებისთვის). ალტერნატიული და ციფრული დაფინანსების ინსტრუმენტები შეიძლება შემდგომ განვითარდეს სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესების გზით (მაგ., მარეგულირებელი ინიციატივები, „ბიზნეს ანგელოზის“ სამართლებრივი განმარტება, ევროკავშირის ვენჩურული კაპიტალის (VC) მოწინავე რეგულაციებთან ჰარმონიზაცია და ა.შ.). შემდგომი ნაბიჯების გადადგმა შესაძლებელია პოსტკოვიდური პერიოდისთვის მოსამზადებლად, ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტების ადაპტირებისთვის და გადახდისუუნარიანობის კრიზისის რისკის საკითხის მოსაგვარებლად.
- **მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია**, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ექსპორტი იზრდება (+41% 2015 წლიდან), რაც შეესაბამება საერთო სავაჭრო გარემოს გაუმჯობესებას, რომელიც აისახება *OECD-ს ვაჭრობის ხელშეწყობის ინდიკატორებში*. თუმცა, ექსპორტი ძირითადად შემოიფარგლება მეზობელი ბაზრებით, ნაკლებად დივერსიფიცირებულია და დაბალი დამატებული ღირებულება გააჩნია. ევროკავშირში ექსპორტი იზრდება, მაგრამ უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში. მეტი შეიძლება გაკეთდეს მუდმივი საინფორმაციო ბარიერების

ადმოსაფხვრელად და ბაზრის შესაძლებლობებისა და მოთხოვნების შესახებ ცოდნის გასაუმჯობესებლად (მაგ. ექსპორტის დახმარების საკითხებზე საკონსულტაციო ცენტრების შექმნა), ევროკავშირის ქვეყნებში მიწოდების მაღალი ხარჯების და მიწოდების დროის შესამცირებლად (მაგ. სასაწყობო შესაძლებლობების გაფართოება) და ელექტრონული კომერციის გასავითარებლად. ასევე, საჭიროა ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით არსებული არჩევანის დივერსიფიცირება ექსპორტიორი კომპანიების წინაშე არსებული ფინანსური ბარიერების დასაძლევად.

- საქართველომ გააძლიერა **ინოვაციების პოლიტიკა** და სამართლებრივი ჩარჩო სპეციალური კანონის მიღებით და ინოვაციური ინფრასტრუქტურისა და დაფინანსების ინსტრუმენტების გაფართოებით. მიუხედავად ამისა, კვლევასა და განვითარებაზე გაწეული დანახარჯები OECD-ის დონეზე გაცილებით დაბალი რჩება და ინოვაციების მხარდაჭერა არა-IT სექტორებში კვლავ შეზღუდულია. წინსვლის მისაღწევად, საქართველომ შეიძლება შემოიღოს ინოვაციების ირიბი ფინანსური მასტიმულირებელი მექანიზმები, მოთხოვნაზე ორიენტირებული პოლიტიკა და დაფინანსების ინსტრუმენტები, რომლებიც მიმართულია არა-IT სექტორებში გაციფრების მხარდაჭერაზე.
- **მეწარმე ქალთა** საერთო გარემო გაუმჯობესდა ქალთა მეწარმეობის ქვეკომიტეტის შექმნის, ახლახან მიღებულ კანონებში გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური ზომების დანერგვისა და მხარდაჭერის პროგრამებში ქალთა მონაწილეობის გაძლიერების გზით. თუმცა, ქალები კვლავ აწყდებიან უფრო მეტ სირთულეებს ფინანსებთან წვდომისას და მონაცემები მუდმივ გენდერულ სხვაობას აჩვენებს დასაქმებასა და ხელფასებში. ქალთა მეწარმეობის ბარიერების შესახებ რეგულარული კვლევების ჩატარება და ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობები შეიძლება დაგვეხმაროს დარჩენილი სტერეოტიპებისა და გამოწვევების დაძლევაში.
- მთავრობა სულ უფრო მეტ ძალისხმევას წარმართავს **მწვანე ეკონომიკის** განვითარების ხელშესაწყობად სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების და პანდემიის საპასუხოდ განხორციელებული მწვანე ღონისძიებების დასახვის გზით. თუმცა, საქართველომ უნდა მიიღოს მწვანე ზრდის ყოვლისმომცველი ხედვა კონკრეტული დეფინიციების განსაზღვრის და პოლიტიკის მიზნების დასახვის გზით; ასევე, საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვა, მაგ. ეფექტურობისა და ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. მცირე და საშუალო ბიზნესის გამწვანების მხარდაჭერის პასუხისმგებლობის „აწარმოე საქართველოზე“ დაკისრება ხელს შეუწყობს კოორდინაციისა და ურთიერთობების გაუმჯობესებას.

დოკუმენტის მეორე ნაწილი უფრო ღრმად იკვლევს გაციფრულების თემას, რადგან ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მცირე და საშუალო ბიზნესის სტრუქტურული ტრანსფორმაციის მამოძრავებელი ძალა. ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია დაეხმაროს მცირე და საშუალო ბიზნესს პროდუქტიულობის გაზრდაში სტრატეგიულ რესურსებზე მარტივი წვდომის, მომხმარებელთა ბაზის გაფართოების, მასშტაბის ზრდის მიღწევისა და ქსელის ეფექტის კაპიტალიზაციის გზით. თუმცა დიგიტალიზაციის პოტენციალი გამოუყენებელი რჩება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში, რომელთა ტექნოლოგიის ათვისების დონე ჩამორჩება მსხვილ ფირმებს. ანგარიშში შეფასებულია მიმდინარე მდგომარეობა ჩარჩო პირობების თვალსაზრისით, როგორცაა ფართოზოლოვანი კავშირი, მარეგულირებელი გარემო, ციფრული წიგნიერება და მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულება, და განხილულია წარსულში პოლიტიკის



მიღწევები და მომავალი ზომები, და შემოთავაზებულია პოლიტიკის რეკომენდაციები თითოეული ამ ასპექტისთვის.

- საქართველომ ძალისხმევა მიმართა **ციფრული ტრანსფორმაციის ინსტიტუციური და პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებაზე**. ყოვლისმომცველი ეროვნული ციფრული სტრატეგიის მიღება ხელს შეუწყობს მკაფიო მიზნებისა და ზომების განსაზღვრას და გაზრდის თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებს შორის. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას შეუძლია დაავალოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე პასუხისმგებელ ერთ-ერთ არსებულ უწყებას წამყვანი როლი იკისროს მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების მხარდაჭერის მიმართულებით, რათა გაიზარდოს პოლიტიკის ეფექტურობა და მოცვა.
- **ჩარჩო პირობების თვალსაზრისით**, საქართველო ინტერნეტ კავშირის მხრივ აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანად გვევლინება. თუმცა, ფინანსური ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის, და მისი სიჩქარე კვლავ პრობლემად რჩება. საჭიროა კონკურენციის, ინვესტიციების და ინოვაციების ხელშეწყობა მოთხოვნის მხარის გაძლიერების პარალელურად. შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო, რომლის გაუმჯობესებაც ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უზრუნველყოფს, კიდევ უფრო დაიხვეწება ევროკავშირის სტანდარტებთან შემდგომი ჰარმონიზაციისა და ელექტრონული კომერციის სპეციალური კანონმდებლობის მიღების გზით. ციფრული უსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა შეიძლება გაუმჯობესდეს ინციდენტებზე რეაგირების შესაძლებლობების და ამაზე მიმართული კონკრეტული ინიციატივების გაძლიერებით და სამართლებრივი ბაზის დახვეწით. რაც შეეხება ციფრულ უნარებს, საქართველომ განახორციელა რამდენიმე პოლიტიკის ინიციატივა, მაგრამ მაინც ჩამორჩება EaP-ის და OECD-ის სხვა პარტნიორ ქვეყნებს. შეიძლება განიხილებოდეს დამატებული ზომების გატარების მიზანშეწონილობა, როგორცაა ციფრული უნარების თვალსაზრისით არსებული საჭიროებების რეგულარული შეფასება და ყველა სასწავლო ინიციატივის ცენტრალიზებული მართვა.
- რაც შეეხება **მცირე და საშუალო ბიზნესზე გამიზნულ მხარდაჭერის პროგრამებს**, საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართა „დეფოლტად ციფრული“ ფირმების გაჩენის მხარდასაჭერად, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით (მაგ. ინფრასტრუქტურის განვითარება, ტრენინგი და ქსელის შექმნა). მიუხედავად ამისა, „ტრადიციული“ სექტორების ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივები შედარებით მწირია. წინამდებარე ანგარიშში შემოთავაზებულია ზომები და პოლიტიკის არჩევანი ამ ხარვეზის შესავსებად და გაციფრების სარგებელის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, რაც საშუალებას მისცემს ფირმებს განახორციელონ თავიანთი ციფრული სიმწიფისა და საჭიროებების დიაგნოსტიკა, დანერგონ მორგებული ფინანსური და არაფინანსური გადაწყვეტილებები და უზრუნველყონ გაციფრულების ეკოსისტემის ფარგლებში კოორდინაცია და თანამშრომლობა.

რეკომენდაციების შეჯამება: სამომავლო ზომები

ანგარიშის 1-ელი ნაწილი	სტრატეგიული მიმართულება	სამომავლო ზომები
ნაწილი 1: რეკომენდაციები საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიასთან დაკავშირებით	მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესება	<ul style="list-style-type: none"> <li>• რესტრუქტურისაციისა და ახალი სამეწარმეო წამოწყებების ხელშეწყობა</li> <li>• მცირე და საშუალო საწარმოების ტესტის გამოყენება ახალი რეგულაციების მიღების პროცესში</li> <li>• ცნობიერების ამაღლების ინიციატივების გაძლიერება მცირე და საშუალო საწარმოების მარეგულირებელი რეგულაციების შეცვლასთან დაკავშირებით</li> <li>• მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამების ზეგავლენის შეფასება</li> <li>• მცირე და საშუალო ბიზნესის სტატისტიკის გაფართოება</li> </ul>
	სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობა და მცირე და საშუალო ბიზნესის სამეწარმეო კულტურის ამაღლება	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვალიფიკაციის ამაღლების/შეცვლის პროგრამების გამოყენება დათხოვნილი მუშაკებისთვის ახალ სამუშაოზე მოწყობაში დახმარების გაწევის მიზნით</li> <li>• ინდუსტრიასა და პროფესიული განათლების დაწესებულებებს შორის კავშირების გაძლიერება</li> <li>• პროფესიული განათლების მოდულების ონლაინ ფორმატზე დაფუძნებული პლატფორმების შემუშავების ხელშეწყობა</li> <li>• ციფრული უნარების განვითარებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვა</li> </ul>
	ფინანსებისადმი წვდომის გაუმჯობესება	<ul style="list-style-type: none"> <li>• COVID-19-თან დაკავშირებული ფინანსური მხარდაჭერის პაკეტების მორგება პოსტკრიზისულ პერიოდზე</li> <li>• ალტერნატიული და ციფრული დაფინანსების ინსტრუმენტების სამართლებრივი გარემოს გაძლიერება</li> <li>• ვენჩურული კაპიტალის და ბიზნეს ანგელოზების ეკოსისტემის შემდგომი განვითარება</li> <li>• ფინანსური განათლების ინიციატივების გაფართოება</li> </ul>
	ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ბაზრის შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში</li> <li>• საკონსულტაციო დახმარებისა და ტრენინგების გაზრდა ბაზრის მოთხოვნების შესახებ ცოდნის გასაუმჯობესებლად</li> <li>• მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარების გაწევა მიწოდების ხარჯებისა და დროის შემცირებაში</li> <li>• ვაჭრობის დაფინანსების სხვადასხვა სქემების გამოყენების გაფართოება</li> <li>• ელექტრონული კომერციის უნარების და პრაქტიკის განვითარება</li> </ul>
	მცირე და საშუალო ბიზნესის მხრიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის, ინოვაციებისა და R&D-ის მხარდაჭერა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინოვაციების მხარდასაჭერად არაპირდაპირი ფინანსური სტიმულირების მექანიზმების დანერგვა</li> <li>• დაფინანსების ინსტრუმენტების დანერგვა ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის არა-IT სექტორებში</li> <li>• მოთხოვნის მხარის პოლიტიკის გათვალისწინება</li> <li>• კვლევას და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება</li> </ul>
	ქალი მეწარმეობის მხარდაჭერა	<ul style="list-style-type: none"> <li>• გენდერზე მორგებული მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება</li> <li>• გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესება</li> <li>• ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გააქტიურება</li> </ul>
	მწვანე ეკონომიკის განვითარება	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტრატეგიის დოკუმენტში უფრო კონკრეტული განსაზღვრებების და მიზნების ასახვა</li> <li>• აწარმოე საქართველოსთვის მცირე და საშუალო ბიზნესის „გამწვანების“ სფეროში მხარდაჭერის უზრუნველყოფის თვალსაზრისით წამყვანი როლის დაკისრება</li> <li>• მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებაზე მიმართული მიზნობრივი ღონისძიებების დასახვა</li> <li>• მწვანე ეკონომიკის შესაძლებლობების შესახებ და ცნობიერების ამაღლება</li> </ul>

ანგარიშის 1-ელი ნაწილი	სტრატეგიული მიმართულება	სამომავლო ზომები
ნაწილი 2: მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარება	გაციფრულების ინსტიტუციური ჩარჩოს განსაზღვრა და პოლიტიკის შემუშავება	<ul style="list-style-type: none"> <li>ეროვნული ციფრული სტრატეგიის მიღება, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული მიზნები, ქმედებები და რესურსები</li> <li>მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ერთ-ერთი უწყებისთვის გაციფრულების მხარდაჭერის სფეროში წამყვანი როლის დაკისრება</li> </ul>
	გაციფრულების ჩარჩო პირობები	<ul style="list-style-type: none"> <li>ფართოზოლოვანი კავშირის უზრუნველყოფა უფრო მაღალი ხარისხით და დაბალ ფასებში</li> <li>მარეგულირებელი ჩარჩოს ჰარმონიზაცია ევროკავშირის სტანდარტებთან, რათა შესაძლებელი გახდეს მეტი თავსებადობა და კავშირი ევროკავშირის ბაზართან</li> <li>ციფრული უსაფრთხოების გაძლიერება ციფრული ეკონომიკის მიმართ ნდობის გასამყარებლად</li> <li>ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობა</li> </ul>
	არა-IT სექტორების გაციფრულების ყოვლისმომცველი მხარდაჭერის უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> <li>გაციფრულების უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ციფრული კულტურის ჩამოყალიბება მცირე და საშუალო ბიზნესში</li> <li>ფირმების მიერ თავიანთი ციფრული სიმწიფის და საჭიროებების შეფასების დიაგნოსტიკების განხორციელების ხელშეწყობა</li> <li>მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული არაფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზება</li> <li>ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების დივერსიფიკაცია „ტრადიციული“ ფირმების გაციფრულების ხელშესაწყობად</li> <li>გაციფრულების ეკოსისტემის ფარგლებში კოორდინაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა</li> </ul>

# შესავალი

## ეკონომიკური კონტექსტი

საქართველოს ეკონომიკა სტაბილურ ზრდას განიცდიდა 2015 წლიდან, 2020 წელს COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამდე. მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 2015 და 2016 წლებში არსებული 3%-დან 4.8%-მდე გაიზარდა 2017 წელს და დასტაბილურდა დაახლოებით 5%-მდე ფარგლებში შემდეგი წლების განმავლობაში (ცხრილი 0.1). საქონლისა და მომსახურების ექსპორტმა 2019 წელს მშპ-ს 54.8%-ს მიაღწია, 2015 წელს არსებულ 40.8%-თან შედარებით. კერძოდ, ექსპორტი ევროკავშირის მიმართულებით გაიზარდა 2014 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ამოქმედების შემდეგ, და 2019 წელს მთლიანი ექსპორტის 24.2%-ს მიაღწია (გერმანიის ეკონომიკური გუნდი, 2019 [2]). მიუხედავად იმისა, რომ ამ ზრდას თან ახლდა ექსპორტირებული საქონლის დივერსიფიკაცია, გადამუშავებული საქონლის წილის ზრდასთან ერთად, ექსპორტის ძირითადი ბაზა კვლავაც დაბალი დამატებული ღირებულებით ხასიათდებოდა, რაც ზღუდავს საექსპორტო პოტენციალს (ეკონომიკური დაზვერვის დანაყოფი, 2019[3]). მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მცირდებოდა, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2018 წელს 100%-მდე გაიზარდა.

საქართველოს მთავრობამ ბოლო წლებში მთელი რიგი რეფორმები გაატარა, რომლებიც მოიცავდა გადახდისუნარობის ჩარჩოს რეფორმირებას, რაც უაღრესად აუცილებელი ზომა იყო (უფრო დეტალურად იხილეთ 1-ელ ნაწილში), შრომის კოდექსის მოდერნიზაციას და ინფრასტრუქტურის განვითარების და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ინტეგრირების მხარდაჭერაზე მიმართულ ძალისხმევას. გარდა ამისა, 2017 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გამოყოფილი გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში, მთავრობამ დაიწყო საპენსიო სისტემის მეორე სვეტის რეფორმის განხორციელება. პოლიტიკის ამ ძალისხმევამ ხელი შეუწყო ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რაც აისახა საქართველოს პოზიციაზე საერთაშორისო შეფასებებში: Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 2021 წლის კვლევის მიხედვით საქართველომ 180 ქვეყნიდან მე-12 ადგილი დაიკავა, და საშუალო ევროპულ და მსოფლიო მაჩვენებელზე უფრო მაღალი ქულა მოიპოვა. 2016 წლიდან ქვეყანამ თერთმეტი პოზიციით გაიმჯობესა მდგომარეობა სასამართლო ეფექტურობის, შრომის თავისუფლებისა და ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესების წყალობით (Heritage Foundation, 2021[4]). საქართველომ 2021 წლის ფრეიზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შესაბამისად 162 ქვეყანას შორის მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 74-ე ადგილი მოიპოვა 141 ქვეყანას შორის, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს, ICT დანერგვის, შრომის ბაზრისა და მომავალი სამუშაო ძალის უნარების წყალობით.

თუმცა, რამდენიმე გამოწვევა კვლავაც რჩება. საქართველოში დღესაც უმუშევრობის მაღალ დონე არსებობს, რომელიც 2015-2020 წლების პერიოდში დაახლოებით 20%-ის ფარგლებში

რჩებოდა (2020 წელს 18,5%-მდე შემცირდა); ასევე არასახარბიელოა სიღარიბის თვალსაზრისით არსებული ვითარება, რომელიც კვლავ გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის თითქმის 20%-ზე. გარდა ამისა, ქვეყანაში კვლავაც შენარჩუნებულია სოფლის მოსახლეობის მაღალი წილი (დაახლოებით 41% 2020 წელს) და არაფორმალური ეკონომიკა. კვლავაც პრობლემად რჩება უნარების შეუსაბამობა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ცდილობდა გამკლავებოდა ამ გამოწვევას 2019 წელს ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო რეფორმის დანერგვის გზით, რომლის განხორციელებაც ნაწილობრივ შეჩერდა პანდემიის გამო (IMF, 2021 [5]). პროდუქტიულობის დონე შედარებით დაბალი რჩება, მიუხედავად გარკვეული ზრდისა, და რეგიონებს შორის ურთიერთდაკავშირება კვლავ დაბალ დონეზეა.

გარდა ამისა, ქვეყანა მძიმედ დაზარალდა COVID-19-ის პანდემიით: მიუხედავად პირველი ტალღის დროს ახალი ინფექციების შეზღუდვაში მისი საწყისი წარმატებისა, საქართველოში ყოველდღიურად ახალი შემთხვევების ზრდა დაფიქსირდა პანდემიის შემდეგი ტალღების განმავლობაში, და იგი ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული ქვეყანა გახდა მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე როგორც დაღუპულთა, ასევე ახალი შემთხვევების რაოდენობის მიხედვით. ვაქცინაცია ნელი ტემპებით მიმდინარეობს, და საერთაშორისო საზოგადოება დახმარებას უწევს საქართველოს ვაქცინების დამატებით დოზების უზრუნველყოფის გზით, მაგრამ ვაქცინაციის მაჩვენებელი მაინც დაბალია (2021 წლის სექტემბრის შუა რიცხვებისთვის მოსახლეობის 23% იყო სრულად აცრილი). პანდემიის მომდევნო ტალღების დროს მთავრობამ მთელი რიგი შემაკავებელი ზომები მიიღო ვირუსის გავრცელების შეზღუდვის მიზნით, რამაც ზიანი მიაყენა ეკონომიკას (OECD, 2020<sup>[6]</sup>). საქართველოს მშპ 2020 წელს 6.2%-ით შემცირდა. ეს ნაწილობრივ აიხსნება მომსახურების სექტორის, განსაკუთრებით კი ტურიზმის მიერ განცდილი შოკით, რომელიც გამორჩეულ ადგილს იკავებს საქართველოს ეკონომიკაში, და 2020 წელს მომსახურების ექსპორტი 63.5%-ით შემცირდა. უმუშევრობა და სიღარიბე მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წელთან შედარებით, მიუხედავად მთავრობის მიერ გატარებული ზომების შემარბილებელი ეფექტისა. ამ არსებითმა ანტიკრიზისულმა ზომებმა გააუარესა სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა, რადგან დეფიციტმა მშპ-ს 9.3%-ს მიაღწია, ხოლო სახელმწიფო ვალმა მშპ-ს 60%-ი შეადგინა. ამას გარდა, 2020 წლის აპრილში ინფლაციამ პიკურ მაჩვენებელს - 7%-ს მიაღწია, ხოლო იმავე წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 14%-ით გაუფასურდა. კრიზისს კიდევ უფრო ამძაფრებს დიდი არაფორმალური სექტორი, დაუცველი მუშაკების მაღალი წილი, მაღალი უმუშევრობა და დანაზოგების დაბალი მაჩვენებლები (OECD, 2020<sup>[6]</sup>).

მიუხედავად ამისა, საქართველო 2021 წლის განმავლობაში აღორძინებას განიცდიდა. მშპ-ს შემცირება შენარჩუნდა 2021 წლის პირველ კვარტალში, და იგი 4.5%-ს შეადგენდა, მაგრამ ტენდენცია წლის მეორე კვარტალში შეიცვალა. მოსალოდნელია, რომ მშპ-ის ზრდა 2021 წელს 7.7%-ს მიაღწევს, ძირითადად ისეთ საკვანძო სექტორებში ზრდის ხარჯზე, როგორცაა ტურიზმი, წარმოება, მშენებლობა და მომსახურება, ასევე ფულადი გზავნილებისა და ექსპორტის ზრდის შედეგად, რაც უფრო სწრაფი იყო ვიდრე მოსალოდნელი იყო (გერმანიის ეკონომიკური გუნდი, 2021 [7]). მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო დეფიციტი შემცირდება მშპ-ს 6.5%-მდე, ხოლო სახელმწიფო ვალი უნდა შემცირდეს 2020 წლის დონესთან შედარებით (გერმანიის ეკონომიკური გუნდი, 2021 [7]). მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო დეფიციტი მშპ-ს 6.5%-მდე შემცირდება, ხოლო სახელმწიფო ვალი უნდა შემცირდეს 2020 წლის დონესთან შედარებით (გერმანიის ეკონომიკური გუნდი, 2021 [7]). მოსალოდნელია, რომ ეს გაუმჯობესება მომდევნო წლებშიც გაგრძელდება, რადგან პროგნოზები ითვალისწინებს ფისკალური დეფიციტის 3%-იანი მიზნის მიღწევას 2025 წლამდე, ისევე

როგორც სახელმწიფო ვალის განუხრელ შემცირებას მომდევნო წლებში (მსოფლიო ბანკი, 2021 [8]).) თუმცა, 2021 წლის აგვისტოდან მოყოლებული წლიური ინფლაცია 12.8%-მდე გაიზარდა კომუნალური მომსახურებისა და საქონლის ფასების ზრდის გამო, ისევე როგორც წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის ხარჯების გაზრდის გამო, რაც ვალუტის გაუფასურებით იყო გამოწვეული (IMF, 2021[9]), მაგრამ მოსალოდნელია, რომ ინფლაცია შემცირდება 2022 წლის დასაწყისიდან (IMF, 2021[9]). ლარი მართლაც სტაბილიზირებული იყო 2021 წლის განმავლობაში და ის ოდნავ გამყარდა, 0,8%-ით რეალური ეფექტური კურსით (IMF, 2021[5]). პოზიტიური ტენდენცია უნდა შენარჩუნდეს, რადგან მსოფლიო ბანკის ამჟამინდელი პროგნოზებით მოსალოდნელია მშპ-ის დაახლოებით 6%-იანი ზრდა 2022 წელს, ისევე როგორც 2023 წელს (მსოფლიო ბანკი, 2021 [10]). თუმცა, ეკონომიკური გაჯანსაღება დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის შესაძლებლობებზე, მოახდინოს მოსახლეობის ვაქცინაცია, და შესაბამისად, თავიდან აიცილოს ინფექციების ახალი ტალღები, და მის შესაძლებლობებზე შეინარჩუნოს სტაბილური პოლიტიკური გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს აუცილებელ რეფორმებს.

### ცხრილი 0.1. საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, 2015-2020


ინდიკატორი	საზომი ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021 <sup>2</sup>	2022 <sup>2</sup>
მშპ-ის ზრდა **	წლიური პროცენტი	3	2.9	4.8	4.8	5	-6.2	7.7	5.8
ინფლაცია**	საშუალო პროცენტი	4.0	2.1	6.0	2.6	4.8	5.2	13.1	3.2
სახელმწიფო ბალანსი**	მშპ-ს პროცენტი	-1.3	-1.6	-0.5	-0.9	-1.8	-9.3	-6.5	-3.6
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი *	მშპ-ს პროცენტი	-11.8	-12.5	-8.0	-6.8	-5.5	-12.4	-10.0	-7.6
საქონლის და მომსახურების ექსპორტი*	მშპ-ს პროცენტი	40.9	40.8	46.5	50.6	54.8	37.4	-	-
საქონლის და მომსახურების იმპორტი *	მშპ-ს პროცენტი	57.9	56.0	57.5	61.2	63.8	55.9	-	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წმინდა შემოდინება*	მშპ-ს პროცენტი							-	-
		11.6	11.0	11.8	7.2	7.7	-		
მთლიანი სახელმწიფო ვალი **	მშპ-ს პროცენტი	36.6	40.2	38.6	37.5	40.4	60.6	54.2	53.6
შიდა კრედიტი კერძო სექტორისთვის *	მშპ-ს პროცენტი	51.0	58.7	58.1	62.6	67.7	-	-	-
უმუშევრობა**	მთლიანი სამუშაო ძალის პროცენტი	21.9	21.7	21.6	19.2	17.6	18.5	22.1	-
ნომინალური მშპ	აშშ მილიარდი	14.9	15.1	16.2	17.6	15.7	15.7	18.2	20.5

შენიშვნა: <sup>1</sup> სახელმწიფო დაკრედიტება/სესხება <sup>2</sup> ხელმისაწვდომია უკანასკნელი პროგნოზები წყარო: \* (World Bank, 2021<sup>[11]</sup>) და (World Bank, 2021<sup>[10]</sup>) \*\* (IMF, 2021<sup>[12]</sup>), (IMF, 2021<sup>[13]</sup>), და (IMF, 2021<sup>[14]</sup>).

### მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორი

მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოს ეკონომიკაში დომინანტურ როლს ასრულებენ, რომლებიც 2019 წელს წარმოადგენენ საწარმოების 99.7%-ს. მათი ეკონომიკური წვლილი ბოლო წლების განმავლობაში იზრდებოდა: 2019 წელს მცირე და საშუალო ბიზნესზე მთლიანი დასაქმების 65% და დამატებული ღირებულების 59.3% მოდიოდა, რაც 2015 წელს არსებულ 58.1%-თან შედარებით გაიზარდა (დიაგრამა 0.1). ისინი კონცენტრირებულია თბილისში, და დედაქალაქზე მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმების 51%-ი და დამატებული ღირებულების 63%-ი მოდის (დიაგრამა 0.2).

**დიაგრამა 0.1. დამატებული ღირებულება საწარმოთა ზომის მიხედვით, 2015-2019**



წყარო: საქსტატი





## ჩანართი 0.1. SME პოლიტიკის ინდექსი: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები 2020

### ევროპის მცირე ბიზნესის მარეგულირებელი აქტი და მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი

მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი არის საორიენტაციო ინსტრუმენტი მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროგრესის შესაფასებლად და მონიტორინგისთვის ევროკავშირისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან მიმართებაში. სტრუქტურირებული ევროკავშირის მცირე ბიზნესის მარეგულირებელი აქტის (SBA) ათი პრინციპის ირგვლივ, იგი შემუშავებულია OECD-ს, ევროკავშირის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და ევროპის სასწავლო ფონდის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის ბიზნეს გარემოს შესაფასებლად და შესაბამისი რეკომენდაციების უზრუნველსაყოფად დარჩენილი გამოწვევების გადაჭრის ხელშესაწყობად.


ინდექსი სტრუქტურირებულია ხუთი თემატური მიმართულების გარშემო, რომლებიც შემდგომ იყოფა 12 განზომილებად ათი SBA პრინციპის საფუძველზე. ინდექსის მესამე გამოცემას (გამოქვეყნდა 2020 წელს, 2012 და 2016 წლებში შეფასებების შემდეგ) დაემატა კიდევ ერთი ურთიერთგადამკვეთი მიმართულება.

### 2020 წლის მიგნებები საქართველოსთან მიმართებაში

საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა 2016 წლიდან და თავი დაიმკვიდრა, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის საუკეთესო შემსრულებელმა. OECD-ის წინა რეკომენდაციების განხორციელებაზე მიმართულმა მისმა ძალისხმევამ განსაკუთრებით კარგი შედეგები გამოიღო სამეწარმეო სწავლებისა და ქალთა მეწარმეობის სფეროში (+57% ზრდა საშუალოდ) და მცირე და საშუალო ბიზნესის უნარების განვითარების სფეროში (+38%). ქვეყნის შესრულების შედეგები სუსტი რჩება გაკოტრების და მეორე შანსის პოლიტიკის, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის გამწვანების კუთხით.


### დიაგრამა 0.3. საქართველოს SME პოლიტიკის ინდექსის ქულები

ქვეყნის ქულები მიმართულებების მიხედვით, 2020 vs 2016



მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგია მოიცავდა სამ საერთო მიზანს - გამოშვების ზრდას, დასაქმებულ პირებს და პროდუქტიულობის ზრდას. როგორც ქვემოთ ნაჩვენებია (დიაგრამა 0.4), მიზნები მიღწეული იქნა სტრატეგიის განხორციელების პერიოდის ადრეულ ეტაპზევე, რაც ადასტურებს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში პოზიტიურ განვითარებას, მაგრამ ასევე იმაზე მიუთითებს, რომ შეიძლება უფრო ამბიციური მიზნების დასახვა.

დიაგრამა 0.4. 2016-2020 წლების SME განვითარების სტრატეგიის საერთო სამიზნეები



წყარო: საქსტატი

OECD-ი სთავაზობს რამდენიმე KPI-ს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ახალი სტრატეგიის ზეგავლენის მონიტორინგისთვის (ცხრილი 0.2). მიუხედავად იმისა, რომ ახალი სტრატეგიის პირველ პროექტში დაგეგმილი იყო მცირე და საშუალო საწარმოთა მთლიან წარმოებაში პროცენტული წილის გამოყენება, როგორც დოკუმენტის საერთო სამიზნე, OECD-მ შესთავაზა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა გამოყენებული იქნას მცირე და საშუალო საწარმოთა პროდუქტიულობის ზრდა და ამ მაჩვენებლის გამოყენება, როგორც ზემოქმედების ინდიკატორი პრიორიტეტისთვის 1-ისთვის, რადგან მცირე და საშუალო საწარმოების წილზე მთლიან პროდუქციაში გავლენას ახდენს მსხვილი ფირმების ზრდა. OECD-ის რეკომენდაციით, დოკუმენტის საბოლოო ვერსია ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოთა დამატებული ღირებულების და პროდუქტიულობის ზრდას, რაც თავდაპირველად შეტანილი იყო ზემოქმედების ინდიკატორად 1-ელი და მე-3 პრიორიტეტებისთვის, როგორც საერთო სამიზნე.

**ცხრილი 0.2. OECD-ის მიერ შემოთავაზებული საერთო სამიზნეები ახალი სტრატეგიისთვის**


ინდიკატორი	საწყისი პროექტი	OECD-ს წინადადებები	საბოლოო პროექტი
მცირე და საშუალო საწარმოთა წილი მთლიან წარმოებაში	70% 2025 წლისთვის	SME-ების პროდუქტიულობის ზრდა: +30% 2025 წლისთვის <ul style="list-style-type: none"> <li>გამოიყენეთ მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობის ზრდა წილის ნაცვლად, რადგან ამ უკანასკნელზე გავლენას ახდენს მსხვილი ფირმების ზრდა</li> <li>ინდიკატორი უფრო შესაფერისია 1-ლი პრიორიტეტის მონიტორინგისთვის, უკეთესი ინსტიტუციური გარემოსთვის, ეხმარება ფირმებს ფუნქციონირებაში, რაც აისახება გაზრდილ აქტივობაზე (ანუ წარმოებულ პროდუქციაზე)</li> </ul>	ჩართულია როგორც ზემოქმედების ინდიკატორი პირველი პრიორიტეტისთვის  +20 2025 წლისთვის
SME-ებში დასაქმებულთა რაოდენობა	+15% 2025 წლისთვის	დასაქმებულ პირთა რაოდენობა: +15% 2025 წლისთვის <ul style="list-style-type: none"> <li>დასაქმებულთა ნაცვლად დასაქმებული პირების გამოყენება</li> <li>15%-იანი მიზანი რეალისტური ჩანს</li> </ul>	დასაქმებულთა რაოდენობა +10% 2025 წლისთვის  (სამიზნე შემცირდა 2020 წელს COVID-ით გამოწვეული მკვეთრი კლების გამო)
SME-ების დამატებული ღირებულება	+20% 2025 წლისთვის  გათვალისწინებულია როგორც ზემოქმედების ინდიკატორი 1-ელი პრიორიტეტისთვის საწყის პროექტში	+30% 2025 წლისთვის <ul style="list-style-type: none"> <li>ის შეიძლება ჩაითვალოს მთლიანი ზეგავლენის ინდიკატორად, და არა პროდუქტიულობის ზრდის ინდიკატორად</li> <li>20%-იანი ზრდა შესაძლოა საკმარისად ამბიციური არ იყოს 2015-2019 წლებში 60%-იანი ზრდის გათვალისწინებით – მაგრამ მისაღები რჩება COVID-19 ზემოქმედებასთან დაკავშირებული გაურკვევლობების გათვალისწინებით</li> </ul>	ჩართულია როგორც საერთო სამიზნე ინდიკატორი  +20% 2025 წლისთვის (ნომინალური თვალსაზრისით)
SME-ების პროდუქტიულობა	+20% 2025 წლისთვის  გათვალისწინებულია, როგორც ზემოქმედების ინდიკატორი მე-3 პრიორიტეტისათვის საწყის პროექტში	+25% 2025 წლისთვის <ul style="list-style-type: none"> <li>ის შეიძლება ჩაითვალოს საერთო ზეგავლენის ინდიკატორად, რადგან მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობა შეიძლება გაუმჯობესდეს ყველა სტრატეგიული პრიორიტეტის მეშვეობით</li> </ul>	ჩართულია როგორც საერთო სამიზნე ინდიკატორი  +20% 2025 წლისთვის

რაც შეეხება ინსტიტუციურ ჩარჩოს, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MOESD) და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ორი სააგენტო - „აწარმოე საქართველოში“ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ (GITA), რომლებიც 2014 წელს შეიქმნა. „აწარმოე საქართველოში“ პასუხისმგებელია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებაზე. ის მიზნად ისახავს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობის გზით. ესენია: ბიზნესის განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მისი საფლავმანო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მოიცავს დაფინანსების ინსტრუმენტებს, როგორცაა კომერციული სესხების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება და გრანტების გამოყოფის გზით თანადაფინანსება. GITA ავსებს ამ მიდგომას სტარტაპების, ინოვაციებისა და R&D-ის მხარდაჭერაზე ყურადღების გამახვილებით, განსაკუთრებით ICT სფეროში, ფინანსური და არა-ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით, რომელიც დეტალურად არის აღწერილი ამ ანგარიშში. ამ პროცესში ასევე მჭიდროდ არიან ჩართული სხვა სამინისტროები, რომლებიც ჩამოთვლილია დიაგრამა 0.5-ში, ასევე, საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენი და რამდენიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), მაგ. ეროვნული სტატისტიკური სააგენტო ‘საქსტატი’, კონკურენციის ეროვნული სააგენტო, GEOSTM, სოფლის განვითარების სააგენტო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS). კერძო სექტორი სულ უფრო მეტად მონაწილეობს პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში რიგი ბიზნეს ასოციაციების მეშვეობით.



## დიაგრამა 0.6. COVID-19-ის კრიზისის ზეგავლენა საქართველოს SME-ებზე

2020



შენიშვნა: (ა) ნაწილი ეხება ფირმების პროცენტს, რომელიც დადასტურდა, რომ მუდმივად დაიხურა COVID-19-ის პანდემიის გამოცხადების შემდეგ. დიდი ფირმების წილი ამ ნაწილში ნულის ტოლია. წყარო: (მსოფლიო ბანკი, 2020[15]).

თუმცა, მთავრობამ ამ გამოწვევებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ანტიკრიზისული მხარდაჭერის პაკეტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი პაკეტით უპასუხა, რომელიც მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად განკუთვნილ ინსტრუმენტებს. ის მოიცავდა სამუშაო ძალის მხარდაჭერის ზომებს, როგორცაა საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება, უმუშევრობის შეღავათები და თვითდასაქმებულთათვის 300 ლარის ოდენობის ერთჯერადი დახმარება, აგრეთვე ქონების გადასახადის გადავადება, ზედმეტობით გადახდილი დღგ-ის დაბრუნება, კომუნალური ხარჯების სუბსიდიები და კრედიტის დაფარვის ვალდებულების გადავადება. ასევე განხორციელდა ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა საკრედიტო გარანტიის სქემის გაფართოება, რომლითაც

მოსალოდნელია რომ 1000-მდე მცირე და საშუალო ბიზნესი მიიღებს სარგებელს, გაუმჯობესებული თანადაფინანსების პირობები (მაგ. სესხის/ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდის გახანგრძლივება) და არსებული სესხების პროცენტის სუბსიდირება იმ სექტორების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდა (დაწვრილებით 35 გვერდზე). მთავრობამ ასევე მიიღო დარგობრივი გეგმები ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და მშენებლობის მიმართულებით. 2020 წლის ოქტომბერ/ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის თითქმის ნახევარმა მიიღო სახელმწიფო დახმარება, თუმცა, როგორც ჩანს, ეს წილი მსხვილი ფირმების წილზე ნაკლებია (75%) (მსოფლიო ბანკი, 2020 [15]).

# 1

## რეკომენდაციები საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021 - 2025 წლების სტრატეგიასთან დაკავშირებით

---

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თხოვნით და EU4Business Initiative-ის მხარდაჭერით, OECD-მ GIZ-თან თანამშრომლობით, დახმარება გაუწია საქართველოს მთავრობას მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების პერიოდისთვის განკუთვნილი ახალი სტრატეგიის და მასთან დაკავშირებული პირველი სამოქმედო გეგმის მომზადებაში.

ამ ნაწილში შეჯამებულია OECD-ის მიერ სტრატეგიის შვიდ განზომილებასთან დაკავშირებით გამოვლენილ ძირითადი გამოწვევები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები დამატებით სპეციფიკურ პოლიტიკის ზომებთან დაკავშირებით სამომავლო სამოქმედო გეგმებისთვის. აქ ასევე შემოთავაზებულია შესრულების ძირითადი ინდიკატორები სტრატეგიის განხორციელების პროგრესის მონიტორინგისთვის.

---



## პრიორიტეტი 1: საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის

### არსებული ვითარება

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველომ საგრძნობლად გააუმჯობესა ბიზნესის ინსტიტუციური და ოპერაციული გარემო მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების გზით. მცირე და საშუალო საწარმოები ახლა სარგებლობენ გაუმჯობესებული ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოებით, რაც აისახება საერთაშორისო შეფასებებში, როგორცაა OECD-ს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი: აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნები 2020 („SMEPI“), რომლის მიხედვითაც საქართველო გამოირჩევა, როგორც საუკეთესო შემსრულებელი EaP ქვეყნებს შორის, მათ შორის, SMEPI-ის „ა“ მიმართულებით, რომელიც აფასებს ინსტიტუციურ, მარეგულირებელ და საოპერაციო გარემოს (OECD et al., 2020[1]). საქართველომ ასევე მნიშვნელოვნად გააფართოვა და ფორმალიზებული ფორმა მისცა საჯარო და კერძო სექტორის მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავებაში: ამ მიზნით რამდენიმე სპეციალური პლატფორმა შეიქმნა, როგორცაა კერძო სექტორის განვითარების მრჩეველთა საბჭო, და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ასევე ჩამოყალიბდა საკონსულტაციო საბჭო ვაჭრობის საკითხებზე, რომლებიც დაეხმარნენ საჯარო და კერძო კონსულტაციების ფორმალიზებას და უფრო რეგულარულად მართავდნენ შეხვედრებს. შედეგად, კერძო სექტორის მონაწილეობა უფრო ინკლუზიური გახდა და კერძო სექტორის მიერ მოწოდებული კომენტარები სულ უფრო მეტად აისახა კანონპროექტებში (თავისუფლებისა და ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტი, 2019 [16]).

რაც შეეხება საოპერაციო გარემოს, საქართველომ საგრძნობლად გააფართოვა ელექტრონული მმართველობის სერვისების ხელმისაწვდომობა. ერთიანი პორტალი [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge), რომელიც 2012 წელს ამოქმედდა, და 2020 წლიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ახალი ციფრული მმართველობის სააგენტოს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს (მანამდე მის მართვაზე მონაცემთა გაცვლის სააგენტო იყო პასუხისმგებელი), აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში არსებულ ანალოგიურ გადაწყვეტილებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე პორტალია. 2019 წელს იგი უკვე 500-მდე სერვისს სთავაზობდა მოქალაქეებს და ბიზნესებს, ხოლო შემდგომში პლატფორმა კიდევ უფრო განვითარდა COVID-19 პანდემიაზე საპასუხოდ, და ახლა იგი სთავაზობს დაახლოებით 700 ონლაინ სერვისს სხვადასხვა სფეროებში. გაიზარდა მომხმარებელთა რაოდენობაც (+40% 2020 წელს), რაც ამ სამთავრობო ვებსაიტს ერთ-ერთ ყველაზე ხშირად მონახულებულ გვერდად აქცევს UNDP-ის შეფასების მიხედვით (2021[17]).

გარდა ამისა, მთავრობამ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა გადახდისუნარობისა და რეაბილიტაციის სისტემაში, რაც დიდი ხნის განმავლობაში მოიაზრებოდა როგორც ქვეყნის ბიზნესგარემოს ერთ-ერთ ყველაზე დიდი სისუსტე. გადახდისუნარობის ახალი კანონი „კრედიტორთა რეაბილიტაციისა და კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ მიღებულ იქნა 2020 წლის სექტემბერში და ძალაში შევიდა 2021 წლის 1 აპრილს. ეს რეფორმა ხელს უწყობს რეაბილიტაციას და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას, ნაცვლად საწარმოთა ლიკვიდაციისა და ორიენტირებულია კრედიტორების დაცვაზე (საქართველოს მთავრობა, 2020 [18]). ამ მიზნით, დაინერგა ახალი კონცეფციები, როგორცაა რეგულირებადი ხელშეკრულებები, გაადვილებული პროცედურა, რომლის მიხედვითაც მოვალეს შეუძლია მოლაპარაკება აწარმოოს ვალის რესტრუქტურირებაზე კრედიტორებთან კომპანიის საქმიანობის

გაგრძელების მიზნით. კანონი ასევე განსაზღვრავს გადახდისუუნარობის სფეროს პრაქტიკოსების ავტორიზაციას და ზრდის პროცესის გამჭვირვალობას სპეციალური ელექტრონული სისტემის დანერგვის გზით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია განაცხადების შევსება, კრედიტორთა კრების მოწვევის, ოქმებისა და გადაწყვეტილებების სწრაფად გამოქვეყნება და ინფორმაციის გაზიარება. ამასთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრის №696 ბრძანება „გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის განხორციელების, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიანი რეესტრის წარმოებისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შერჩევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომელიც 2021 წლის 30 მარტს გამოიცა, განსაზღვრავს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის ტიპებსა და პირობებს და ამ პრაქტიკოსთა ერთიანი რეესტრის წარმოების წესებს, ასევე, ადგენს სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, და პრაქტიკოსის რეაბილიტაციის/გაკოტრების მენეჯერად ან რეაბილიტაციის/CVA ზედამხედველად ელექტრონული სისტემის მეშვეობით დანიშვნის წესებსა და პირობებს.

საქართველოს მთავრობამ ასევე დაამტკიცა „მეწარმეთა შესახებ კანონი“, რომელიც 2021 წელს ამოქმედდა და მიზნად ისახავს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას, შიდა კორპორატიული ურთიერთობების დარეგულირებას, და ამ სფეროში გამჭვირვალობის გაზრდას მეწარმეობის თავისუფლების ხელშეწყობის პარალელურად. გარდა ამისა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიზნად ისახავს შექმნას კანონით გათვალისწინებული ელექტრონული პორტალი გაციფრულების ხელშეწყობისთვის.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, რათა ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ახალი კანონების და რეგულაციების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. რაც შეეხება, მაგალითად, ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას, ბიზნესს შეუძლია მიმართოს საინფორმაციო ცენტრებს და სპეციალურ ვებ პორტალს [dcfta.gov.ge](http://dcfta.gov.ge). მიუხედავად ამისა, კერძო სექტორის ასოციაციებთან ჩატარებული გამოკითხვიდან ნათელი ხდება, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს უჭირთ მარეგულირებელი ჩარჩოს ცვლილებებისა და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაზე თვალყურის მიდევნება.

მარეგულირებელი გარემოს გაძლიერების გარდა, საქართველომ ასევე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია რეგულირების ზემოქმედების შეფასების (RIA) შემუშავებაში. RIA არის პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ახალი ან არსებული რეგულაციის ხარჯების, სარგებელისა და ეფექტის გასაანალიზებლად, რაც მთავრობას საშუალებას აძლევს შეაფასოს თავისი პოლიტიკა და საჭიროების შემთხვევაში გადასინჯოს იგი. ამჟამინდელი მოთხოვნების შესაბამისად, RIA უნდა განხორციელდეს მთავრობის მიერ წარდგენილ ბიზნესთან დაკავშირებული კანონპროექტებისთვის, და 2020 წლის დასაწყისში ამ მიზნით მიღებული იქნა სპეციალური მეთოდოლოგია (საქართველოს მთავრობა, 2020 [19]). მიუხედავად ამისა, მარეგულირებელი ზემოქმედება კონკრეტულად მცირე და საშუალო ბიზნესზე „SME ტესტის“ მეშვეობით სისტემატურად არ ხორციელდება. ასეთი „SME ტესტი“ აფასებს რეგულაციების კონკრეტულ ზემოქმედებას მცირე და საშუალო ბიზნესზე საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებელის ex-ante და ex-post ანალიზის გზით, და პროცესში გათვალისწინებულია მცირე და საშუალო ბიზნესის და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართვა.

გასაკვირი არ არის, რომ პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნა კომპანიებს, მათ შორის, გაიზარდა ბიზნესის წარუმატებლობის შემთხვევების რაოდენობა (იხ. შესავალ ნაწილში მოცემული დიაგრამა 0.6). საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოები განსაკუთრებით დაზარალდნენ პანდემიის შეკავებაზე მიმართული ზომებით, რამაც გამოიწვია შემოსავლების მკვეთრი ვარდნა და ლიკვიდობის დეფიციტი: 2020 წლის ოქტომბერში, პანდემიის შემდეგ მცირე და საშუალო ფირმების შესაბამისად 82%-მა და 86%-მა აღნიშნა, რომ შეუმცირდათ ლიკვიდობა ან ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით პრობლემები შეექმნათ მას შემდეგ, რაც პანდემია დაიწყო (მსხვილი ფირმების 68%-ის საპირისპიროდ) (მსოფლიო ბანკი, 2020 [15]). 2020 წლის ოქტომბრისთვის მცირე საწარმოების 5.4% და საშუალო საწარმოების 2% დადასტურებით, ან სავარაუდოდ სამუდამოდ დაიხურა (მსხვილი ბიზნესებისთვის ეს მაჩვენებელი 0.4%-ს შეადგენდა), მაგრამ ეს რიცხვი, სავარაუდოდ, გაიზარდება, როდესაც მთავრობის მხარდაჭერის ზომები თანდათან მოიხსნება.

### **სამომავლო ქმედებები**

#### *რესტრუქტურისაციისა და ახალი სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა*

გრძელვადიანი COVID-19 კრიზისისა და საგანგებო სამთავრობო დახმარების ზომების შემცირების ფონზე, ბევრი კომპანია სავარაუდოდ ფინანსურ სირთულეებს წააწყდება. მცირე და საშუალო საწარმოები ამ მხრივ განსაკუთრებით დაუცველები არიან მათი შეზღუდული ფინანსური რეზერვებისა და ფულადი სახსრების თავისუფალი ნაკადის გათვალისწინებით. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ბიზნესის წარუმატებლობის შემთხვევების რიცხვი გაიზარდება. ფინანსურად შეზღუდული, მაგრამ სხვაგვარად სიცოცხლისუნარიანი კომპანიების გაკოტრების და ლიკვიდაციის შემთხვევების რაოდენობის მკვეთრი შეზღუდვის მიზნით, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ბიზნესებისთვის დახმარება გაკოტრებაზე მიმანიშნებელი ფაქტორების აღმოჩენაში და საწარმოების რეაბილიტაციის ხელშეწყობა. საქართველომ OECD-ის რეკომენდაციით, სტრატეგიაში დაამატა რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზანი. ამ მიზნიდან გამომდინარე, საქართველომ შეიძლება განიხილოს შემდეგი ზომების გატარების საჭიროება:

- **ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა:** არსებობს რამდენიმე სახის ადრეული გაფრთხილების მექანიზმი, რომელიც დაეხმარება მეწარმეებს გააცნობიერონ გადახდისუნარობის რისკი და მიიღონ ზომები წარუმატებლობის თავიდან ასაცილებლად. ეს შეიძლება იყოს თვითტესტები, სასწავლო კურსები მეწარმეებისთვის, რომლებიც გამოწვევების წინაშე არიან, და/ან საკონსულტაციო მომსახურება, როგორცაა დანიის ადრეული გაფრთხილების პროგრამა (იხ. ჩანართი 1.1).
- **დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ხელშეწყობა:** გადახდისუნარობის საქმის წარმოება შეიძლება საკმაოდ ძვირი იყოს და იშვიათად არის ყველაზე შესაფერისი არჩევანი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომლებსაც ფინანსური სირთულეები აქვთ. არა-სასამართლო პროცედურების გაძლიერება, როგორცაა არბიტრაჟი და მედიაცია, და მათი შეძლებისდაგვარად პრიორიტეტიზაცია, მეწარმეებს შესთავაზებს უფრო სწრაფ და იაფ გზებს კრედიტორებთან საერთო ენის გამოსაჩინად და დაეხმარებათ თავიდან აიცილონ თავიანთი აქტივების გაყიდვა, თუ გადახდისუნარობის დადგომის საფრთხე არსებობს. გადახდისუნარობის შესახებ ახალი კანონით შემოღებული


ზემოხსენებული „რეგულირებული ხელშეკრულება“ მისასაღმებელი ნაბიჯია ამ მხრივ და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული.

- **მეორე შანსის ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავება:** გადახდისუუნარობის რეჟიმის ბოლოდროინდელი გაუმჯობესებები შეიძლება კიდევ უფრო დაიხვეწოს მეორე შანსის პოლიტიკის დანერგვით, რომელიც ხელს შეუწყობს წარუმატებელი პატიოსანი მეწარმეების რეაბილიტაციას და საშუალებას მისცემს მათ პრაქტიკულად თავიდან წამოიწყონ თავიანთი საქმიანობა. ასეთი სტრატეგია შეიძლება ეფუძნებოდეს განსაზღვრული პერიოდის შემდეგ დავალიანებისგან განთავისუფლების შესაძლებლობას, და საჭიროა გაუქმდეს ისეთი დისკრიმინაციული დებულებები, როგორიცაა მკაცრი წესები ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, და შეთავაზებული უნდა იქნას მხარდაჭერის სერვისები ბიზნესის წარმოების ხელახალი დაწყებისთვის (მაგ. ტრენინგი და სწავლება, როგორც ამას აკეთებს პროექტი DanubeChance2.0 (ჩანართი 1.1)).

**ჩანართი 1.1. ადრეულ გაფრთხილებასთან და მეორე შანსთან დაკავშირებით არსებული კარგი პრაქტიკის მაგალითები**

**ადრეული გაფრთხილება დანია (EAD)**

ადრეული გაფრთხილება დანია (EAD), რომელიც 2007 წელს იქნა წამოწყებული, არის ეროვნული პროგრამა, რომელიც სთავაზობს უფასო, მიუკერძოებელ და კონფიდენციალურ რჩევებს ფინანსური პრობლემების და გადახდისუნარიობის რისკის წინაშე მყოფ მცირე და საშუალო ბიზნესებს. EAD-ში ჩართულია დაახლოებით 100 მოხალისე მრჩეველი (გამოცდილი მენეჯერები, ბიზნესის მფლობელები და სპეციალისტები), 15-20 გადახდისუნარიობის სფეროს იურისტი და 8 ადრეული გაფრთხილების კონსულტანტი, და პროგრამა სამი ეტაპის განხორციელებას ითვალისწინებს რომელიმე კომპანიისგან განაცხადის მიღების შემდეგ:



შეფასების კვლევებში აღნიშნულია პროგრამის ეფექტურობა და ამ კვლევებმა აჩვენა, რომ პროგრამაში მონაწილე კომპანიებმა, რომლებიც გადაურჩნენ გაკოტრებას, შეინარჩუნეს ან გააუმჯობესეს თავიანთი შესრულების ინდიკატორები. რაც შეეხება იმ კომპანიებს, ვინც თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, მათ ეს გააკეთეს უფრო დაბალი მოცულობის ვალით საჯარო სექტორის წინაშე, ვიდრე იმ კომპანიებმა, რომლებმაც არ მიიღეს მონაწილეობა პროგრამაში. პროგრამის დაწყებიდან მასში 5500-ზე მეტმა მცირე და საშუალო ბიზნესმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან ნახევარმა გადარჩენა მოახერხა. ვინაიდან ბევრი კომპანია ითხოვს ამ სერვისებს როდესაც სიტუაცია უკვე კრიტიკულია, EAD-ი ამჟამად განიხილავს კომპანიებთან ადრეულ ეტაპზევე თანამშრომლობის გზებს.

**DanubeChance2.0**

ეს მრავალწლიანი პროექტი 2018 წელს დაიწყო მეორე შანსის მეწარმეობის გასაძლიერებლად დუნაის რეგიონში (ავსტრია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ჩეხეთი, ხორვატია, გერმანია, უნგრეთი, მოლდოვა, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და უკრაინა). მისი ყოვლისმომცველი მიდგომა მოიცავს ბიზნესის აქსელერაციისა და რესტრუქტურისაციის სერვისებს, როგორცაა თვითშეფასების მეთოდოლოგია, ტრენინგები და მენტორინგი. იგი ეფუძნება პარტნიორობას საჯარო და კერძო დაინტერესებულ მხარეებთან (ტექნოპარკები, სამინისტროები, მეწარმეობის ცენტრები, კვლევითი ცენტრები, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სააგენტოები, ბიზნეს ქსელები).

წყაროები: არ არის დაზუსტებული.

**SME ტესტის გამოყენება ახალი რეგულაციების მიღების პროცესში**

რეგულაციებთან შესაბამისობის ხარჯები ხშირად დისპროპორციულად მაღალია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. RIA ეხმარება ამ ხარჯების შეფასებაში და პოტენციურად

ნაკლებად ძვირი გადაწყვეტილებების და/ან შემარბილებელი ღონისძიებების იდენტიფიცირებაში. საქართველომ შეიძლება განიხილოს მცირე და საშუალო საწარმოებზე მორგებული RIA-ს სისტემატური გამოყენება „SME ტესტის“ დანერგვის გზით, რასთან დაკავშირებითაც ევროკომისიის „უკეთესი რეგულირების ინსტრუმენტები“ პრაქტიკულ მითითებებს სთავაზობს (ევროკომისია, 2017[20]). ამ მიდგომას თან უნდა ახლდეს საჯარო და კერძო კონსულტაციები შედეგების განხილვისა და მცირე ფირმებისთვის შესაბამისობის დანახარჯების შემცირების შესაძლებლობების გამოსავლენად.

*ცნობიერების ამაღლების ინიციატივების აქტიურად განხორციელება მცირე და საშუალო საწარმოების რეგულაციების შეცვლასთან დაკავშირებით ინფორმირებულობის ხელშესაწყობად*

გარდა ზემოაღნიშნული DCFTA საინფორმაციო ცენტრებისა, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ფარგლებში გატარებული რეფორმებისა და საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ, მთავრობას შეუძლია მეტი ინიციატივების განხორციელება მცირე და საშუალო ბიზნესის ცნობიერების ამაღლების მიზნით ახალი კანონებისა და რეგულაციების შესახებ. OECD-ის რეკომენდაციით, საქართველომ დაუმატა სტრატეგიას საჯარო-კერძო დიალოგის გაძლიერების მიზანი. შეიძლება განიხილებოდეს სხვა ზომების გატარება, მაგ. ღონისძიებების ორგანიზება, სოციალური მედიის კამპანიების ჩატარება, სატელევიზიო რეკლამის გამოყენება და ბეჭდური საინფორმაციო კამპანიების განხორციელება.

*მთავრობის მიერ დაფინანსებული მხარდაჭერის პროგრამების ზეგავლენის შეფასება*

სტრატეგია ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერაზე მიმართული არსებული სამთავრობო პროგრამების გაძლიერებას და ახლი პროგრამების შემუშავებას. ამ მიზნით დაგეგმილია ფლაგმანი სამთავრობო პროგრამებისა და განმახორციელებელი სააგენტოების ფინანსური რესურსების ყოველწლიურად არსებითად გაზრდა 2025 წლამდე (+29% „აწარმოე საქართველოსთვის“ და +421% GITA-სთვის 2025 წლისთვის) (საქართველოს მთავრობა, 2021[21]). შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია ამ პროგრამებისა და მათი ზეგავლენის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათ ფარგლებში დასახული პოლიტიკის მიზნების მიღწევა. სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო: GIZ-ის პროექტის Clusters4Development-ის ფარგლებში სააგენტო ამჟამად შეიმუშავებს ზეგავლენის შეფასების ჩარჩოს, რომლის პილოტირება 2021 წლის ბოლოს განხორციელდება. ამ მიზნით, Syspons GmbH-მა, მისმა გერმანელმა პარტნიორმა, განახორციელა სააგენტოს შესაძლებლობების მონიტორინგი და შეფასება და დაეხმარა შესაბამისი ზემოქმედების ინდიკატორების იდენტიფიცირებაში, რომლებიც დესაგრეგირებული იქნება ფირმის ზომისა და გენდერის მიხედვით. ამის საფუძველზე, მეთოდოლოგიის თვალსაზრისით კარგი პრაქტიკა იქნება „გაჯანსაღების ეფექტის“ ეკონომეტრიული შეფასებების გამოყენება, ანუ მცირე და საშუალო ბიზნესების შედარება, რომლებმაც ისარგებლეს ან არ ისარგებლეს მხარდაჭერით. ბენეფიციართა გამოკითხვა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს ხარისხობრივ ასპექტთან დაკავშირებით უკუგების მისაღებად.

*მცირე და საშუალო საწარმოების სტატისტიკის გაფართოება*

ხარისხიანი სტატისტიკის წარმოება აუცილებელია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატმა) ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მცირე და საშუალო საწარმოების სტატისტიკის წარმოებასა და გავრცელებაში: მან გადასინჯა მცირე და საშუალო საწარმოების დეფინიცია დასაქმებულთა რაოდენობისა და კომპანიის ბრუნვის გათვალისწინებით, რითაც ეს დეფინიცია შესაბამისობაში მოიყვანა ევროკავშირის სტანდარტებთან და მონაცემები საერთაშორისო დონეზე შედარებადი გახდა. მან ასევე დაიწყო რეგულარული კვლევების ჩატარება სხვადასხვა ასპექტების მონიტორინგისთვის, როგორცაა დასაქმებულთა რაოდენობა, ხელფასები, მფლობელობა სქესის მიხედვით და ბიზნესის ადგილმდებარეობა, და 2018 წლიდან საქსტატი აქვეყნებს მონაცემებს ექსპორტის შესახებ ბიზნესის ზომის მიხედვით. თუმცა, ბიზნესის ზომის მიხედვით დესაგრეგირებული მონაცემები მიუწვდომელია ზოგიერთ კრიტიკულად მნიშვნელოვან სფეროსთან დაკავშირებით, როგორცაა გაციფრულება, გენდერი და მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება. ვინაიდან მთავრობა ამ თემებთან დაკავშირებით შემდგომ მუშაობას აპირებს, სტრატეგიაში ეს სფეროები მოაზრებული უნდა იყოს, როგორც პრიორიტეტული მიმართულებები საწარმოთა ზომის მიხედვით დესაგრეგირებული სტატისტიკის გასაფართოებლად. საერთაშორისო მონაცემთა ბაზები შეიძლება გამოყენებული იქნას მაგალითის სახით, მათ შორის, OECD ICT Access და Usage by Businesses Database მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების ინდიკატორებისთვის, ხოლო OECD-ს რანჟირება მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების თაობაზე შეიძლება გამოყენებული იქნას ფინანსებზე წვდომის ასპექტთან დაკავშირებით.

**ცხრილი 1.1. ინსტიტუციური და ოპერატიული გარემოს გაძლიერებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მიმოხილვა**

რეკომენდაცია	სტატუსი	დეტალები
რესტრუქტურისაციისა და ახალი სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა	●	სტრატეგიას დაემატა მიზანი, რომელიც შეეხება გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარებას. იგი ითვალისწინებს შემდგომ საკანონმდებლო ცვლილებებსა და რეაბილიტაციის ხელშეწყობ ზომებს.  გარდა ამისა, საქართველომ უნდა განიხილოს ადრეული გაფრთხილების სისტემის და მეორე შანსის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ინიციატივების დანერგვა. თავდაპირველად ეს ინიციატივები შეიძლება განხორციელდეს მცირე ზომის საპილოტე პროექტების სახით.
მცირე და საშუალო ბიზნესის ტესტის გამოყენება ახალი რეგულაციების მიღების პროცესში	●	სტრატეგია ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის ტესტის გამოყენებას საკანონმდებლო ცვლილებებთან მიმართებაში. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი ეფექტური განხორციელება და შედეგების განსახილველად საჯარო-კერძო კონსულტაციების გამართვა.
მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულაციების შეცვლასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების ინიციატივების გააქტიურება	●	სტრატეგიას დაემატა მიზანი, რომელიც შეეხება საჯარო-კერძო დიალოგის ხელშეწყობას (PPD) და მცირე და საშუალო ბიზნესის ცნობიერების ამაღლებას რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით. ის მოიცავს დამატებით აქტივობებს, რომლებიც მიმართულია ცნობიერების ამაღლებასა და საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმების გაძლიერებაზე.  თუმცა, ამ აქტივობების ზემოქმედების უკეთ მონიტორინგი შეიძლებოდა, მაგ. მთავრობის სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების, კანონებისა და რეგულაციების შესახებ საჯარო-კერძო დიალოგის შედეგად მიღებული მოსაზრებების გათვალისწინებით და მათი ასახვით მთავრობის მიერ შემუშავებული დოკუმენტების საბოლოო ვერსიებში.

რეკომენდაცია	სტატუსი	დეტალები
მთავრობის მიერ დაფინანსებული მხარდაჭერის პროგრამების ზეგავლენის შეფასება	●	სტრატეგიას დაემატა დებულება, რომელიც ითვალისწინებს ზემოქმედების შეფასების ჩარჩოს დანერგვას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ზოგიერთი პროგრამისთვის; 2025 წლისთვის დაგეგმილია ამის განხორციელება ოთხ პროგრამასთან დაკავშირებით.
ფართოზოლოვანი კავშირის შესახებ SME-ების სტატისტიკა	⓪	<p>სტრატეგია მოიცავს მიზანს, რომელიც ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის სტატისტიკის გაუმჯობესებს; ლოგიკურ ჩარჩოს დაზუსტდა და მას დაემატა ახალი სფეროები, რომლებიც მოიცავს გენდერს.</p> <p>წინსვლის მისაღწევად, საქართველომ შეიძლება განიხილოს მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების და დაფინანსების სტატისტიკის წარმოება.</p>

⓪ არ არის გათვალისწინებული    ⓪ ნაწილობრივ გათვალისწინებულია    ● გათვალისწინებულია

### ცხრილი 1.2. ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების მონიტორინგისთვის შემოთავაზებული KPI-ები

KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობის ზრდა	ეს ინდიკატორი თავდაპირველად დაიგემა, როგორც მთლიანი სტრატეგიის საერთო სამიზნე, მაგრამ ის უფრო შესაფერისია 1-ლი პრიორიტეტისთვის: უკეთესი ინსტიტუციური გარემო ეხმარება ფუნქციონირებაში და ამით შეუძლია გაზარდოს აქტივობა (ე.ი. პროდუქტიულობა).	27.7 მილიარდი ლარი	20% ზრდა	საქსტატი
OECD-ს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის ქულა „ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოსთვის“	SMEPI-ს ეს ინდიკატორი მოიცავს ინსტიტუციურ ჩარჩოს, RIA-ს და PPD-ს, და შესაბამისად, მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ პრიორიტეტთან.	4.20	გაუმჯობესებული ქულა	OECD SME პოლიტიკის ინდექსი
ზემოქმედების შეფასების განხორციელება შერჩეული სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებისთვის	ეს ინდიკატორი შეესაბამება OECD-ის რეკომენდაციას მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის როგორც არსებული, ისე ახალი პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით.	1 პროგრამა	4 პროგრამა	სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს ანგარიში
ტრენინგში მონაწილე პერსონალის % აცხადებს, რომ ისინი გამოიყენებენ ტრენინგზე შეძენილ უნარებს ყოველდღიურ მუშაობაში	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია „გაწვრთნილი პერსონალის %-ის ჩასანაცვლებლად, რაც უფრო შედეგის ინდიკატორი იყო. მონაცემების მისაღებად, ტრენინგის მონაწილეთა შორის მარტივი გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს ტრენინგიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგ. ელ.წერილი შეიძლება გაეგზავნოთ 3-ნ თვის შემდეგ.	არ არის ხელმისაწვდომი	70%	მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესის ანგარიში (AP)
შესაბამის ბაზარზე მოქმედი ბიზნესი	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც	არ არის ხელმისაწვდომი	პოზიტიური ცვლილება	საქართველოს კონკურენციის



KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
სუბიექტების რაოდენობის ცვლილება კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე	შემოთავაზებულია „ჩატარებული გამოკვლევების რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორია.			ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში
კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდა	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია „კონკურენციის სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორია.	არ არის ხელმისაწვდომი	პოზიტიური ცვლილება	საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში
მომხმარებელთა %, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ელექტრონული მმართველობის სერვისები 1) სასარგებლოა და 2) მარტივი გამოსაყენებელია	ეს ზემოქმედების ინდიკატორი დაგეხმარებათ მომსახურების ხარისხის შეფასებაში. ის შეიძლება იყოს ავტომატიზირებული მაგ. ეკრანზე 2 მარტივი შეკითხვა გამოჩნდება, როდესაც მომხმარებელი დაასრულებს სერვისით სარგებლობას, ანუ სისტემიდან გამოსვლამდე.	არ არის ხელმისაწვდომი	80%	My.gov.ge
გადახდისუუნარობის პროცენტულობის %, რამაც გამოიწვია საწარმოს რეაბილიტაცია და არა ლიკვიდაცია	ზემოქმედების ეს ინდიკატორი დაგეხმარებათ გადახდისუუნარობის შესახებ ახალი კანონის ეფექტურობის შეფასებაში.	5%	მთლიანობაში არანაკლებ 15%	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანგარიში

შენიშვნა: ეს ცხრილი მოიცავს მხოლოდ KPI-ებს, რომლებიც დაემატა პრიორიტეტს OECD-ის რეკომენდაციით. ის არ ასახავს ამომწურავად OECD-ის მიერ მოწოდებულ კომენტარებს, მაგ. KPI-ების გაუმჯობესებაზე, რომლებიც უკვე შეტანილი იყო ლოგიკური ჩარჩოს საწყის პროექტში. საბაზისო და სამიზნე მნიშვნელობები არის ის მაჩვენებლები, რაც შედის ლოგიკური ჩარჩოს მიღებულ ვერსიაში.

## პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

### არსებული ვითარება

საქართველომ 2016 წლიდან მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიაღწია ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რის შედეგადაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საუკეთესო შემსრულებელს გახადა მცირე და საშუალო ბიზნესის უნარების განზომილებაში OECD SMEPI 2020-ის მიხედვით (OECD et al., 2020[1]). კერძოდ, სამეწარმეო სწავლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს განათლების სისტემაში, განსაკუთრებით „განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში 2017-2021 წწ.“ და მასთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმებში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2017[22]). მეწარმეობა ახლა განიხილება, როგორც ძირითადი კომპეტენცია და დანერგულია ეროვნულ სასწავლო გეგმებში განათლების ყველა საფეხურზე.

გარდა ამისა, მეწარმეობასა და უნარების განვითარებას ხელი შეუწყო არაფორმალური სწავლების რამდენიმე ინიციატივის დანერგვამ. მაგალითად, GITA-მ დანერგა ფაბლაბები


(ფაბრიკაციის ლაბორატორიები), სადაც ადამიანებს შეუძლიათ წვდომა ინსტრუმენტებზე და ცოდნაზე, რომელიც აუცილებელია მათი პროექტების შემუშავებისა და გამოცდისთვის, მათ შორის, სტარტაპებთან დაკავშირებული იდეების ჩათვლით. 22 ასეთი ფაბლაბი შეიქმნა მთელი ქვეყნის მასშტაბით 2021 წლის დასაწყისისთვის, და ისინი წარმოდგენილია 12 ქალაქს ცხრა რეგიონში (ფაბლაბ საქართველო, 2021[23]).

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა (შემდგომში LMIS – lmis.gov.ge) წარმოადგენდა წინა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან მიღწევას. იგი 2016 წელს დაიწყო, და იგი ავსებს შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას ბაზრის ტენდენციების შესახებ განახლებული მონაცემების რეგულარულად მიწოდების გზით. ეს მონაცემები შეეხება დასაქმებას, სამუშაო ძალაზე მოთხოვნას, ხელფასებს, ინვესტიციებს და განათლებას (პროფესიული განათლების ჩათვლით).

მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი პროგრესისა, ინდიკატორები მიუთითებენ, რომ ქვეყანაში კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივი საჭიროება არსებობს. კურსდამთავრებულთა უნარები ყოველთვის არ შეესაბამება დამსაქმებლის მოლოდინებს. მცირე და საშუალო საწარმოები მუდმივად მიუთითებენ უნარების შეუსაბამობაზე, როგორც ერთ-ერთ მთავარ პრობლემაზე (დიაგრამა 1.1), ხოლო დამსაქმებლები ასახელებენ საჭირო კვალიფიკაციის ნაკლებობას, როგორც გამოცხადებული ვაკანსიების შევსების მთავარ დაბრკოლებას (შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა, 2020[24]). საქართველოს ქულები საერთაშორისო რეიტინგებში კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციისა და კვალიფიციური თანამშრომლების პოვნის სიმარტივის თვალსაზრისით ასევე დაბალია (141-დან 125-ე და 120-ე ადგილი, შესაბამისად, 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი[25])).

**სურათი 1.1. ძირითადი დაბრკოლებები, რომლებსაც მცირე და საშუალო ბიზნესი აწყდება**

მცირე და საშუალო ბიზნესის პროცენტი, რომელიც პრობლემას მთავარ დაბრკოლებად ასახელებს, 2019 წელი



წყარო: (World Bank, 2019[26]).

აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა პროფესიული განათლებისა და სწავლების (VET) განვითარებისკენ, ბოლოდროინდელი LMIS გამოკითხვები ცხადყოფს, რომ საქართველოში საწარმოების მხოლოდ 15%-ს ჰყავს პროფესიული განათლების მქონე თანამშრომლები (შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა, 2020[24]). საწარმოებსა და პროფესიული განათლების დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, საწარმოთა მხოლოდ 2% თანამშრომლობს პროფესიული განათლების დაწესებულებებთან, თუმცა 10%-მა ხაზი გაუსვა ამის საჭიროებას, და/ან სურვილი გამოთქვა, რომ ეს გააკეთოს უახლოეს მომავალში, მაგ. სტაჟირების ან სამუშაოზე ადგილზე სწავლების გზით.

და ბოლოს, COVID-19-ის პანდემიის გავლენა განათლების სისტემასა და შრომის ბაზარზე მოითხოვს დამატებით ზომებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას ტრენინგების უწყვეტობა და დაეხმაროს მუშაკებს ადაპტაციაში შრომის მოთხოვნასთან. შემაკავებელმა ზომებმა და სოციალურმა დისტანცირებამ გაზარდა ონლაინ ტრენინგის საჭიროება (OECD, 2020[27]), რაც ასევე ეხმარება მოშორებული ტერიტორიების მოცვას. პანდემიამ ასევე ცხადყო ციფრული უნარების მნიშვნელობას, სფეროს, სადაც ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაუმჯობესებელი. საქართველო 141-დან 125-ე ადგილზეა (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2019[25]) გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის შესაბამისად (იხ. დიაგრამა 2). გარდა ამისა, კრიზისის შედეგად იზრდება სამსახურიდან გათავისუფლების მაჩვენებელი; 2021 წლის მეორე კვარტალში უმუშევრობა 24%-ით გაიზარდა. ამიტომ აუცილებელია გათავისუფლებული მუშაკების სხვა სექტორებსა და პროფესიებში დასაქმების ხელშეწყობა (OECD, 2021[28]).

### **სამომავლო ქმედებები**

*პროფესიული გადამზადების პროგრამების გამოყენება გათავისუფლებული პერსონალის სხვა სამუშაოზე დასაქმების ხელშეწყობად*

სტრატეგიის საბოლოო ვერსიაში ასახულია COVID-19 კრიზისის სერიოზულ გავლენა ეკონომიკაზე, მაგრამ საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება ამ გამოწვევის გადასაჭრელად. ზოგიერთი სექტორი, როგორცაა საცალო ვაჭრობა, კვება და ტურიზმი, განსაკუთრებით დაზარალდა კრიზისის შედეგად, და სხვები, როგორცაა წარმოება, მშენებლობა და საბითუმო ვაჭრობა, მაღალი რისკის ქვეშაა (ადამიანის უფლებათა განათლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2020 [29]). მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილების დანაკარგები ამ სექტორებში გაიზარდა, სხვა სექტორებში, როგორცაა ტექნოლოგია, განსაკუთრებით ონლაინ პლატფორმები, და მოვლის სერვისები, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა იზრდება (ევროპის სასწავლო ფონდი, 2021 [30]) (OECD, 2021 [28]). მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 პანდემიის ზოგიერთი ზემოქმედება სამუშაო ბაზარზე დროებითია, რადგან ისინი დაკავშირებულია მთავრობის მიერ დაწესებულ შეზღუდვებთან, კრიზისით გამოწვეულ ზოგიერთ ცვლილებას, როგორცაა გადანაცვლება ტექნოლოგიების სულ უფრო მზარდი გამოყენებისკენ, გრძელვადიანი შედეგები ექნება. პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს მუშაკების კომპეტენციების შესაბამისობას დამსაქმებელთა საჭიროებებთან, და აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს სამუშაო ძალის გადანაწილებას მოთხოვნად და უფრო პროდუქტიულ სექტორებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ეკონომიკის ეფექტური აღდგენისთვის. რამდენიმე ინსტრუმენტს შეუძლია ხელი შეუწყოს დათხოვნილი მუშაკების გადაკვალიფიცირებისთვის და შეიძლება წარმოადგენდეს საინტერესო პოლიტიკის ვარიანტებს: ტრენინგების ჩატარების გარდა, უნარების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება საშუალებას მისცემს ადამიანებს უკეთ გაიგონ თავიანთი გამჭოლი

კომპეტენციები და უკეთესი წარმოდგენა იქონიონ, თუ რა სფეროში შეუძლიათ დასაქმება, რაც ხელს შეუწყობს მათ სხვა სექტორებში გადასაცვლებას. ავსტრალიის Skills Match ინსტრუმენტი ამ კუთხით საინტერესო მაგალითს წარმოადგენს: ის საშუალებას აძლევს სამუშაოს მაძიებლებს შეიყვანონ ამ ინსტრუმენტში თავიანთი სამუშაო გამოცდილება და უნარები და მიიღონ ინფორმაცია სამუშაოებზე, რომლებიც მოითხოვს მათ პროფესიულ ცოდნასა და შესაძლებლობებს. გარდა ამისა, პლატფორმა სთავაზობს საინფორმაციო მასალას კარიერაზე, შრომის ბაზრის ტენდენციებსა და დასაქმების პროგნოზებზე, რამდენიმე შესაბამის ვებსაიტზე ბმულებთან ერთად (JobOutlook, 2021<sup>[31]</sup>).

*კავშირის გაძლიერება სექტორებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის*

როგორც ზემოთ აღინიშნა, უნარების შეუსაბამობა, როგორც ჩანს, მუდმივი გამოწვევაა, მაგრამ იმავდროულად LMIS-ის კვლევამ ასევე გამოავლინა საწარმოებში პროფესიული განათლების სტუდენტებზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომელიც დაუკმაყოფილებელი რჩება. კომპანიების და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება პროფესიული განათლების სკოლებთან თანამშრომლობისკენ შეიძლება დაეხმაროს ამ შეუსაბამობის აღმოფხვრას. ამის მიღწევა შესაძლებელია სტაჟირების, შეგირდობის და სამუშაოზე ადგილზე სწავლის შესაძლებლობების გაზრდით, ასევე როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური ღონისძიებების საშუალებით - მაგ. საგადასახადო შეღავათები, ანაზღაურების ნაწილობრივი სუბსიდირება, ფორმალური პარტნიორობა სკოლებსა და ფირმებს შორის და/ან მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართვა ტრენინგების შემუშავებაში.

*პროფესიული განათლების მოდულების ონლაინ გადაწყვეტილებების შემუშავების ხელშეწყობა*

COVID-19-ის პანდემიამ მკაფიოდ გამოავლინა პროფესიული განათლების ონლაინ მოდულების საჭიროება დისტანციური სწავლების გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. ონლაინ ტრენინგების შეთავაზების გარდა, საქართველომ შეიძლება განიხილოს მასწავლებელთა ციფრული უნარების განვითარების საჭიროება, და ყველა დაინტერესებული მხარისთვის (პროფესიული განათლების სფეროს მასწავლებლები, დამსაქმებლები, მსმენელები) ინფორმაციისა და რესურსების გაზიარების სპეციალური პლატფორმის შექმნა. მაგალითად, ხორვატიამ შექმნა პორტალი (<http://nastava.asoo.hr>), სადაც სხვადასხვა სექტორის დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ატივითონ პროფესიული განათლების მასალები (ევროკომისია, 2020<sup>[32]</sup>). შესაბამისად, მომხმარებლებს შეუძლიათ წვდომა ტრენინგებზე მარტივად და უფასოდ, ხოლო გამოქვეყნებული მასალა შეიძლება გამოყენებული იქნას მაგალითის სახით დამატებითი მოდულების შესამუშავებლად.

*ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვა ციფრული უნარების განვითარების მიზნით*

ციფრული უნარები სულ უფრო მოთხოვნილიაა შრომის ბაზარზე, რაც ახლა საჭიროა პროფესიების უმეტესობისთვის (OECD, 2021 <sup>[28]</sup>). ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რათა მათ შეძლონ ციფრული ტექნოლოგიებისგან სარგებლის მიღება (მაგ. ახალ კლიენტებთან კავშირის დამყარება ელექტრონული კომერციის საშუალებით, წარმოების გაუმჯობესება ციფრული ინსტრუმენტებით, კლიენტების შესახებ უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება მონაცემთა ანალიტიკის საშუალებით და ა.შ.) და უადრესად გაციფრირებული ეკონომიკებისა და საზოგადოებებისადმი ადაპტირება. ციფრული უნარები შეიძლება ოთხ კატეგორიად დაიყოს, რაც საშუალებას აძლევს პოლიტიკის შემქმნელებს გააცნობიერონ, რომელი ტიპის უნარები ეხმარება ადამიანებს მაქსიმალურად მეტი სარგებელი მიიღონ ციფრული ტექნოლოგიებისგან:

- **საბაზისო უნარები**, მაგ. წიგნიერება და მათემატიკის ცოდნა: ეს საშუალებას აძლევს ადამიანებს განავითარონ და შეიძინონ უფრო მაღალი დონის შემეცნებითი უნარები, რომლებიც საჭიროა ციფრულ ეკონომიკასა და საზოგადოებებში, და ეხმარება მათ მოერგონ სწრაფად და მუდმივად ცვალებად ტექნოლოგიებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამ უნარების შექმნა ძირითადად ფორმალური განათლების სისტემის ფარგლებში ხდება;
- **ზოგადი ციფრული უნარები**, მაგ. ონლაინ ინფორმაციის წვდომა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს ყველა მუშაკისთვის. სამუშაო ადგილზე ტრენინგი ამ თემაზე შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს, განსაკუთრებით დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკებისთვის;
- **სიღრმისეული ციფრული უნარები**, მაგ. IT პროდუქტებისა და სერვისების განვითარებისათვის საჭირო უნარები, როგორცაა პროგრამირება, აპლიკაციების შემუშავება, ქსელების მართვა, რომლებიც ციფრული სფეროს სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ;
- **დამატებითი უნარები**, მაგ. შემეცნებითი უნარები, ინტერპერსონალური უნარები (ინფორმაციის დამუშავება, თვითმართვა, პრობლემების გადაჭრა, კომუნიკაცია), მენეჯერული და ორგანიზაციული უნარები, რომლებიც ციფრულ გარემოში მუშაობის საშუალებას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიით გათვალისწინებულია ციფრული უნარების ტრენინგების გაფართოება, საქართველომ შეიძლება გააძლიეროს თავისი ძალისხმევა ამ სფეროში ციფრული წიგნიერების ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვით, მრავალრიცხოვან პოლიტიკის ვარიანტებზე დაყრდნობით - მაგ. საჭიროებების შეფასება, ტრენინგები, რესურსები და მრავალი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით განხორციელებული ინიციატივები<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხილეთ ჩანართი 1.2 და მე-2 ნაწილი, რომელიც დეტალურად აფასებს ციფრული უნარების თვალსაზრისით საქართველოში არსებულ მდგომარეობას, ამ მიმართულებით განხორციელებულ პოლიტიკას, ასევე პოლიტიკის რამდენიმე ვარიანტს, ამ უნარების განვითარების ხელშესაწყობად.

## ჩანართი 1.2. ციფრული უნარებისადმი მრავალმხრივი მიდგომის ჩამოყალიბება

### მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებების შეფასება

თვითდიაგნოსტიკების ინსტრუმენტები შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს მცირე და საშუალო საწარმოების დასახმარებლად, რათა მათ თავიანთი საჭიროებების იდენტიფიცირება მოახდინონ. მაგალითად, ლუქსემბურგის სავაჭრო პალატამ (Chambre des Métiers) დანერგა ონლაინ თვითშეფასება „Digicheck“, რომელიც მოიცავს ექვს თემას - კომუნიკაცია, მართვა, ადამიანური რესურსები, უსაფრთხოება, რეგულირება და წარმოება და მომსახურება. 10-15 წუთიანი კითხვარის შემდეგ, ინსტრუმენტი ქმნის ციფრული სიმწიფის პროფილს და მომხმარებელს რეკომენდაციებს სთავაზობს. რესპონდენტს ასევე შეუძლია კონსულტაცია გაიაროს ექსპერტთან შედეგების განსახილველად. ასეთი ინსტრუმენტები ასევე ციფრული უნარების ხარვეზის შესახებ ანონიმური მონაცემების შეგროვების საშუალებას იძლევა.

### სპეციალური ინსტრუმენტების შექმნა

ტრენინგები: მაგ. პროცესების გაციფრულების, ციფრული მარკეტინგის/სოციალური ქსელების გამოყენების, კიბერუსაფრთხოების შესახებ.

სახელმძღვანელოები: უფასო და ადვილად ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოების მიწოდება – სინგაპურის Infocomm მედია განვითარების სააგენტო სთავაზობს კონკრეტული სექტორის მცირე და საშუალო ბიზნესისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებს (ინდუსტრიის ციფრული გეგმები).

ერთიანი პორტალი: ერთიანი საინფორმაციო პორტალის შექმნა, როგორცაც ესპანეთის Acelera PYME, რომელიც ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში და რეგიონებში წვდომის გაფართოებაში.

### მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით ინიციატივების ხელშეწყობა

კომპეტენციების ოფიციალური აკრედიტაცია: ICT ცოდნის საერთო საცნობარო ჩარჩოს ჩამოყალიბება სტანდარტების დადგენის, პროგრამებისა და სწავლის შედეგების ხარისხის უზრუნველყოფის და დაქირავების პროცესის გამარტივების საშუალებას იძლევა. ევროკავშირის ელექტრონული კომპეტენციის ჩარჩო, რომელიც შექმნილია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ინდუსტრიის ყველა სექტორში და მოიცავს 40 ელექტრონულ კომპეტენციას და ითვალისწინებს ცოდნის 5 დონეს, ამის კარგი მაგალითია.

ცნობიერების ამაღლებაზე/კოლეგებთან ცოდნის გაზიარებაზე მიმართული აქტივობები: ამ მიზნის მიღწევაზე მიძღვნილ ღონისძიებებს ასევე შეუძლია გაზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის ინფორმირებულობა არსებული თემისა და რესურსების, და ციფრული ინსტრუმენტების დანერგვის გზების შესახებ. ფინეთის საწარმოთა ფედერაცია აწყობს უფასო ყოველწლიურ ღონისძიებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, კონფერენციების და კოლეგებს შორის ცოდნის გაზიარების ფორმით, რომლებიც მიმართულია მეწარმეების მხარდაჭერაზე მათი ციფრული ტრანსფორმაციის ადრეულ ეტაპებზე.

წყარო: მითითებული არასწორი წყარო., (Infocomm Media Development Authority[33])

**ცხრილი 1.3. სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციების მიმოხილვა**

რეკომენდაციები	სტატუსი	დეტალები
გადამზადების პროგრამების განხორციელება, რათა დაეხმაროს დათხოვნილ მუშაკებს ახალ სამუშაოზე დასაქმებაში	○	სტრატეგია არ ითვალისწინებს გადამზადებაზე მიმართულ ღონისძიებებს
მრეწველობისა და პროფესიული განათლების დაწესებულებებს შორის კავშირების გაძლიერება	●	სტრატეგიას დაემატა მითითება პროფესიული განათლების დაწესებულებებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ, რომელსაც თან ახლავს სამუშაო ადგილზე სასწავლო პროგრამების რაოდენობის შესახებ ინდიკატორი. მომავალში შეიძლება განიხილებოდეს დამატებითი ზომები, როგორც ზემოთ იყო აღწერილი.
პროფესიული განათლების მოდულების ონლაინ გადაწყვეტილებების შემუშავების ხელშეწყობა	○	ზოგიერთი პროფესიული განათლების მოდული ონლაინ ფორმატში იქნა გადაყვანილი 2020 წელს COVID-19-ის გავრცელების შემდეგ. შემდგომი ონლაინ პროფესიული განათლების გადაწყვეტილებები ამჟამად არ არის განსაზღვრული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ როგორც პრიორიტეტი.
ყოველსომომცველი მიდგომის დანერგვა ციფრული უნარების განვითარებასთან მიმართებაში	●	დაემატა ციფრული წიგნიერების განვითარების მიზანი, რომელიც ეხება პროექტ LogIn Georgia-ს (იხ. ნაწილი 2), ასევე ციფრული უნარების ტრენინგების მონაწილეთა ინდიკატორი, რომელთა რაოდენობა მოსალოდნელია, რომ გაიზარდება. დამატებითი ზომები შეიძლება განიხილებოდეს მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების ხელშესაწყობად, როგორც ეს მოცემულია ჩანართში 1.2 და ნაწილში 2.

○ არ არის გათვალისწინებული      ● ნაწილობრივ გათვალისწინებულია      ● გათვალისწინებულია

**ცხრილი 1.4. უნარების განვითარების პოლიტიკის მონიტორინგისთვის შემოთავაზებული KPI-ები**

KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
ტრენინგის მონაწილეთა %, რომლებიც აცხადებენ, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები დაეხმარება მათ გააუმჯობესონ შრომის უსაფრთხოება თავიანთ სამუშაო ადგილას, ან გააუმჯობესონ უსაფრთხოების წესების დაცვა	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია, რათა შეავსოს „გამართული ტრენინგების რაოდენობა“, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორი იყო.  მონაცემების მისაღებად, ტრენინგის მონაწილეთა შორის მარტივი გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს ტრენინგიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგ. მათ შეიძლება ელ.წერილი გაეგზავნოს 3-6 თვის შემდეგ.	0	80%	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ანგარიში
ტრენინგში მონაწილე მწარმეების %, რომლებიც ფიქრობენ, რომ ტრენინგის დროს მიღებული უნარები და ცოდნა სასარგებლო იქნება საკუთარი ბიზნესის გასაუმჯობესებლად/დასაწყებად	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია „ტრენინგში მონაწილე მწარმეთა რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის	არ არის ხელმისაწვდომი	65%	სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს,

KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
	ინდიკატორია.  მონაცემების მისაღებად, ტრენინგის მონაწილეთა შორის მარტივი გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს ტრენინგიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგ. მათ შეიძლება ელ.წერილი გაეგზავნოს 3-6 თვის შემდეგ.			საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (GCCI) ანგარიში
მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია „ახლად ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორი იყო.	444 სტუდენტი ყოველწლიურად	1 500 სტუდენტი ყოველწლიურად	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიში
დუალურ მიდგომაზე დაფუძნებული პროფესიული განათლების პროგრამების რაოდენობა	ეს ინდიკატორი დაემატა MESD-ს მიერ, OECD-ის წინადადებით, რომლის შესაბამისადაც უნდა დამატებულიყო სამუშაო ადგილზე სწავლის ინდიკატორი	35-მდე	45-მდე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიში
LMIS მომხმარებელთა რაოდენობა, რომლებიც პოულობენ სამუშაოს	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია „LMIS მომხმარებელთა რაოდენობის,“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორი იყო. ის დაეხმარება სერვისების ეფექტურობის შეფასებაში.	908 პირი, მათ შორის 699 ქალი	10%-იანი ზრდა	ჯანდაცვის სამინისტრო
ტრენინგში მონაწილე კომპანიების რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები დაეხმარება მათ პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის/გარემოს და სოციალური და კორპორატიული მმართველობის პრინციპების დანერგვაში.	OECD-მ თავდაპირველად ზემოქმედების ინდიკატორის სახით შესთავაზა გამოყენებინათ „მონაწილე კომპანიების რაოდენობა, რომლებმაც დანერგეს RBC/ESG პრინციპები თავიანთ ოპერაციებში“, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიები არ არიან ვალდებული ეს განახორციელონ, სამინისტრომ აირჩია სხვა ინდიკატორი.	არ არის ხელმისაწვდომი	70%	სსიპ „აწარმოე საქართველოში“, ანგარიში

შენიშვნა: ეს ცხრილი მოიცავს მხოლოდ იმ KPI-ებს, რომლებიც დაემატა პრიორიტეტებს OECD-ის რეკომენდაციით. ის არ ასახავს ამომწურავად OECD-ის მიერ მოწოდებულ კომენტარებს, მაგ. KPI-ების გაუმჯობესებაზე, რომლებიც უკვე შეტანილი იყო ლოგიკური ჩარჩოს საწყის პროექტში. საბაზისო და სამიზნე მნიშვნელობები არის ის, რაც შედის ლოგიკური ჩარჩოს მიღებულ ვერსიაში.



### პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

#### არსებული ვითარება

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების წინა სტრატეგიის განხორციელების პერიოდში, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე წვდომა გამარტივდა. მცირე ფირმებისთვის საერთო საკრედიტო პირობები გაუმჯობესდა: საშუალო საპროცენტო განაკვეთები შემცირდა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გაცემულ სესხებზე, ეს შემცირება უფრო საგრძნობი იყო უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე, ვიდრე ეროვნულ ვალუტაში, და სხვაობა მცირე და საშუალო ბიზნესებზე გაცემულ სესხებზე და მსხვილ ფირმებზე გაცემულ სესხებზე ასევე შემცირდა. კომერციული ბანკების მცირე და საშუალო ბიზნესის სასესხო პორტფელი იზრდებოდა, რაც 2015-2019 წლებში 21.4%-იან წლიურ ზრდას აღწევდა (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019[34]).

გარდა ამისა, მთავრობამ დაიწყო საბანკო დაფინანსების სხვადასხვა ალტერნატიული ინსტრუმენტების ბაზრის განვითარება. მან შემოიღო ზომები მიკროსაფინანსო სფეროს განვითარებისა და ახალი დაფინანსების ინსტრუმენტების გამოყენების მხარდასაჭერად, კერძოდ კი, სტარტაპებისთვის რეგულაციებისა შემუშავების და ფონდების მოზიდვის შესახებ ტრენინგების ჩატარების მეშვეობით. 2020 წელს მიღებული ახალი კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ განსაზღვრავს კოლექტიური საინვესტიციო სქემების სამართლებრივ ჩარჩოს და სხვადასხვა ტიპის საინვესტიციო ფონდებს (საქართველოს მთავრობა, 2020[35]). თუმცა, ალტერნატიული დაფინანსების პოტენციური ძირითადად გამოუყენებელი რჩება, და საჭიროა დამატებითი ინსტრუმენტების ხელშეწყობა, რათა შესაბამისობა იყოს უზრუნველყოფილი ბიზნესის სხვადასხვა საჭიროებებსა და პრიორიტეტებს შორის. მაგალითად, ლიზინგი და ფაქტორინგი ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა და ვენჩურული კაპიტალი და ბიზნეს ანგელოზის საქმიანობა ჯერ კიდევ თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზე რჩება. გაციფრულება ასევე გთავაზობს დაფინანსების ახალ მექანიზმებს, რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოებს საბანკო დაფინანსების ალტერნატივებს სთავაზობს, მაგ. პარტნიორი საწარმოების მხრიდან დაფინანსება, ან პლატფორმაზე დაფუძნებული დაკრედიტება, რითიც შესაძლებელია იმ პროექტების მხარდაჭერა, რომლებსაც ტრადიციული ბანკები, ჩვეულებრივ, ძალიან მცირედ, ან ძალიან სარისკოდ მიიჩნევენ.

განხორციელდა ფინანსური განათლების ხელშეწყობის რამდენიმე ინიციატივა. საქართველომ მიიღო ფინანსური წიგნიერების ეროვნული სტრატეგია მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის შეფასების შემდეგ 2016 წელს. საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) ფინანსური განათლების პროგრამას სთავაზობს მიკრო და მცირე საწარმოებს, რომლის ბენეფიციართა რაოდენობამ 2019 წელს მიაღწია 1 200-ს მიაღწია. ეროვნული ბანკი ასევე შეიმუშავებს ბროშურებსა და მართავს ტრენინგებს მეწარმეებისთვის სოფლის მეურნეობის სფეროში, ხოლო ფინანსური წიგნიერება საქართველოს ყველა სკოლაში 2019 წლიდან ისწავლება (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019[34]).

COVID-19 კრიზისის დაწყების შემდეგ, მთავრობამ სწრაფად დაწერა ფინანსური ინსტრუმენტების ფართო სპექტრი საწარმოების მხარდასაჭერად და ლიკვიდობის დეფიციტის დასაძლევად, რაც გამოწვეული იყო შეზღუდვებით და ზოგადად ეკონომიკური აქტივობის შენელებით. აწარმოე საქართველოს საკრედიტო გარანტიის სქემა 2020 წელს 330 მლნ ლარამდე გაიზარდა (107 მლნ აშშ დოლარი), და მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 2

მილიარდ ლარს მიაღწია, სადაც ახალი სესხების გარანტია 90%-ი, ხოლო რესტრუქტურისაზიზაზე 30%-ი იყო გათვალისწინებული. ფირმებმა ასევე ისარგებლეს თანადაფინანსების გაუმჯობესებული პირობებით, მაგ. სესხის/ლიზინგის თანადაფინანსების ვადის 36 თვემდე გაგრძელებით (იხ. 24). დამატებითი დახმარება გაეწია ზოგიერთ სექტორს, რომელიც განსაკუთრებით დაზარალდა. ასეთი დახმარებით ისარგებლეს მაგ. პატარა სასტუმროებმა, რესტორნებმა, საბავშვო ბაღებმა და ფიტნეს დაწესებულებებმა, რომლებმაც 70-80% პროცენტის ოდენობის სუბსიდია მიიღეს არსებულ სესხებზე, სესხის ვალუტიდან გამომდინარე.

მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი ზომებისა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და გრძელვადიან დაბრკოლებად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, როგორც ეს აღნიშნულია 2019 წლის საწარმოთა კვლევებში (დიაგრამა 1.1). მცირე და საშუალო საწარმოებს დღესაც უფრო მეტი სირთულე ექმნებათ დაფინანსებაზე წვდომისას, ვიდრე მსხვილ საწარმოებს: მცირე საწარმოების 20.6%-ს უარს ეუბნებიან სესხის გაცემის შესახებ განაცხადის დაკმაყოფილებაზე, მაშინ როდესაც მსხვილი საწარმოების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 2.6%-ს შეადგენს. მათ შორის ეს სხვაობა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს. გარდა ამისა, ამ საკითხის მნიშვნელობა აისახება სტრატეგიის სხვა განზომილებებში, როგორცაა ინტერნაციონალიზაცია, ინოვაცია, ქალთა მეწარმეობა და მწვანე ეკონომიკა (იხილეთ დოკუმენტის შესაბამისი ნაწილები ქვემოთ).

დაბოლოს, სტრატეგიაში აღიარებულია რა COVID-19-ის გავლენა ბიზნესზე, იმავდროულად, აუცილებელია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა პოსტ-COVID ეპოქისთვის მოსამზადებლად. ფინანსური მხარდაჭერის ზომების თანდათანობით გაუქმებასთან ერთად, ფირმები ლიკვიდურობიდან გადახდისუნარიანობის კრიზისში გადასვლის რისკის წინაშე დგებიან: მაშინ, როცა სამთავრობო მხარდაჭერის უპრეცედენტო ოდენობამ ბევრ ფირმას საშუალება მისცა დაეძლია კრიზისი შეზღუდვების დაწესების პერიოდში, მეწარმეები ახლა დიდი ალბათობით გადაჭარბებული ვალის რისკის წინაშე დგანან, რომელიც ამ პრობლემაზე მორგებული საჯარო პოლიტიკის ზომების გატარებას მოითხოვს. შეზღუდვებიდან გამოსვლის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს რამდენიმე პრინციპს - საწარმოთა ხელახალი გახსნისა და ახალი სამუშაო ადგილების ხელშეწყობას, დაცვის და სხვა სექტორებში გადანაცვლების დაბალანსებას, და ისეთი გაკოტრებების პრევენციას, რაც შეიძლება თავიდან იქნას აცილებული (Blanchard, Philippon and Pisani-Ferry, 2020 [36]). რამდენადაც მხარდაჭერის ზომები თანდათან მცირდება ეკონომიკის გახსნასთან ერთად, საჭიროა დასაქმებულების და ფირმების მხარდაჭერაზე მიმართული ზომების განხორციელების გაგრძელება, მაგრამ გარკვეული კორექტირებების შეტანით: მაშინ, როდესაც დასაქმების მხარდაჭერა მიმართული უნდა იყოს იმ სექტორებზე, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ კრიზისის შედეგად, სასესხო გარანტიები კვლავ უნდა იყოს გათვალისწინებული სიცოცხლისუნარიანი და გადახდისუნარიანი ფირმებისთვის. თუმცა, სიცოცხლისუნარიან, მაგრამ გადახდისუნარო ფირმებს უფრო მეტი სტიმულირება სჭირდება რესტრუქტურისაზიზაციის გეგმების შესამუშავებლად.

## სამომავლო ქმედებები

*COVID-19-თან დაკავშირებული ფინანსური მხარდაჭერის პაკეტების მორგება  
პოსტკრიზისულ პერიოდზე*

ზემოაღნიშნული გადახდისუნარიანობის კრიზისის რისკის გათვალისწინებით, პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ შემდეგ ზომებს მიმართონ:

- **განიხილონ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების კვაზი კაპიტალის ინსტრუმენტებად გადაქცევა** მომავალში მოცემული პერიოდისთვის უფრო მაღალი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის სანაცვლოდ. ეს შეამცირებს ფირმების ბალანსზე არსებულ სავალო ვალდებულებებს და გაზრდის კაპიტალის ბუფერს, და ამავდროულად გააუმჯობესებს მათ, როგორც მოქმედი ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობას, და საბოლოო ანგარიშში შეამცირებს გადახდისუნარიანობის რისკს. ეს ვარიანტი შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს მცირე ფირმებისთვის მსხვილი კაპიტალის მქონე ფორმებთან შედარებით, რადგან ეს ნაკლებ მონიტორინგს მოითხოვს და თავიდან აცილებს სახელმწიფოს გადატვირთვას მცირე საწარმოს აქციონერების პრეტენზიებით.
- **სამიზნე სექტორები, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ და/ან ყველაზე ნელა იხსნებიან ხელახლა:** რადგან მთავრობები თანდათან ამცირებენ ფირმებისა და მუშაკებისთვის გაწეულ დახმარებას, ისინი უნდა შეეცადონ გააგრძელონ იმ სექტორების გარკვეული მხარდაჭერა, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ, მათ შორის, მომსახურების და ტურიზმის სექტორების.

*ალტერნატიული და ციფრული დაფინანსების ინსტრუმენტების სამართლებრივი გარემოს გაძლიერება*

შემდგომი ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას დაფინანსების ინსტრუმენტების უფრო ფართო სპექტრის განვითარებისა და ათვისების ხელშეწყობისთვის, როგორცაა ონლაინ დაკრედიტება, ფინტეკი და ქრადფანდინგი. ალტერნატიული და ციფრული ფინანსური გადაწყვეტილებებისთვის ძლიერი საკანონმდებლო ბაზის შექმნამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პრაქტიკის დამკვიდრებას და გაფართოებას. ამასთან დაკავშირებით, საქართველომ შეიძლება განიხილოს მარეგულირებელი საექსპერიმენტო ინიციატივების დანერგვა (EU4Digital, 2020[37]) (Attrey, Leshner and Lomax, 2020[38]) (ჩანართი 1.3). ისინი წარმოადგენენ ეფექტურ ინსტრუმენტს ფინტეკის სფეროში ინოვაციების გასაძლიერებლად და მარეგულირებელი პრაქტიკის ინფორმირებისთვის, ეროვნული ბანკის რეგულაციის პროექტზე დაფუძნებით, რომელიც მარეგულირებელი ლაბორატორიის (Sandbox) ჩარჩოს შექმნას ითვალისწინებს, მაგალითად, როგორცაა კაპიტალზე დაფუძნებული ქრადფანდინგი.

## ჩანართი 1.2. რეგულირებასთან დაკავშირებული საექსპერიმენტო ინიციატივები

მარეგულირებელი საექსპერიმენტო ინიციატივები განისაზღვრება როგორც კონკრეტული ჩარჩოები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტრუქტურირებულ ექსპერიმენტულ კონტექსტს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს ინოვაციური ტექნოლოგიების, პროდუქტების, სერვისების ან მიდგომების გასატესტად. კერძოდ, ისინი მიმართულია სამართლებრივი სივრცის შექმნაზე, რომელიც სტრუქტურირებულია თითოეული შემთხვევის კონტექსტის გათვალისწინებით, რაც საჭირო მოქნილობის საშუალებას იძლევა. ისინი წარმოადგენენ ინფორმირებული მარეგულირებელი დიზაინის საფუძველს, რადგან ისინი მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის დაგროვების საშუალებას იძლევიან, რომელიც მარეგულირებლებს წარმოადგენს უქმნის ინოვაციური ინსტრუმენტების ზემოქმედების შესახებ, რაზე დაყრდნობითაც შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება ხდება.

### ახუ დაბის გლობალური ბაზრის ციფრული საექსპერიმენტო ინიციატივა

ფინანსური სერვისების მარეგულირებელი ორგანოს მხარდაჭერით, პროგრამა ფინანსურ და ციფრულ პროდუქტებსა და სერვისებთან დაკავშირებით ექსპერიმენტული გადაწყვეტილებების განხორციელების საშუალებას იძლევა, რათა ხელი შეუწყოს მარგინალიზებული მოსახლეობის ფინანსური ინკლუზიას ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის (MENA) რეგიონში. ამ ლაბორატორიამ სხვადასხვა ინოვაციების ტესტირების შესაძლებლობა შექმნა, მათ შორის აპლიკაციის პროგრამის ინტერფეისების (API), რაც კომპიუტერების ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა, მომხმარებლის მხრიდან აპლიკაციებით სარგებლობის გაადვილების პარალელურად. ეს ტექნოლოგია ასევე საფუძვლად უდევს ASEAN ფინანსურ ინოვაციების ქსელთან პარტნიორობას, რომელიც საშუალებას მისცემს ამ ინიციატივის მონაწილეებს წვდომა მიიღონ საერთაშორისო ბაზრების მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებზე.

### ინოვაციის ლინკი გაერთიანებულ სამეფოში

ის მიზნად ისახავს ენერგეტიკული ბაზრების ინოვაციას ინოვაციური ბიზნეს პროდუქტების, სერვისებისა და მოდელების ტესტირების საშუალებით, რომლებიც არ ხვდებიან არსებული რეგულირების ფარგლებში. იგი აფასებს მათ აუცილებლობას და აძლევს მეწარმეებს რჩევებს, თუ როგორ უნდა დანერგონ ახალი ინსტრუმენტები არსებული რეგულაციების პირობებში. ასეთი ინოვაციებისთვის ექსპერიმენტული რეგულირება მხოლოდ სამ შემთხვევაში იყო საჭირო, ე.ი. რეგულაციებიდან გადახვევა მოხდა ჰკვიანი სახლის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ახალი ტარიფის ტესტირების მიზნით.

### ტაილანდის საექსპერიმენტო ინოვაციები

ეს ინოვაციების საექსპერიმენტო ლაბორატორია მიზნად ისახავს ინოვაციას ICT სექტორში, რათა ხელი შეუწყოს 5G-ს დანერგვას. ის მთელ რიგ რეგიონებში სხვადასხვა სიხშირის ტესტირების საშუალებას იძლევა, რომლებიც არსებული რეგულაციების მიღმაა. ამ საექსპერიმენტო ლაბორატორიებზე წვდომა ღიაა ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისთვის, რომელსაც სურს გამოიყენოს 5G ტექნოლოგია თავის დომენში, ექსპერიმენტების წახალისების მიზნით.

წყარო: მითითებულია არასწორი წყარო:

*ვენჩურული კაპიტალის და ბიზნეს ანგელოზების ეკოსისტემის შემდგომი განვითარება*

OECD-ის რეკომენდაციების შესაბამისად, სტრატეგიას დაემატა ვენჩურული კაპიტალის და ბიზნეს ანგელოზების ეკოსისტემის შემდგომი განვითარება. ამის მიღწევა შესაძლებელია

საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონის ევროკავშირის ვენჩურული კაპიტალის რეგულაციებთან დაახლოებით და დამატებითი სამართლებრივი დებულებების შემოღებით, როგორცაა ბიზნეს ანგელოზის სამართლებრივი დეფინიცია. ასევე შეიძლება განიხილებოდეს თანაინვესტირების სქემები და ვენჩურული კაპიტალის მენეჯერების შესაძლებლობების განვითარება. 2020 წლის ანგარიში (EU4Digital, 2020<sup>[37]</sup>) შეიცავს დეტალურ ანალიზს და რეკომენდაციებს ამ თემებზე.

*ფინანსურ განათლებაზე მიმართული ინიციატივების გაფართოება*

და ბოლოს, ფინანსური განათლების მიმართულებით დაგეგმილი ინიციატივების შესავსებად, შეიძლება განიხილებოდეს დამატებითი ზომების გატარების მიზანშეწონილობა მეწარმეების ფინანსური განათლების დონის შესახებ მტკიცებულებების ბაზის გასაუმჯობესებლად. OECD-ის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელმა (INFE), რომელშიც 125-ზე მეტი ქვეყნიდან საჯარო დაწესებულებებია გაერთიანებული, ახლახან შეიმუშავა კითხვარი მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური წიგნიერების შესავსებად, რომელიც შეიძლება სასარგებლო სახელმძღვანელო მითითება იყოს მონაცემთა შეგროვებისა და მონიტორინგისთვის (OECD, 2020 [ 39]).

**ცხრილი 1.5. რეკომენდაციების მიმოხილვა მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად**

რეკომენდაციები	სტატუსი	დეტალები
COVID-19-თან დაკავშირებული ფინანსური მხარდაჭერის პაკეტების ადაპტირება პოსტკრიზისულ პერიოდზე	○	სტრატეგიაში არ არის მითითებული კონკრეტული ზომები COVID-თან დაკავშირებული ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების ადაპტაციის შესახებ. გათვალისწინებული უნდა იყოს რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს კრიზისის შედეგების დაძლევაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფაზე მიმართული ზომების გატარებას.
ალტერნატიული და ციფრული დაფინანსების ინსტრუმენტების სამართლებრივი გარემოს გაძლიერება	●	მთავრობამ განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია ასახულია სამოქმედო გეგმაში. თუმცა, ლოგიკურ ჩარჩოში მხოლოდ ლიზინგი და ფაქტორინგი არის ნახსენები. აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელების მონიტორინგი.
ვენჩურული კაპიტალის და ბიზნეს ანგელოზების ეკოსისტემის შემდგომი განვითარება	●	სტრატეგიას დაემატა სპეციალური მიზანი, და ლოგიკური ჩარჩო მიზნად ისახავს წლიური ფინანსური ინვესტიციების მოცულობის გაორმაგებას 2025 წლისთვის.
ფინანსური განათლების ინიციატივების გაფართოება	●	სტრატეგია ითვალისწინებს ფინანსური წიგნიერების შემდგომ გაუმჯობესებას და OECD/INFE ინსტრუმენტი გამოყენებული იქნება მონიტორინგის მიზნებისთვის.

○ არ არის გათვალისწინებული      ● ნაწილობრივ გათვალისწინებულია      ● გათვალისწინებულია

**ცხრილი 1.6. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მონიტორინგისთვის შემოთავაზებული KPI-ები**

KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
მცირე და საშუალო საწარმოების ინვესტიციები ძირითად საშუალებებში	მისი ინდიკატორი შემოთავაზებული იყო, როგორც ამ პრიორიტეტის ზემოქმედების ინდიკატორი, მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობის ჩასანაცვლებლად (ახლა გამოიყენება სტრატეგიის საერთო სამიზნე ინდიკატორად). ის პრიორიტეტის მონიტორინგის საშუალებას იძლევა, რადგან მასზე პირდაპირ გავლენას ახდენს ფინანსების ხელმისაწვდომობა.	2.5 მილიარდი ლარი	15%-იანი ზრდა	საქსტატი
სახელმწიფო საფინანსო პროგრამებში მონაწილე კომპანიების რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ დაფინანსება არასახელმწიფო წყაროებიდან სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ.	ზემოქმედების ეს ინდიკატორი შემოთავაზებული იყო სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების გავლენის შესაფასებლად.	10%	40%	GITA-ს ანგარიში
ტრენინგის მონაწილეთა %, რომელიც აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები დაეხმარება მათ უკეთ მართონ თავიანთი ბიზნესის ფინანსები	ზემოქმედების ეს ინდიკატორი შემოთავაზებულია „აქტივობებისა და დონისძიებების რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორი იყო.  მონაცემების მისაღებად, ტრენინგის მონაწილეებს შორის შეიძლება ჩატარდეს მარტივი გამოკითხვა ტრენინგიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგ. მათ შეიძლება გაეგზავნოთ ელ.წერილი 3-6 თვის შემდეგ.	n/a	80%	სებ-ის ანგარიში
მეწარმეების ფინანსური წიგნიერების რეალური ქულა	ეს ინდიკატორი შეესაბამება რეკომენდაციას მეწარმეების ფინანსური განათლების შესახებ მონაცემების შეგროვების შესახებ OECD/INFE კვლევის ინსტრუმენტის გამოყენებით. იმის გამო, რომ არ არსებობს საბაზისო მონაცემები (გამოკითხვა აქამდე არ ჩატარებულა), OECD-მ შესთავაზა ინდიკატორად „მეწარმეების ფინანსური განათლების დონის გაუმჯობესების“ გამოყენება	არ არის ხელმისაწვდომი	მეწარმეების ფინანსური წიგნიერების ქულის გაუმჯობესებული დონე (2021 წლის კვლევის ქულასთან შედარებით)	OECD/INFE კვლევის ანგარიში
სესხები უძრავი ქონების უზრუნველყოფით	ეს ინდიკატორი გვამჩვენებს სასარგებლო მითითებას გირავნობის მოცულობის შესახებ და უკვე ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებსაიტზე	19.1 მილიარდი ლარი	28.7 მილიარდი ლარი	სებ-ის ანგარიში

KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
წლიური ფინანსური ინვესტიციების მოცულობა ვენჩურული კაპიტალიდან და ბიზნეს ანგელოზებიდან	ზემოქმედების ეს ინდიკატორი შეესაბამება რეკომენდაციით დამატებულ მიზანს. მონაცემების მოსაპოვებლად OECD-მ შესთავაზა ვენჩურული კაპიტალის და მსგავსი ფონდებისგან ფინანსური მარეგულირებელის წინაშე ანგარიშგების მოთხოვნა	0.5 მილიონი აშშ დოლარი	1 მილიონი აშშ დოლარი	GITA-ს ანგარიში

შენიშვნა: ეს ცხრილი მოიცავს მხოლოდ KPI-ებს, რომლებიც დაემატა პრიორიტეტს OECD-ის რეკომენდაციით. ის არ ასახავს ამომწურავად OECD-ის მიერ მოწოდებულ კომენტარებს, მაგ. KPI-ების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომლებიც უკვე შეტანილი იყო ლოგიკური ჩარჩოს საწყის პროექტში. საბაზისო და სამიზნე მნიშვნელობები არის ის ინდიკატორები, რაც შედის ლოგიკური ჩარჩოს მიღებულ ვერსიაში.


### პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

#### არსებული ვითარება

ქართული მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტი გაიზარდა სტრატეგიის განხორციელების ბოლო პერიოდში (+41% 2015 წლიდან, მიუხედავად 2020 წელს COVID-19-ით გამოწვეული ვარდნისა) (დიაგრამა 1.2). ამ ზრდას განაპირობებდა საშუალო ზომის ფირმები, ხოლო მცირე ფირმები ამ მხრივ არ იყვნენ აქტიური. 2015 წლიდან მოყოლებული საშუალო ზომის საწარმოების მიერ წარმოებული ექსპორტის წილი გაიზარდა თითქმის 10 პროცენტული პუნქტით (28,8%-დან 37,8%-მდე), ხოლო მცირე ფირმების წილი შემცირდა 13 პროცენტული პუნქტით (30,9%-დან 17,7%-მდე) (საქსტატი, 2021 [40]). ექსპორტის ეს ზრდა ემთხვევა საერთო სავაჭრო გარემოს გაუმჯობესებას, რაც აისახება საერთაშორისო ინდიკატორები, როგორცაა OECD-ის ვაჭრობის ხელშეწყობის ინდიკატორები, კერძოდ კი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (OECD, 2019[41]). ეს განპირობებულია იმით, რომ რამდენიმე პლატფორმა ახლა უზრუნველყოფს განახლებულ და ადვილად მისაწვდომ ინფორმაციას ვაჭრობის მოთხოვნებთან დაკავშირებით: შემოსავლების სამსახურის საბაჟო პლატფორმა გთავაზობთ ინფორმაციას არსებული წესებისა და ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ, ხოლო ლიცენზიების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასახულია ინფორმაცია მთელ რიგ სფეროებში საჭირო ნებართვების და სერთიფიკატების შესახებ (UNECE, 2018[42]).

## დიაგრამა 1.2. ქართული ფირმების ექსპორტი მათი ზომის მიხედვით

მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი (Geostat, 2021<sup>[40]</sup>).

მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მთავარ უახლეს მიღწევებს შორის უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ შემოიღო ზომები მცირე და საშუალო საწარმოების ცოდნის გასაუმჯობესებლად DCFTA-ს მიერ შემოთავაზებული საექსპორტო შესაძლებლობებისა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ. მართლაც, 2014 წელს ხელმოწერილი და 2016 წელს ძალაში შესული DCFTA-ს გამოყენება აახლოებს საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან, სტანდარტებისა და წესების ეტაპობრივი დაახლოებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან, და ხელს უწყობს ტარიფების შემცირებას და საბაჟო პროცედურების ეფექტურობის გაზრდას, რითაც ეხმარება ქართულ ფირმებს ევროკავშირის ბაზრის პოტენციალის გამოყენებაში<sup>2</sup>. თუმცა, ქართულმა ბიზნესმა უნდა იცოდეს და ინფორმირებული იყოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებებისა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ. ამ მიზნით, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, სიღნაღსა და ბათუმში შეიქმნა DCFTA-ს საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც აღნიშნულია 1-ელ პრიორიტეტში, რომლებიც მეწარმეებს უტარებენ სპეციალურ ტრენინგებს (მაგ. ევროკავშირის ბაზრის სტანდარტებზე), და საკონსულტაციო მომსახურებას უწევენ მათ. 6 410 მცირე და საშუალო ბიზნესმა ისარგებლა ამ შესაძლებლობით (GIZ, 2020<sup>[43]</sup>).

გარდა ამისა, GIZ-თან თანამშრომლობით შეიქმნა ხუთი კლასტერი, მცირე და საშუალო ბიზნესისა და მოცემული სექტორის სხვა დაინტერესებული მხარეების ერთმანეთთან დაკავშირებაში დახმარების გასაწევად. ამ მიზნით გამოვლინდა პრიორიტეტული ქვესექტორები - ტანსაცმელი, კინო ინდუსტრია, ავეჯი/ინტერიერის დიზაინი, ICT და თაფლის წარმოება. ასეთი კლასტერები ხარჯების ოპტიმიზაციის, სტანდარტების ჰარმონიზაციის, გაყიდვების გაუმჯობესების, შესრულებისა და უნარების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა; ისინი ასევე ხელს უწყობენ ინოვაციების დანერგვას თანამშრომლობის

<sup>2</sup> ევროკავშირი-საქართველოს DCFTA-ს სარგებლის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ: <https://trade.ec.europa.eu/access-to-markets/en/content/eu-georgia-deep-and-comprehensive-free-trade-area>.




გაფართოების გზით, და ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციას სხვადასხვა გზით, მაგ. საერთაშორისო ექსპორტებისა და კონსულტანტების ჩართვით, წევრი კომპანიების უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად საერთაშორისო სემინარების ორგანიზებით, ასევე საერთაშორისო კონფერენციებით, რომლებიც ცოდნის გაზიარებისა და კონტაქტების დამყარების საშუალებას იძლევა, და საზღვარგარეთ დარგობრივ კომპანიებთან საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობით.

გარდა ამისა, „აწარმოე საქართველოში“-მ დახმარება გაუწია მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებიც ცდილობდნენ ექსპორტის განხორციელებას, და მათთვის სხვადასხვა სერვისები იყო შეთავაზებული, მაგალითად, ტრენინგები ექსპორტის მართვის საკითხებზე. სააგენტომ ასევე შეიმუშავა ონლაინ ტრენინგ-კურსები ექსპორტის ძირითადი საკითხების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია [www.tradewithgeorgia.com](http://www.tradewithgeorgia.com)-ზე, და გამოაქვეყნა „ექსპორტის გზამკვლევი“ დაინტერესებული ბიზნესებისთვის. დაინერგა საექსპორტო მზაობის ტესტი, რომლის მიზანია დაეხმაროს საწარმოებს შეაფასონ თავიანთი მარკეტინგული შესაძლებლობები და კომპეტენციები უცხოურ ბაზრებზე წვდომისთვის, და მოახდინონ სერვისების ადაპტირება მათი საექსპორტო შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამჟამად პროგრამის დანერგვის ადრეულ ეტაპზე იმყოფება.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტი ევროკავშირში 2015 წლიდან იზრდება, ქართული ფირმები აგრძელებენ ექსპორტს ძირითადად მეზობელ ბაზრებზე. თუმცა, ფარდობითი თვალსაზრისით, ექსპორტი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებში მცირდება, 2019 წელს არსებული ექსპორტის ნახევრიდან, 45%-მდე შემცირდა 2020 წელს (დიაგრამა 1.3).

**დიაგრამა 1.3. ქართული ფირმების ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით**

მთლიანი ექსპორტის პროცენტი, 2020 წ



შენიშვნა: დსთ-ს ქვეყნებში იგულისხმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და უკრაინა).

წყარო: (საქსტატი, 2021[40]).

პროდუქციის თვალსაზრისით, ექსპორტი ნაკლებად დივერსიფიცირებული რჩება და 2020 წელს ძირითადად დაბალი დამატებული ღირებულების მქონე სამ სექტორზე მოდიოდა მთლიანი ექსპორტის 80%-ი - წარმოება (35%), საბითუმო და საცალო ვაჭრობა (25%) და ტრანსპორტირება და დასაწყობება (20%). ექსპორტის 50%-ზე მეტს შეადგენდა სპილენძის მადანი (23%), ავტომობილები (12%), ფეროშენადნობები (7%), ღვინო (6%) და ალკოჰოლური სასმელები (4%) (საქსტატი, 2021[40]).

ეს საკითხი ნაწილობრივ აიხსნება მუდმივი საინფორმაციო ბარიერების არსებობით: კერძო სექტორის ასოციაციებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებს, განსაკუთრებით რეგიონებში, ხშირად არ აქვთ ცოდნა იმის შესახებ, თუ რა სჭირდება უცხოურ ბაზრებს, განსაკუთრებით ევროკავშირს, და რომელი პროდუქტებია ყველაზე ექსპორტირებადი. გარდა ამისა, ბაზრის მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების სფეროში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, მცირე და საშუალო საწარმოებს კვლავ უჭირთ ყველა სტანდარტის და რეგულაციის შესრულება შეზღუდული ადამიანური და ფინანსური რესურსების გამო. თუმცა აღსანიშნავია, რომ ექსპორტიორი კომპანიებისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კრიზისის დროს (OECD, 2020[44]). კიდევ ერთი გამოწვევა მდგომარეობს ტრანსპორტირების მაღალ ხარჯებში და მიწოდების ხანგრძლივ დროში, რაც ამცირებს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე.

დაბოლოს, აწარმოე საქართველო გარკვეულ ფინანსურ დახმარებას უწევს მცირე და საშუალო საწარმოებს ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით ისეთი მექანიზმებით, როგორცაა საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯების თანადაფინანსება, და ზოგიერთი ბანკი ვაჭრობის დაფინანსების რამდენიმე სქემას სთავაზობს, მაგრამ არ არის საკმარისი ინსტრუმენტები, რომლებიც ვაჭრობის დაფინანსებაზე კონკრეტულად ორიენტირებული. გასული წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობა განიხილავდა საექსპორტო საკრედიტო სააგენტოს შექმნას, მაგრამ ეს ჯერ არ განხორციელებულა. კერძო სექტორის ასოციაციებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მცირე და საშუალო საწარმოები კვლავაც მიიჩნევენ, რომ ვაჭრობის დაფინანსების ხელმისაწვდომობა ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი ბარიერია, განსაკუთრებით მათი შეზღუდული ფულადი ნაკადებიდან გამომდინარე.

### **სამომავლო ქმედებები**

*მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დახმარების გაწევა ბაზრის შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში*

უცხოურ ბაზრებზე მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა კვლავ აფერხებს მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტს, განსაკუთრებით ევროკავშირში. ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია დახმარების გაწევა, რათა საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოები უკეთ იცნობდნენ ბაზრის ტენდენციებს და მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ კონკურენტების შესახებ, რათა შეეძლოთ შეაფასონ ბაზრის საჭიროებები და გამოავლინონ ის სემენტები, სადაც მათ მოღვაწეობა შეუძლიათ. ბაზრის კვლევების ჩატარება დაეხმარება სამიზნე ბაზრების შესახებ ცოდნის გაღრმავებას, გარკვეული ნიშებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, რაც ხელს შეუწყობს ინტეგრაციას როგორც განვითარებად რეგიონულ ღირებულების ჯაჭვებში, ასევე ევროკავშირის ბაზარზე.

*საკონსულტაციო და სასწავლო შესაძლებლობების გაზრდა ბაზრის მოთხოვნების შესახებ ცოდნის გასაუმჯობესებლად*

გარდა ამისა, მცირე და საშუალო საწარმოების ცოდნის გასაუმჯობესებლად უცხოური ბაზრის მოთხოვნების შესახებ, აწარმოე საქართველოს შეუძლია დაეყრდნოს ზემოთ აღნიშნული სერვისების შედეგად შეძენილ გამოცდილებას და გაზარდოს პროგრამებში ჩართულობის მაჩვენებლები. ახალი სტრატეგია ითვალისწინებს ტრენინგებსა და საინფორმაციო სესიებს, მაგრამ, გარდა ამისა, შესაძლებელია ექსპორტის საკითხებზე დახმარების ცენტრების ქსელის განვითარება რეგიონებში და/ან ონლაინ ფორმატში, მაგალითად, შეიძლება შეიქმნას EaP Trade Helpdesk-ის ანალოგიური მექანიზმი, რომელსაც ამჟამად EU4Business ახორციელებს (EU4Business, 2021<sup>[45]</sup>). სააგენტოებს, რომლებიც ამ სფეროში დახმარების გაწევაზე არიან პასუხისმგებელი, შეუძლიათ გარკვეული უნარ-ჩვევების გადაცემა შესაბამისი ინდუსტრიების ასოციაციებისთვის, როგორცაა ექსპორტის განვითარების ასოციაცია, რათა მცირე და საშუალო საწარმოებს მიეწოდოთ მათ საჭიროებებზე მორგებული ინფორმაცია და რჩევები.

მაგალითად, სინგაპური მსგავსი ინიციატივების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს, რომლებიც მიმართულია მცირე და საშუალო საწარმოების ცოდნის გაუმჯობესებაზე ბაზრის შესაძლებლობებისა და მოთხოვნების შესახებ (ჩანართი 1.4).

#### ჩანართი 1.4. სინგაპურის საწარმოების განვითარების პროგრამა Go Global

Go Global არის Enterprise Singapore-ის, საწარმოთა განვითარების სამთავრობო სააგენტოს ინიციატივა, რომელიც მიმართულია ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობაზე. ამ ინიციატივის ფარგლებში დაწერა სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომელთა მიზანია დაეხმაროს ბიზნესს ახალ ბაზარზე წვდომაში, მაგ. ბაზრის კვლევები, შესაძლებლობების განვითარება, ქსელის შექმნა და ფინანსური მხარდაჭერა. სააგენტო განსაკუთრებით წარმატებულია ბაზრის შესახებ ინფორმაციის გავრცელების და ამ სერვისების მიწოდების აუტოსორსინგის საქმეში.

##### **ბაზრების შესახებ ცოდნის დაგროვება**

ინიციატივა სთავაზობს გზამკვლევებს, ტრენინგ სესიებს და საკონსულტაციო მომსახურებას, რათა აღჭურვოს მეწარმეები ინსტრუმენტებით ბაზრის კვლევების განსახორციელებლად. ერთის მხრივ, Overseas Market Workshops უზრუნველყოფს ბაზრის გარემოს შესახებ სანდო ინფორმაციას ექსპერტების ლექციების ორგანიზების, და ასევე კორპორაციებსა და საწარმოებში ვიზიტების ორგანიზების გზით. მეორეს მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესის ცენტრის ბიზნეს მრჩეველები სთავაზობენ მორგებულ საკონსულტაციო მომსახურებას, რათა დახმარება გაუწიონ მცირე და საშუალო ბიზნესს ბაზრის ანალიზის სხვადასხვა საფეხურზე, რაც ეხმარება მათ შეაფასონ, თუ რომელი ბაზრები შეესაბამება მათ კომპანიას. კერძოდ, ისინი ეხმარებიან მეწარმეებს პრიორიტეტების იდენტიფიცირებაში და ძირითადი შესაძლებლობებისა და საკითხების გათვალისწინებაში, რომლებიც გამომდინარეობს სავაჭრო ხელშეკრულებებიდან და სატარიფო რეჟიმებიდან, ასევე პოტენციური პარტნიორებისგან.

##### **გარე დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობა**

იმისათვის, რომ მიაღწიოს კომპანიების უფრო მეტ რაოდენობას და უზრუნველყოს მათი ყველა საჭიროების მოცვა, Enterprise Singapore თანამშრომლობს დაინტერესებულ საწარმოებთან. ის ეყრდნობა GlobalConnect@SBF-ს, სინგაპურის ბიზნეს ფედერაციის, ანუ ადგილობრივი ბიზნეს ასოციაციის ინიციატივას, რათა გაუზიაროს ცოდნა სხვადასხვა ბაზრებზე, იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ოპერაციების განხორციელება და პოტენციურ პარტნიორებთან დაკავშირება. ის ასევე თანამშრომლობს სპეციალიზირებულ მცირე და საშუალო ბიზნესის ცენტრებთან, შესაძლებლობების შეფასებების განხორციელების და კონსულტაციების უზრუნველყოფის მიზნით, არსებული ხარვეზების გადასალახად. გარდა ამისა, სააგენტო ასევე თანამშრომლობს ზოგიერთ ადგილობრივ დაინტერესებულ მხარესთან ჩინეთსა და ინდოეთში, რომლებიც ქვეყნისთვის ორ მთავარ ბაზარს წარმოადგენენ, რათა გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა და გაამარტივოს წვდომა ამ მნიშვნელოვან ბაზრებზე.

წყარო: მითითებულია არასწორი წყარო:

*მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დახმარების გაწევა მიწოდების ხარჯების და დროის შემცირებაში*

შეიძლება შესაბამისი ზომების გატარება ტრანსპორტირების მაღალი ხარჯების და მიწოდების დროის შემცირების ხელშესაწყობად. მართლაც, მაშინ, როცა ქართულ მცირე და საშუალო ბიზნესს, რომლებიც ონლაინ ახორციელებენ გაყიდვებს, შეიძლება ჰქონდეთ ხარისხიანი პროდუქცია, საქართველოდან ევროკავშირის ბაზრებზე მიწოდების ლოჯისტიკიდან გამომდინარე მიწოდების პერიოდი უფრო ხანგრძლივია, და შესაბამისად, საწარმოები დაბალკონკურენტუნარიანები ხდებიან. ამ მხრივ სასარგებლოა საქონლის

შენახვა სამიზნე ბაზრებზე არსებულ საწყობებში, რადგან პროდუქცია მზად იქნება დანიშნულების ადგილას სწრაფად გასაგზავნად. ამის მხარდასაჭერად, სტრატეგია შეიძლება მოიცავდეს დებულებებს, რომლებიც მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის ცნობიერების ამაღლებაზე საწყობებთან დაკავშირებული არჩევანის შესახებ, და ამ საწყობებზე წვდომის გაზრდაზე, მაგ. პირველად მომხმარებლისთვის ხარჯების სუბსიდირებით. ეს შეიძლება დაეყრდნოს EU4Digital-ის მიერ ამჟამად განხორციელებულ საპილოტე ინიციატივას (EU4Digital, 2021[46]): ეს ინიციატივა სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში და გერმანიაში ხორციელდება, საცალო ვაჭრობისა და ბაზრის დასახმარებლად, რათა პროდუქტები გასაყიდად საზღვარგარეთ განთავსება მოხდეს და ტრანსსასაზღვრო მიწოდების ხელშესაწყობად. საქართველოდან საპილოტე პროექტში მონაწილეობა მიიღო ორმა ქალმა ბიზნესმა. გარდა ამისა, EU4Digital დამატებით კონსულტაციებს უწევს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს ვირტუალური საწყობის ინიციატივის დანერგვის მიზნით.

*ვაჭრობის დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების გაფართოების ხელშეწყობა*

იმის გამო, რომ ვაჭრობის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითად გამოწვევად რჩება, მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს ვაჭრობის დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმების განვითარებას, რათა დაეხმაროს ფირმებს დაძლიონ ფინანსური ბარიერები, როგორცაა ფულადი სახსრების ნაკლებობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკები, მაგ. იმის რისკი, რომ არ მოხდება გადახდა, როდესაც მიწოდება განხორციელდება. ეს შეიძლება შეთავაზებული იყოს მთელი რიგი ინსტრუმენტების საშუალებით, როგორცაა საექსპორტო ფაქტორინგი, ექსპორტის დაკრედიტება, საექსპორტო კრედიტის დაზღვევა ან აკრედიტივი (OECD, 2020[47]).

*ელექტრონული კომერციის უნარების და პრაქტიკის განვითარება*

საქართველო, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, ელექტრონული კომერციის მკვეთრ ზრდას განიცდის სოციალური დისტანცირების ზომების გატარების შედეგად. განხორციელდა რამდენიმე ინიციატივა, მცირე და საშუალო ბიზნესის ონლაინ ვაჭრობაში ჩართვაში დახმარების გაწევის მიზნით, მაგალითად, ტრენინგები ციფრულ უნარებში, რომელსაც GCCI სთავაზობს. GCCI-მ ასევე შეიმუშავა ახალი პროექტი „უფასო ვებგვერდები ბიზნესისთვის“ მიუნხენის და ზემო ბავარიის სავაჭრო პალატის მხარდაჭერით, კონკურსი, რომლის ფარგლებში შერჩეული იქნება 100 მეწარმე და მათ დახმარება გაეწევათ პერსონალიზებული ვებსაიტის უფასოდ შეიმუშავებაში. ამ ინიციატივებზე დაყრდნობით, შეიძლება გადაიდგას დამატებითი ნაბიჯები - მაგ. ციფრული უნარების კურსების გაფართოება არსებულ წარმატებულ სესიებზე დაყრდნობით და ევროკავშირის სტანდარტებთან უფრო მეტი შესაბამისობის ხელშეწყობა<sup>3</sup>.

<sup>3</sup> უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს მარეგულირებელი ჩარჩოების ჰარმონიზაცია, ელექტრონული კომერციის უნარებისა და პრაქტიკის განვითარება, იხილეთ ნაწილი 2.

### ცხრილი 1.7. მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის რეკომენდაციების მიმოხილვა

რეკომენდაცია	სტატუსი	დეტალები
მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ბაზრის შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში	●	სტრატეგიაში ინტეგრირებული იყო დებულებები ბაზრის ტენდენციებისა და კონკურენტების შესახებ ცოდნის გაუმჯობესების თაობაზე ბაზრის კვლევისა და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.
საკონსულტაციო და სასწავლო შესაძლებლობების გაზრდა ბაზრის მოთხოვნების შესახებ ცოდნის გასაუმჯობესებლად	●	სტრატეგია ითვალისწინებს ტრენინგებსა და საინფორმაციო სესიებს, განსაკუთრებით DCFTA-თ გათვალისწინებულ შესაძლებლობებზე. მცირე და საშუალო საწარმოების ბაზრის მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შესახებ ცოდნის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველომ შეიძლება განიხილოს დახმარების ცენტრების განვითარება და გარკვეული უნარების აუთსორსინგი.
მცირე და საშუალო ბიზნესის მიწოდების ხარჯების და დროის შემცირებას	○	აწარმოე საქართველომ განაცხადა, რომ შეისწავლის სასაწყობო და ლოგისტიკური ჰაბების პროგრამებს, მაგრამ ეს თემა არ არის გათვალისწინებული სტრატეგიით და ჯერ არ არის დაგეგმილი რაიმე ღონისძიება მსგავსი პროგრამის შესამუშავებლად.
ვაჭრობის დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების გაფართოება	○	სტრატეგია არ ითვალისწინებს ვაჭრობის დაფინანსების ინსტრუმენტების გაფართოებას.
ელექტრონული კომერციის უნარების და პრაქტიკის განვითარება	●	დაგეგმილია საკონსულტაციო მომსახურება და ტრენინგები. გარდა ამისა, საქართველომ უნდა მიიღოს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებს ელექტრონული კომერციის პრაქტიკას და გააძლიერებს მომხმარებელთა დაცვას, ევროკავშირის სტანდარტებისა და DCFTA-ს მოთხოვნების შესაბამისად (დაწვრილებით იხილეთ ნაწილი 2).

○ არ არის გათვალისწინებული      ● ნაწილობრივ გათვალისწინებულია      ● გათვალისწინებულია

### ცხრილი 1.8. მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის პროგრესის მონიტორინგისთვის შემოთავაზებული KPI-ები

KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
დადებითი გამოხმაურება ბენეფიციარი კომპანიების გამოკითხვებზე დაყრდნობით	ეს ზემოქმედების ინდიკატორი შემოთავაზებული იყო იმის შესაფასებლად, დაეხმარა თუ არა ღონისძიებები მონაწილეებს საერთაშორისო დონეზე ბიზნეს ურთიერთობების დამყარებაში.	არ არის ხელმისაწვდომი	70%	სსიპ აწარმოე საქართველოს ანგარიში
ტრენინგის მონაწილეთა %, რომელიც ორიენტირებულია ევროკავშირის ბაზარზე გასვლაზე, რაც ადასტურებს DCFTA-ს შესახებ მიღებული ცოდნის გამოყენებას ყოველდღიურ მუშაობაში	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია „ტრენინგების/ღონისძიებების რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორია.  მონაცემების მოსაპოვებლად, ტრენინგის მონაწილეებს შორის შეიძლება ჩატარდეს მარტივი გამოკითხვა ტრენინგიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგ. მათ შეიძლება ელ.წერილი გაეგზავნოს 3-6 თვის შემდეგ	არ არის ხელმისაწვდომი	60%	სსიპ აწარმოე საქართველოს ანგარიში

შენიშვნა: ეს ცხრილი მოიცავს მხოლოდ KPI-ებს, რომლებიც დამატა პრიორიტეტს OECD-ის რეკომენდაციით. ის არ ასახავს ამომწურავად OECD-ის მიერ მოწოდებულ კომენტარებს, მაგ. KPI-ების გაუმჯობესებაზე, რომლებიც უკვე შეტანილი იყო ლოგიკური ჩარჩოს საწყის პროექტში. საბაზისო და სამიზნე მნიშვნელობები არის ის მაჩვენებლები, რაც შედის ლოგიკური ჩარჩოს მიღებულ ვერსიაში.

## პრიორიტეტი 5: ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის

### არსებული ვითარება

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ინოვაციის პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს გასაუმჯობესებლად, რაც აღიარებულია SMEPI-ის უახლეს გამოცემაში (OECD et al., 2020[1]). კერძოდ, საქართველომ 2019 წელს ინოვაციების ხელშეწყობის სტრატეგია შეიმუშავა USAID-ის მხარდაჭერით. სააგენტომ შეაფასა ქვეყნის საინოვაციო ეკოსისტემა და გამოავლინა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, კერძოდ, მისი შედარებით სუსტი ტალანტების ფონდი, კვლევის დაბალი შესაძლებლობები, ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და მეწარმეების სწრაფი განვითარების მხარდაჭერის ნაკლებობა (USAID საქართველო, 2019[48]). 2016 წლის ივნისში საქართველომ ასევე მიიღო კანონი ინოვაციების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების მხარდაჭერის სხვადასხვა სტრუქტურებს (ინკუბატორები, აქსელერატორები, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები და ა.შ.) და ადგენს ინოვაციების დაფინანსებისა და კომერციალიზაციის პრინციპებს (საქართველოს მთავრობა, 2016[49]).

ამ ჩარჩოს გაუმჯობესების გარდა, ქვეყანაში გაფართოვდა ინოვაციური ინფრასტრუქტურა. საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებს ზემოხსენებული ფაბლაბი, სამი ტექნოპარკი, ხუთი ინოვაციური ცენტრი და ორი რეგიონალური ინოვაციური ჰაბი, რაც უზრუნველყოფს რეგიონულ დაფარვას. GITA გეგმავს ოთხი დამატებითი რეგიონული საინოვაციო ჰაბისა და ინოვაციური ცენტრის გახსნას (GITA, 2021 [50]). ასევე ვითარდება ინოვაციური ლაბორატორიების ქსელი: სამი ლაბორატორია შეიქმნა ამ დროისთვის უნივერსიტეტებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, რომლებიც გვთავაზობენ ტრენინგებსა და ღონისძიებებს (მაგ. ჰაკათონები) ციფრული უნარების გასაუმჯობესებლად, ასევე სტარტაპებისთვის სამუშაო სივრცეების შესათავაზებლად.

### ცხრილი 1.9. საინოვაციო ინფრასტრუქტურის სახეები საქართველოში

	აღწერა	რაოდენობა	მოცვა
ფაბლაბები	MIT-ის კონცეფციის საფუძველზე, ინფრასტრუქტურის შეთავაზება ციფრული ფაბრიკაციის განსახორციელებლად, ანუ დიზაინი და წარმოება ციფრული ხელსაწყოების გამოყენებით.	22	თბილისში 9, ბათუმში 2, ქუთაისში 2, მესტიაში 1, გურჯაანში 1, ახალციხეში 1, ქობულეთში 1, წალენჯიხაში 1, ფოთში 1, ამბროლაურში 1, რუსთავში 1, ზუგდიდში 1.
ტექნოპარკები	ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიული რესურსების გაერთიანება, მათ შორის ინკუბატორები, სასწავლო ცენტრები, ლაბორატორიები და სამუშაო ადგილები.	3	თბილისი, ზუგდიდი და თელავი
ინოვაციების ცენტრები	ტექნოპარკების ანალოგიური სერვისების შეთავაზება, მაგრამ ადგილობრივად და უფრო მცირე მასშტაბით.	5 (დაგეგმილია კიდევ 2-ის გახსნა)	ხარაგაული, ბაღდადი, ჭოპორტი, ახმეტა და რუხი

	აღწერა	რაოდენობა	მოცვა
რეგიონული ინოვაციური ჰაბები	მიზნად ისახავენ ინოვაციური ცენტრების ერთმანეთთან დაკავშირებას, და სთავაზობენ ინდუსტრიულ, კეთილმოწყობილი ინოვაციების ლაბორატორიებს	2 (დაგეგმილია კიდევ 2-ის გახსნა ბათუმსა და თბილისში)	ზუგდიდი და თელავი
ინოვაციების ლაბორატორიები	ახალგაზრდებისთვის დახმარების გაწევა საჭირო უნარების განვითარებაში ინოვაციური ბიზნესის შესაქმნელად.	3	GeoLab, Gamelab Iliani და CG multilab GIPA: ყველა განთავსებულია თბილისში

წყარო: (FabLab Georgia, 2021[23]), (GITA, 2021[50]), (GITA, 2021[51]), (GeoLab, 2021[52]), (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021[53]), და (GIPA, 2021 [54]).

GITA-მ ასევე დაწერა დაფინანსების ინსტრუმენტების ფართო სპექტრი ინოვაციების მხარდასაჭერად, კერძოდ, მსოფლიო ბანკის GENIE პროექტის (საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემა) დახმარებით. ეს მოიცავს თანადაფინანსების საგრანტო პროგრამას (პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მაქსიმუმ 90%) 2 მილიონი ლარის წლიური ბიუჯეტით (დაახლოებით 640 000 აშშ დოლარი), რომელიც ყოველწლიურად იზიდავს ათასობით განაცხადს და 95-მა სტარტაპმა მიიღო 100 000 ლარამდე ოდენობის გრანტით (32 000 აშშ დოლარი) 2021 წლის ივლისის მდგომარეობით. კიდევ ერთი ინიციატივა სთავაზობს პროექტის 50%-მდე თანადაფინანსებას, 650 000 ლარამდე (208 000 აშშ დოლარი). სტარტაპებს ასევე შეუძლიათ მხარდაჭერა მიიღონ პროტოტიპის შემუშავებაში მიკრო გრანტებით. ამ პროგრამების შესახებ ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია ონლაინ სპეციალურ ვებგვერდზე, [grants.gov.ge](http://grants.gov.ge)<sup>4</sup>.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი ინიციატივებისა, საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაუმჯობესებელი, თავისი ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციების მხარდაჭერის მიზნით, როგორც ეს ისეთი საერთაშორისო რეიტინგებიდან ჩანს როგორცაა (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2019[25]) გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი და INSEAD-ის გლობალური ინოვაციების ინდექსი 2020.

კვლევასა და განვითარებაზე საქართველოს მიერ გაწეული დანახარჯები შედარებით დაბალია და მშპ-ს 0.3%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც OECD-ს ეს მაჩვენებელი 2.5%-ს შეადგენს (OECD, 2021[55]). ამასთან დაკავშირებით, ასევე შეიძლება აღინიშნოს, რომ მცირე კომპანიებში გამოიკვეთა ნაკლები ინვესტირების ტენდენცია: 2019 წელს მცირე ქართული კომპანიების მხოლოდ 4.4%-მა და საშუალო კომპანიების 18.4%-მა განაცხადეს, რომ კვლევასა და განვითარებაში აბანდებდნენ ინვესტიციებს, მაშინ როცა მსხვილი კომპანიების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 21.6%-ი იყო (მსოფლიო ბანკი, 2019 [26]). GERD-ის (R&D-ზე (მთლიანი ხარჯები) მხოლოდ 2.1% დაფინანსდა ბიზნესის მიერ 2020 წელს, ევროკავშირის ქვეყნების 65%-თან შედარებით (INSEAD, 2020[56]).

ასევე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ GITA ინიციატივების ფართო სპექტრს ახორციელებს ინოვაციური ფორუმების და ციფრული სტარტაპების მხარდასაჭერად, ინოვაციების მხარდაჭერა არა-IT სექტორებში ჯერ კიდევ შეზღუდული მოცულობისაა და შეიძლება შემდგომში გაფართოვდეს, როგორც ეს მე-2 ნაწილშია განმარტებული. სტრატეგიის

<sup>4</sup> დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ნაწილი 2, ჩანართი ჩანართი 2.3 საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტი



ეს განზომილება ძირითადად ორიენტირებულია ICT-ზე და ინტერნეტზე წვდომაზე, რაც მთავრობის ამჟამინდელი პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, და არა ინოვაციაზე, კვლევასა და განვითარებაზე. თუმცა, ინოვაცია არ უნდა იქნას გაგებული მხოლოდ როგორც ახალი ციფრული პროდუქტის დანერგვა, ისევე როგორც გაციფრულება არ ეხება მხოლოდ IT სექტორს ან ტექნოლოგიების დანერგვას. ყველა ფირმის დახმარება რომ გახდნენ უფრო ინოვაციურები, განურჩევლად იმ სექტორისა, სადაც ისინი მოღვაწეობენ, და საჭიროების შემთხვევაში, ზოგიერთი პროცესის ან/და პროდუქტისა და სერვისის გაციფრულება, გაზრდის მათ მედეგობას მომავალი შოკების მიმართ, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის შემთხვევაში.

### **სამომავლო ქმედებები**

*ინოვაციების ირიბი ფინანსური მხარდაჭერის გზით სტიმულირება*

GITA-ს მიერ ინოვაციური ფირმების ფინანსურ მხარდაჭერას შეიძლება დაემატოს ირიბი, ან ხარჯებზე დაფუძნებული ფინანსური წახალისება. ჰიპერამორტიზაციის სქემები და/ან საგადასახადო შეღავათები შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიზნესის მხრიდან ტექნოლოგიაში ინვესტიციების გაზრდის შემთხვევაში, რაც წარმატებით განხორციელდა OECD/EU ქვეყნებში. მაგალითად, იტალიამ დანერგა ასეთი ზომები თავისი Impresa 4.0 ეროვნული გეგმის მეშვეობით: ფირმებს შეუძლიათ ისარგებლონ ჩვეულებრივი ცვეთის გამოქვითვის 150%-იანი გაზრდით გარკვეულ ინდუსტრიულ ადჰურვილობაში ინვესტიციებთან დაკავშირებით (40% სუპერამორტიზაციის შემთხვევაში), რაც არსებითად ამცირებს საგადასახადო ტვირთს წლების განმავლობაში. გარდა ამისა, 50%-იანი საგადასახადო შეღავათი ვრცელდება ფირმებზე, რომლებმაც გაზარდეს კვლევისა და განვითარების ხარჯები (იტალიის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2021 [57]).

*დაფინანსების ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც მიმართულია ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერაზე არა-IT სექტორებში*

GITA-ს მიერ დანერგილი დაფინანსების არსებული ინსტრუმენტები ძირითადად IT სექტორზეა ორიენტირებული. მიუხედავად ამისა, ყველა ფირმის ციფრულმა ტრანსფორმაციამ, მათ შორის არა-IT სექტორებში, შეიძლება მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანოს (იხ. ნაწილი 2). აქედან გამომდინარე, შეიძლება განიხილებოდეს დამატებითი ზომების გატარების მიზანშეწონილობა. მე-2 ნაწილში ასახულია ამასთან დაკავშირებული დეტალური რეკომენდაციები პოლიტიკის შემქმნელებისთვის (იხ. 84-ე გვერდიდან). ევროკავშირის საწარმოთა და მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის (COSME) სესხის გარანტიის მექანიზმის ციფრული პილოტი შეიძლება სასარგებლო გზამკვლევი იყოს ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივებისთვის დაფინანსების მისაღებად განსახორციელებელი პროცესების კლასიფიკაციისთვის.

*მოთხოვნის ნაწილში პოლიტიკის შემუშავების საჭიროების გათვალისწინება*

გარდა ამისა, მოთხოვნის ნაწილში ინოვაციური პოლიტიკა შეიძლება დაინერგოს, რადგან იგი ხელს უწყობს ინოვაციას დამატებითი პროგრამული დანახარჯების გაწევის საჭიროების გარეშე. მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების კუთხით სტანდარტების გაუმჯობესებამ პროცესში ფუნქციური სპეციფიკაციების დანერგვით, ნაცვლად იმისა, რომ პრეტენდენტებმა ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ მხოლოდ ფასების საფუძველზე, შეიძლება მეტი სტიმული

მისცეს ინოვაციების დანერგვას. მაგალითად, მოლდოვამ ასეთი მიზანი ასახა თავის სახელმწიფო შესყიდვების ჩარჩოში 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მიღების გზით. ასეთი წახალისების პარალელურად საჭიროა კორუფციული რისკებისგან დაცვის გარანტიების დანერგვა, რადგან სახელმწიფო შესყიდვები არის მთავრობის ერთ-ერთი აქტივობა, რომელიც ყველაზე დაუცველია კორუფციის მიმართ (OECD, 2016[58]) (OECD, 2017[59]).

*კვლევის დაწესებულებებსა და ინდუსტრიებს შორის კავშირების გაძლიერება*

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ დღესაც უნივერსიტეტის/ინდუსტრიის თანამშრომლობა კვლევით სფეროში საქართველოს ინოვაციების ჩარჩოს ერთ-ერთი მთავარი სუსტი მხარეა (INSEAD, 2020[60]). OECD-ის რეკომენდაციით სტრატეგიას ამ მიზნით ცალკე მიზანი დაემატა. სტრატეგიის განხორციელებისას შეიძლება განიხილებოდეს კონკრეტული ქმედებები. ზომები შეიძლება მოიცავდეს GITA-ს ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის მონიტორინგს, რაც პერსპექტიული ინიციატივაა, რომელიც 2019 წელს დაიწყო ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით, სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციის და საჯარო უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებს შორის პარტნიორობის მხარდასაჭერად, და დადებითი შედეგის მიღწევის შემთხვევაში, ასეთი თანამშრომლობის გაგრძელების უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაცია ჩნდება, როგორც გამჭოლი განზომილება და, შესაბამისად, შეიძლება ხელი შეეწყოს პოლიტიკის რეკომენდაციების მეშვეობით, რომლებიც აღწერილია სტრატეგიის სხვა პრიორიტეტებში – როგორცაა მარეგულირებელი ექსპერიმენტები (ჩანართი 1.3).

**ცხრილი 1.10. მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციებისა და R&D-ის მხარდაჭერაზე მიმართული რეკომენდაციების მიმოხილვა**

რეკომენდაცია	სტატუსი	დეტალები
ინოვაციების ირიბი ფინანსური წახალისების მექანიზმების დანერგვა	○	ასეთი ინიციატივები არ არის გათვალისწინებული სტრატეგიაში
დაფინანსების ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც მიმართულია ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერაზე არა-IT სექტორებში	●	სტრატეგიას დაემატა მითითება მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის შესახებ, მაგრამ გათვალისწინებულია მხოლოდ რამდენიმე არაფინანსური ინსტრუმენტი (მაგ. ტრენინგები ციფრული უნარების თემაზე). მთავრობას შეუძლია განიხილოს სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვის შესაძლებლობა სამომავლო სამოქმედო გეგმებში, თუკი შესაბამისი სახელმწიფო სახსრები იქნება ხელმისაწვდომი. დამატებითი დეტალები მხარდაჭერის პოტენციური ზომების შესახებ მოცემულია მე-2 ნაწილში.
მოთხოვნის ნაწილთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება	○	სტრატეგია არ ითვალისწინებს მოთხოვნის მხარესთან დაკავშირებულ პოლიტიკას.
კვლევის დაწესებულებებსა და ინდუსტრიებს შორის კავშირების გაძლიერება	●	სტრატეგიას დაემატა კვლევით დაწესებულებებს/ინდუსტრიას შორის კავშირების გაძლიერების მიზანი. GITA-მ განაცხადა, რომ გეგმავს შექმნას ტექნოლოგიების გადაცემის ეროვნული ოფისი უნივერსიტეტებში და კვლევით ლაბორატორიებში შემუშავებული პროექტების კომერციალიზაციის მხარდასაჭერად.

○ არ არის გათვალისწინებული      ● ნაწილობრივ გათვალისწინებულია      ● გათვალისწინებულია

**ცხრილი 1.11. ინოვაციური პოლიტიკის მონიტორინგთან დაკავშირებით შემოთავაზებული KPI-ები**

KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციარებს შორის წარმოდგენილი მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა, რომლებმაც შეიმუშავეს (პროტოტიპის დონეზე) ინოვაციური პროდუქტი ან სერვისი	ზემოქმედების ეს ინდიკატორი იყო შემოთავაზებული სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების გავლენის შესაფასებლად. საწარმოთა რაოდენობის დადგენა შესაძლებელია პროგრამის დასაწყისში პროგრამის მონაწილეთა გამოკითხვით, რასაც მოჰყვება ამ ინფორმაციის ყოველწლიური განახლება.	27	100	GITA-ს ანგარიში
კომერციალიზაციის ეტაპზე მიყვანილი ტექნიკური ცოდნის გადაცემის პროექტების რაოდენობა	ზემოქმედების ეს ინდიკატორი იყო შემოთავაზებული კვლევით დაწესებულებებს/ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავების მიზნით, რომელიც დაემატა OECD-ის რეკომენდაციის შესაბამისად.	0	მინიმუმ 1	GITA-ს ანგარიში

შენიშვნა: ეს ცხრილი მოიცავს მხოლოდ KPI-ებს, რომლებიც დაემატა პრიორიტეტს OECD-ის რეკომენდაციით. ის არ ასახავს ამომწურავად OECD-ის მიერ მოწოდებულ კომენტარებს, მაგ. KPI-ების გაუმჯობესებაზე, რომლებიც უკვე შეტანილი იყო ლოგიკური ჩარჩოს საწყის პროექტში. საბაზისო და სამიზნე მნიშვნელობები არის ის მაჩვენებლები, რაც შედის ლოგიკური ჩარჩოს მიღებულ ვერსიაში.

**პრიორიტეტი 6: ქალთა მეწარმეობის წახალისება**

**არსებული ვითარება**


ბოლო წლების განმავლობაში საქართველო სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ქალთა მეწარმეობას და მის როლს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ქალთა მეწარმეობა ახლა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ახალი სტრატეგიის ცალკე პრიორიტეტი. საერთო გარემო გაუმჯობესდა ქალი მეწარმეებისთვის, რაც აისახება საერთაშორისო რეიტინგებში: მაგალითად, 2021 წლის გლობალური გენდერული სხვაობის ანგარიშის შესაბამისად, საქართველო წინა წელთან შედარებით 25 ადგილით დაწინაურდა (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2021[61]).

ეს გამოწვეულია ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პოლიტიკური ზომებით. ინსტიტუციური ჩარჩო გაძლიერდა 2018 წლის დასაწყისში კერძო სექტორის განვითარების მრჩეველთა საბჭოს ფარგლებში ქალთა მეწარმეობის ქვეკომიტეტის შექმნის გზით, რომელიც აძლიერებს 2017 წელს შექმნილი გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისიის ამ საკითხზე მიმართულ ძალისხმევას. ქვეკომიტეტის მიზანია მეწარმე ქალებს საჭიროებების უკეთ იდენტიფიცირება და ამ მიზნით ქვეკომიტეტი წელიწადში რამდენჯერმე იკრიბება, და სხდომებს ესწრებიან მეწარმე ქალები სახელმწიფო უწყებებიდან და ქალი მეწარმეების ასოციაციის წარმომადგენლები. რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზას, რამდენიმე ახლახან ამოქმედებული კანონი, როგორცაა 2020 წლის სექტემბერში შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, შეიცავდა გენდერულად სენსიტიურ დებულებებს. გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებებით შემოღებული იქნა კვოტები პარლამენტსა და ადგილობრივ საკრებულოებში ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გასაძლიერებლად.

გარდა ამისა, გაიზარდა ქალთა მონაწილეობა სამთავრობო პროგრამებშიც: მაგალითად, 2018 წელს პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ მონაწილეთა 45% ქალი იყო, 2016 წელს არსებულ 40%-თან შედარებით. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ COVID-19 კრიზისის საპასუხოდ განხორციელებულმა ზოგიერთმა ღონისძიებამ გააძლიერა ეს ტენდენცია, რადგან გადაისინჯა და გამარტივდა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამებში მონაწილეობის წინაპირობები და ქალ მეწარმეებს, რომლებიც პროგრამებში მონაწილეობაში იყვნენ დაინტერესებული, დამატებითი ქულები მიენიჭათ მათი განაცხადების შეფასებისას (UNDP, 2020<sup>[62]</sup>).


ქართველ ქალებს აქვთ ისეთი ღირებული აქტივები, როგორცაა მათი განათლების მაღალი დონე, რომელიც მამაკაცების განათლების დონის ანალოგიურია (დიაგრამა 1.4), თუმცა ეს არ აისახება დასაქმებაზე, ხელფასებსა და მეწარმეობაში, სადაც გენდერული სხვაობა კვლავაც არსებობს. ქალთა პოტენციური გამოუყენებელი რჩება კარგად დამკვიდრებული ბარიერების გამო: მაგალითად, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მონაცემები აჩვენებს, რომ ისინი უფრო მეტ სირთულეს აწყდებიან სესხის აღების მცდელობისას, ვიდრე მამაკაცები, განსაკუთრებით რეგიონებში/დედაქალაქის ფარგლებს გარეთ, რაც ხშირად იმითია განპირობებული, რომ მათ არა აქვთ ბანკების მიერ მოთხოვნილი სესხის უზრუნველყოფა (დიაგრამა 1.5). ისინი ასევე არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან სამეწარმეო უნარებისა და ქსელების თვალსაზრისით, რომლებზეც წვდომისთვის იბრძვიან (Griessbach and Ettl, 2020 <sup>[63]</sup>).

**დიაგრამა 1.1. განათლება სქესის მიხედვით, 2020**



წყარო: (World Economic Forum, 2021<sup>[61]</sup>).

**დიაგრამა 1.5. საბანკო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ბარიერები სქესის მიხედვით, 2019 წ.**



წყარო: (World Bank, 2019[26]).

უფრო მეტიც, კვლავ პრობლემად რჩება ქალების არასაკმარისი წარმომადგენლობა STEM სფეროებში (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა). უმაღლესი განათლების კურსდამთავრებული ქართველი ქალების პროცენტული მაჩვენებელი STEM სფეროებში მხოლოდ 19%-ია, მამაკაცების 53%-თან შედარებით (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2021 [61]). ანალოგიურად, ქალების მხოლოდ 12% არის დასაქმებული ამ სექტორებში, გლობალურად არსებულ 30%-თან შედარებით (EU4Digital, 2020[64]).

დაბოლოს, ქალები განსაკუთრებით დაზარალდნენ COVID-19-ის კრიზისით, ძირითადად იმიტომ, რომ ბევრი მუშაობდა იმ სექტორებში, რომლებზეც პანდემიამ ყველაზე მძიმედ იმოქმედა, მაგალითად, როგორცაა ტურიზმი და ვაჭრობა. გარდა ამისა, მათი საშინაო მოვალეობების ტვირთი, რომელიც ისედაც დისპროპორციული იყო, არსებითად გაიზარდა შემაკავებელი ზომების შედეგად: ქალების 42%-მა აღნიშნა, რომ მეტ დროს ხარჯავდა საშინაო საქმეებზე, მაშინ როდესაც ეს მამაკაცების მხოლოდ 35%-მა აღნიშნა (UN Women, 2020 [65]).

**სამომავლო ქმედებები**

*გენდერული თვალსაზრისით მორგებული მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება*

საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ინიციატივა არსებობს, რომელიც მიმართულია კონკრეტულად ქალებზე, როგორცაა EBRD-ის პროგრამა „ქალები ბიზნესში“, რომელიც სთავაზობს სემინარებს, ღონისძიებებს და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, და USAID/Georgia-ს და ფონდი კრისტალის ინიციატივა, რომელმაც ხელი შეუწყო 2 000-ზე მეტი მეწარმე ქალის უნარების განვითარებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას 2015-დან 2020 წლამდე პერიოდში. საქართველოს არ გააჩნია სპეციალური სახელმწიფო პროგრამები ქალთა მეწარმეობის მხარდასაჭერად. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ ქალები ხშირად უფრო მეტ ბარიერებს აწყდებიან, ვიდრე მამაკაცები, მხარდაჭერის ისეთი პროგრამები, როგორცაა ტრენინგი და მენტორობა, სესხებზე წვდომა და ინკუბატორები, შეიძლება მორგებული იყოს ქალებზე და მიეწოდოს მხოლოდ ქალ ბენეფიციართა ჯგუფს,

რათა უკეთ დაკმაყოფილდეს მათი კონკრეტული საჭიროებები. მაგალითად, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, გარდა იმისა, რომ ქალებს არა აქვთ სესხის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, ინვესტიციების განაწილებაზე, სავარაუდოდ, ასევე გავლენას ახდენს გენდერული მიკერძოება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ქალი გადაწყვეტილების მიმღებების ნაკლებობას (Innovation Finance Advisory, 2020 [66]). მოთხოვნის ნაწილში, ქალები უფრო მეტად ერიდებიან რისკს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დაფინანსების წყაროების არჩევანზე, რადგან ისინი უფრო მეტად მიდრეკილნი არიან თვითდაფინანსებისკენ ვიდრე გარე დაფინანსებისკენ, რითაც ზღუდავენ შესაძლებლობებს ამიტომ (Halabisky, 2018[67]). აქედან გამომდინარე, ამ გენდერული გამოწვევების დასაძლევად მნიშვნელოვანია დაფინანსების მექანიზმების ხელშეწყობა, რომელთა სამიზნე ჯგუფი ქალებია. მაგალითად, მთავრობებს შეუძლიათ ინვესტიციები ვენჩურულ კაპიტალში საწარმოებში, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ, აქციების სანაცვლოდ, როგორც ეს გაკეთდა მაგალითად ირლანდიაში ქალ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის ფონდმა. ეს ფონდი უზრუნველყოფს კაპიტალის ინვესტიციას 10%-მდე და 50 000 ევროს ოდენობით, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს ქალებს, რომ შექმნან კომპანია შერჩეულ სექტორებში, მათი გაძლიერების მიზნით. მსგავსი გენდერული მიკერძოება გავლენას ახდენს ანგელოზის ინვესტიციებზე, ანუ კონკრეტული პირების მიერ ადრეულ ეტაპზე შეთავაზებულ ინვესტიციებზე. ამის საპირისპიროდ, მთავრობებს შეუძლიათ, მაგალითად, გააძლიერონ ფინანსური განათლების ტრენინგი ქალებისთვის, დაეხმარონ მათ გააუმჯობესონ სესხის განაცხადების ხარისხი და ფინანსური მოთხოვნები, და აამაღლონ ცნობიერება დაფინანსების მექანიზმების შესახებ.

#### *გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესება*

მხარდაჭერის ზომების ქალთა საჭიროებებზე მორგების მიზნით, აუცილებელია მონაცემთა ბაზების გამდიდრება და ამ თემაზე კვლევების გაღრმავება. ამ მიზნით, მომგებიანი იქნება რეგულარული კვლევების ჩატარება ქალთა მეწარმეობისა და ზოგადად შრომის ბაზარზე მონაწილეობის თვალსაზრისით არსებული ბარიერების შესახებ, რათა მოხდეს არსებული პროგრამების გავლენის მონიტორინგი, ქალთა მდგომარეობის ევოლუციის თვალყურის დევნება, პოლიტიკის გავლენის შეფასება, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და სახელმწიფო მხარდაჭერის შესაბამისად ადაპტირება.

#### *ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გააქტიურება გენდერული სხვაობის დასაძლევად*

და ბოლოს, ქალები კვლავ განიცდიან სოციალურ და გენდერულ სტერეოტიპებს (Griessbach and Ettl, 2020 [63]). გარდა სტრატეგიით გათვალისწინებული ქალთა გაძლიერების პრინციპების პოპულარიზაციისა, საქართველოს მთავრობას შეუძლია დაგეგმოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, რაც მთელი საზოგადოების მოცვაზე უნდა იყოს ორიენტირებული, განსაკუთრებით კი სოფლის მოსახლეობის. მაგალითად, ამ კომპანიებს შეუძლიათ წარმოაჩინონ სხვადასხვა წარმომავლობისა და სექტორის წარმომადგენელი წარმატებული ქალი მეწარმეები (Halabisky, 2018 [67]). დამატებითი ზომები შეიძლება განხორციელდეს ქალების წახალისებისთვის STEM განათლებაში, GITA-ს ღონისძიებებზე დაყრდნობით, რომლებიც ქალთა ტექნიკური სფეროში განათლებაზეა მიმართული. მაგალითად, ფინეთმა

შეიმუშავა ისეთი მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც ასევე მოიცავს დაფინანსების ინსტრუმენტებს და მენტორობას (EU4Digital, 2020[64]).

**ცხრილი 1.12. ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობაზე მიმართული რეკომენდაციების მიმოხილვა**

რეკომენდაცია	სტატუსი	დეტალები
მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით	○	სტრატეგია არ ითვალისწინებს გენდერულად მორგებული პროგრამების შემუშავებას. თუმცა, მისი ერთ-ერთი მიზანია ქალთა მონაწილეობის გაზრდა არსებულ პროგრამებში, რაც მისასაღებელია.
გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესება	●	სტრატეგია ახლა აკონკრეტებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სტატისტიკა სქესის მიხედვით გაუმჯობესდება და დაგეგმილია ქალთა მონაწილეობის მონიტორინგი მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში. გარდა ამისა, სამომავლო სამოქმედო გეგმები შეიძლება მოიცავდეს რეგულარულ კვლევებს ქალთა მეწარმეობის ბარიერებზე, რათა გარკვეული ხარისხობრივი ანალიზი განხორციელდეს.
ცნობიერების აქტივობების გენდერული დასაძლევად	●	ეს რეკომენდაცია აისახა სამოქმედო გეგმაში და სტრატეგია ახლა ხაზს უსვამს STEM სფეროებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მნიშვნელობას. დაგეგმილია საინფორმაციო სესიები ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, განხილული უნდა იყოს დამატებითი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა.

○ არ არის გათვალისწინებული      ● ნაწილობრივ გათვალისწინებულია      ● გათვალისწინებულია

**ცხრილი 1.13. ქალთა მეწარმეობის პოლიტიკის მხარდაჭერის გაუმჯობესების მონიტორინგისთვის შეთავაზებული KPI-ები**

KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ ტრენინგის მონაწილეთა % რომელიც აცხადებს, რომ მიღებული ინფორმაცია დაეხმარება მათ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში თავიანთ ბიზნესში	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია „საინფორმაციო სესიების რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორი იყო.  მონაცემების მოსაპოვებლად, ტრენინგის მონაწილეებს შორის შეიძლება ჩატარდეს მარტივი გამოკითხვა ტრენინგიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგ. მათ შეიძლება ელ.წერილი გაეგზავნოთ 3-6 თვის შემდეგ	არ არის ხელმისაწვდომი	65%	სსიპ აწარმოე საქართველოს ანგარიში
ციფრული უნარების შესახებ ტრენინგის მონაწილეთა %, რომელიც აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები დაეხმარება მათ გაუმჯობესონ თავიანთი ბიზნეს პრაქტიკა	ეს არის შედეგის ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია „ტრენინგებში მონაწილე ქალთა რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორი იყო.  მონაცემების მოსაპოვებლად, ტრენინგის მონაწილეებს შორის შეიძლება ჩატარდეს მარტივი გამოკითხვა ტრენინგიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგ. მათ შეიძლება ელ.წერილი გაეგზავნოთ 3-6 თვის შემდეგ	არ არის ხელმისაწვდომი	70%	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროგრესის ანგარიში

KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერების შესახებ ტრენინგის მონაწილეთა % აცხადებს, რომ მიღებული უნარები და ცოდნა სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერული მიდგომების თვალსაზრისით	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია „ტრენინგების რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორი იყო.  მონაცემების მოსაპოვებლად, ტრენინგის მონაწილეებს შორის შეიძლება ჩატარდეს მარტივი გამოკითხვა ტრენინგიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგ. მათ შეიძლება ელ.წერილი გაეგზავნოთ 3-6 თვის შემდეგ	არ არის ხელმისაწვდომი	70%	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროგრესის ანგარიში

შენიშვნა: ეს ცხრილი მოიცავს მხოლოდ KPI-ებს, რომლებიც დაემატა პრიორიტეტს OECD-ის რეკომენდაციით. ის არ ასახავს ამომწურავად OECD-ის მიერ მოწოდებულ კომენტარებს, მაგ. KPI-ების გაუმჯობესებაზე, რომლებიც უკვე შეტანილი იყო ლოგიკური ჩარჩოს საწყის პროექტში. საბაზისო და სამიზნე მნიშვნელობები არის ის მაჩვენებლები, რაც შედის ლოგიკური ჩარჩოს მიღებულ ვერსიაში.

### პრიორიტეტი 7: მწვანე ეკონომიკის განვითარება

#### არსებული ვითარება

პირველად, მწვანე ზრდა არის ცალკე პრიორიტეტადაა დასახელებული მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ახალ სტრატეგიაში. ეს ასახავს საქართველოს მთავრობის მზარდ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია ეკონომიკურ განვითარებაში გარემოსდაცვითი მოსაზრებების ინტეგრირებაზე და მისი გარემოსდაცვითი პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. ამ ბოლო სტრატეგიის ფარგლებში მიღებული იქნა რამდენიმე პოლიტიკის დოკუმენტი, რომლებიც განსაზღვრავენ საერთო გარემოსდაცვით პრიორიტეტებსა და ამოცანებს, როგორცაა 2017-2021 წლების მესამე ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა და 2016-2030 წლების ნარჩენების მართვის სტრატეგია. რიგმა ღონისძიებებმა, რომლებიც განხორციელდა ამ პოლიტიკის შესაბამისად, განაპირობა მწვანე ეკონომიკის ინდიკატორების საერთო გაუმჯობესება (OECD et al., 2020[1]) მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის შესაბამისად, 2016 წლის იმავე ინდექსთან შედარებით (2.48-დან 3.05-მდე).

საქართველომ ასევე განახორციელა მწვანე ღონისძიებები COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, მათ შორის, ჰაერის ხარისხის, ენერჯის მოხმარების, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის და ნარჩენების მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები და, რეგიონის უმეტესი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში COVID-19 პოლიტიკა პოტენციურად არ იწვევდა ისეთ უარყოფით გარემოსდაცვით შედეგებს, როგორცაა გარემოსდაცვითი შემოწმებების შემცირება, მწვანე პოლიტიკის რეფორმების შენელება ან ჯანდაცვის მიმართულებით სახსრების გადამისამართება (OECD, 2021 [68]). 2021 წელს საქართველომ ახალი ანგარიში წარადგინა ეროვნულად განსაზღვრული წვლილის შესახებ, რომელიც ეხლა უფრო ამბიციურ ზომებს ითვალისწინებს დაბალი ნახშირბადის ეკონომიკაზე გადასვლის ხელშესაწყობად. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა ამჟამად მუშაობს მწვანე ზრდის კონცეფციაზე, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, როგორცაა პროგრამა EU4Environment. მიმდინარეობს მუშაობა დამატებით გეგმებზე კონკრეტული სექტორებისთვის, როგორცაა ტურიზმი, რაც საქართველოს ეკოტურიზმის



2020-2030 წლების სტრატეგიაზე დაყრდნობით ხდება, რომელიც მიზნად ისახავს ამ სფეროში ქვეყნის ლიდერად პოზიციონირებას. სხვა დარგობრივი სტრატეგიები შეიცავენ მწვანე დებულებებს, მაგ. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია, რომელიც ფერმერულ მეურნეობასა და მეტყვეობაში მდგრადი პრაქტიკის ხელშეწყობას, ასევე, რეგიონების შინამეურნეობებსა და საწარმოებში ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

მიუხედავად ამ ძალისხმევისა, გამოწვევები კვლავ რჩება. მწვანე ზრდის სტრატეგიაზე მუშაობის დასრულება არსებითი იქნება ეკონომიკის გამწვანების მიმართულებით ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომის დანერგვის უზრუნველსაყოფად. ამ ეტაპზე, მცირე და საშუალო ბიზნესის „გამწვანების“ პოლიტიკა ფრაგმენტული რჩება და ფოკუსირებულია მხოლოდ ზოგიერთ სექტორზე. მიუხედავად ამისა, მცირე და საშუალო ბიზნესის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის მხარდაჭერა ქვეყნის მთავარ პრიორიტეტებს შორის უნდა იყოს, რადგან მათი ერთობლივი ზემოქმედება მნიშვნელოვნად აღემატება მსხვილი ფირმების ზემოქმედებას: მაშინაც კი, თუ მცირე და საშუალო ბიზნესი უფრო დაბალ გარემოსდაცვით კვალს ტოვებს, ვიდრე მსხვილი ფირმებს ინდივიდუალურად, მათი დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად იზრდება მათი აგრეგირებული ზეგავლენა. უფრო მწვანე პრაქტიკის მიღებას ასევე შეუძლია დადებითი ეკონომიკური გავლენა მოახდინოს თავად ფირმებზე, რადგან ეს ასევე დაეხმარება ბიზნესს საოპერაციო ხარჯების შემცირებაში, მაგ. ენერჯის მოხმარებისა და გენერირებული ნარჩენების მინიმიზაციის გზით. გარდა ამისა, მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკის გამწვანებას მწვანე პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებით. ამ მხრივ, ეს პრიორიტეტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინოვაციების პრიორიტეტთან, რადგან სტარტაპები შეიძლება იყონ მწვანე ინოვაციების მამოძრავებელი ძალა.

### **სამომავლო ქმედებები**

*სტრატეგიის დოკუმენტში უფრო კონკრეტული დეფინიციების და მიზნების ასახვა*

ქართული მცირე და საშუალო საწარმოების ეფექტური მხარდაჭერისთვის საჭიროა მწვანე ზრდის სტრატეგიული ხედვა. მცირე და საშუალო მეწარმეობის ახალი სტრატეგია გთავაზობს მნიშვნელოვან შესაძლებლობას ამ ხედვის შესამუშავებლად და ითვალისწინებს მკაფიო ამბიციას საკანონმდებლო ბაზის განვითარებასა და მორგებულ მხარდაჭერასთან დაკავშირებით. სტრატეგიას დაემატა განმარტებები ეკონომიკის იმ სფეროებთან დაკავშირებით, რომლებიც მოცული უნდა იყოს მომავალი მწვანე ზრდის სტრატეგიით და საკანონმდებლო ჩარჩოებით, მაგრამ დოკუმენტი შეიძლება უფრო დეტალური ყოფილიყო, მაგ. ვადებთან დაკავშირებით. მთავრობამ ამ მიმართულებით მუშაობის კვალდაკვალ უნდა უზრუნველყოს, რომ მწვანე ზრდის სტრატეგია შეიცავდეს მკაფიო დეფინიციებს, ვადებს და მიზნებს.

*„აწარმოე საქართველოსთვის“ მცირე და საშუალო საწარმოების მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის მხარდაჭერა*

ყოვლისმომცველ ხედვასთან ერთად, მცირე და საშუალო საწარმოების მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობის ღონისძიებები უფრო ქმედითი იქნება კოორდინირებული მიდგომის გაძლიერების შემთხვევაში. აწარმოე საქართველო ამჟამად მუშაობს მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერის მიმართულების თავის პროგრამებში ჩართვაზე, IBRD-ს საქართველოს მხარდაჭერისა და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების აღორძინების

პროექტის ფარგლებში. აწარმოე საქართველოს შეუძლია შეასრულოს ცენტრალური სააგენტოს როლი, რომელიც პასუხისმგებელია მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობაზე მომუშავე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების კოორდინაციაზე, და იგი მცირე და საშუალო საწარმოების საკონტაქტო პირს წარმოადგენს. მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულების თავის პორტფელში ჩართვა საშუალებას მისცემს სააგენტოს მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს კომპანიების ინფორმირებულობა მწვანე ეკონომიკის უპირატესობებისა და შესაძლებლობების შესახებ, და ამავდროულად უზრუნველყოს პირდაპირი მხარდაჭერა დაინტერესებული მცირე და საშუალო საწარმოებს.

*ღონისძიებები მცირე და საშუალო საწარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე მიმართული მიზნობრივი ღონისძიებების დაგეგმვა*

ენერგოეფექტურობის სფეროში, საქართველო მუშაობს განახლებული ენერგოეფექტურობის დირექტივისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმის მიღებაზე. თუმცა, მცირე საწარმოებს ხშირად უჭირთ ამ ტიპის პროგრამებზე წვდომა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროგრამა შექმნილია ისე, რომ ხელი შეუწყოს ამას. აქედან გამომდინარე, ეფექტურობის ზოგიერთი ღონისძიება უნდა იყოს სპეციალურად მორგებული მცირე და საშუალო ბიზნესზე. ვინაიდან საბანკო ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, ზომები უნდა იქნას მიღებული ამ საკითხის გადასაჭრელად, მაგალითად, ალტერნატიული წყაროებიდან სესხების უზრუნველყოფით, როგორცაა მიკროსაფინანსო ინსტიტუტები, ინსტიტუციონალური ინვესტორები და არასაფინანსო სექტორის კორპორაციები (OECD, 2018[69]). პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 2019 წელს გადაიდა EBRD-ის „მწვანე ეკონომიკის დაფინანსების მექანიზმის“ ამოქმედებით, რომელიც მხარს უჭერს ადგილობრივ პარტნიორ ბანკებს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სესხების გაცემაში (მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა, 2019[70]). გარდა ამისა, სტრატეგია ითვალისწინებს საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, მათ შორის ენერგოეფექტურობის სფეროში, მაგრამ არ აზუსტებს რაიმე დამატებით დეტალებს. შეიძლება უფრო მეტი დეტალების ასახვა სტრატეგიაში, მაგ. რეგულირების გაუმჯობესების შესახებ: რეგულირების ინსტრუმენტები არის მცირე და საშუალო საწარმოების წახალისების ეფექტური გზა, რათა მათ გააუმჯობესონ თავიანთი გარემოსდაცვითი საქმიანობა. ეს ინსტრუმენტები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, იმ მცირე და საშუალო საწარმოების შემცირებულ გარემოსდაცვითი ინსპექტირება, რომლებიც ახორციელებენ გარემოსდაცვითი მართვის სისტემებს, ასევე გადავიდნენ ზოგად სავალდებულო წესებზე ისეთი სექტორებისთვის, როგორცაა სოფლის მეურნეობა (OECD, 2018[71]). ეს შეიძლება გათვალისწინებული იქნას სამომავლო სამოქმედო გეგმებში.

*მწვანე ეკონომიკის შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება*

დაბოლოს, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების ცნობიერების ამაღლება შესაძლებლობების შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან მათ ხშირად არ ესმით მწვანე ეკონომიკის სარგებელის შესახებ გრძელვადიან პერსპექტივაში, და რომ ამ სფეროში ეკო-ინოვაციურ მიდგომებში ინვესტირება უაღრესად სასარგებლოა. ამასთან დაკავშირებით, სტრატეგია ითვალისწინებს რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრას, განსაკუთრებით ეკო-ინოვაციასთან დაკავშირებით. EU4Environment პროგრამის ფარგლებში და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით, საქართველო მუშაობს ცნობიერების ამაღლების ინიციატივებზე, როგორცაა სამუშაო შეხვედრები, სემინარები და კონფერენციები, განსაკუთრებით ენერგო და რესურსების ეფექტურობის, სუფთა წარმოების და მწვანე ფინანსების კუთხით. დამატებითი ინსტრუმენტები შეიძლება დაინერგოს ამ ინიციატივების გასაძლიერებლად, როგორცაა უფრო ფართო კომუნიკაცია და ინფორმაციის მიწოდების

ინსტრუმენტები, აგრეთვე, ბიზნეს ასოციაციებთან, უნივერსიტეტებთან და სხვა საგანმანათლებლო ცენტრებთან თანამშრომლობა.

**ცხრილი 1.14. მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე მიმართული რეკომენდაციების მიმოხილვა**

რეკომენდაცია	სტატუსი	დეტალები
უფრო კონკრეტული დეფინიციების და მიზნების ასახვა სტრატეგიის დოკუმენტში	●	მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავების მიზნები და საკანონმდებლო ბაზა ახლა უფრო დეტალურად მიმოხილავს სფეროებს, რომლებიც მოცული უნდა იყოს მაგრამ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ მკაფიო დეფინიციები და მიზნები იყოს დასახული სამომავლო პოლიტიკის დოკუმენტებში, როგორცაა გამოქვეყნებული და მწვანე ზრდის სტრატეგია.
აწარმოე საქართველოსთვის მცირე და საშუალო საწარმოების მწვანე ეკონომიკაში ჩართვაში მხარდაჭერის ფუნქციის დავალება	○	მიუხედავად იმისა, რომ აწარმოე საქართველო მუშაობს მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობის მიზნით საწარმოების მხარდაჭერის გაძლიერებაზე, სტრატეგია არ ითვალისწინებს რომელიმე დაინტერესებული მხარისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამწვანების მხარდაჭერის სფეროში წამყვანი ფუნქციის დავალებას.
მცირე და საშუალო საწარმოების ეფექტურობის ამაღლებაზე მიმართული სამიზნე ზომების გატარება	●	სტრატეგია ითვალისწინებს ეფექტური საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, მათ შორის, ენერგოეფექტურობის სფეროში, მაგრამ უფრო მეტი დეტალის დამატება შეიძლებოდა. განხორციელების პერიოდში შეიძლება განიხილებოდეს მცირე და საშუალო საწარმოების რეგულირების გაუმჯობესება.
მწვანე ეკონომიკის შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება	●	დაგეგმილია საინფორმაციო სესიები ეკო-ინოვაციების შესახებ და განხორციელდება მათი ზეგავლენის მონიტორინგი მცირე და საშუალო ბიზნესზე. დამატებითი ინსტრუმენტები შეიძლება დაინერგოს ამ მიდგომის შესავსებად, როგორც ზემოთ იყო აღწერილი.

○ არ არის გათვალისწინებული      ● ნაწილობრივ გათვალისწინებულია      ● გათვალისწინებულია

**ცხრილი 1.15. მცირე და საშუალო საწარმოების გამწვანების პროგრესის მონიტორინგისთვის შემოთავაზებული KPI-ები**

KPI	აღწერა/მიზანშეწონილობა	საბაზისო (2019)	სამიზნე (2025)	მონაცემების წყარო
კომპანიების რაოდენობა, რომლებთანაც საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა	ეს ინდიკატორია შემოთავაზებული „საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რათა თვალყურს იქნას გადევნებული მცირე და საშუალო ბიზნესის ამ შეხვედრებში მონაწილეობაზე.	არ არის ხელმისაწვდომი	საინფორმაციო სესია არანაკლებ 100 კომპანიის მონაწილეობით	სსიპ აწარმოე საქართველოს ანგარიში
ტრენინგის კურსდამთავრებულთა % რომლებიც თვლიან, რომ შექმნილი უნარები დაეხმარება მათ გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაში	ეს არის ზემოქმედების ინდიკატორი, რომელიც შემოთავაზებულია „ტრენინგების რაოდენობის“ ჩასანაცვლებლად, რომელიც უფრო შედეგის ინდიკატორი იყო.  მონაცემების მოსაპოვებლად, ტრენინგის მონაწილეებს შორის შეიძლება ჩატარდეს მარტივი გამოკითხვა ტრენინგიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგ. მათ შეიძლება ელწერილი გაეგზავნოს 3-6 თვის შემდეგ	არ არის ხელმისაწვდომი	ტრენინგში მონაწილეთა 60%	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობის ანგარიში

შენიშვნა: ეს ცხრილი მოიცავს მხოლოდ KPI-ებს, რომლებიც დაემატა პრიორიტეტს OECD-ის რეკომენდაციით. ის არ ასახავს ამომწურავად OECD-ის მიერ მოწოდებულ კომენტარებს, მაგ. KPI-ების გაუმჯობესებაზე, რომლებიც უკვე შეტანილი იყო ლოგიკური ჩარჩოს საწყის პროექტში. საბაზისო და სამიზნე მნიშვნელობები არის ის მაჩვენებლები, რაც შედის ლოგიკური ჩარჩოს მიღებულ ვერსიაში.

## 2 მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარება

გაციფრულებას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ეკონომიკასა და საზოგადოებებს. კერძოდ, იგი ეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს პროდუქტიულობის გაზრდაში სტრატეგიულ რესურსებზე წვდომის გამარტივების, მომხმარებელთა ბაზისა და ბაზარზე წვდომის გაფართოების, მასშტაბის გაზრდის და ქსელის ეფექტის კაპიტალიზაციის გზით. ეს თავი უფრო ღრმად იკვლევს იმ გზებს, თუ როგორ შეუძლია საქართველოს დააჩქაროს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის ციფრული ტრანსფორმაცია. ის გვთავაზობს არსებული მდგომარეობის მიმოხილვას ისეთი ჩარჩო პირობების თვალსაზრისით, როგორცაა ფართოზოლოვანი კავშირი, მარეგულირებელი გარემო, ციფრული წიგნიერება და მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულება. ამ მიზნით, მოცემულ ნაწილში მიმოხილულია წარსული პოლიტიკის მიღწევები და სამომავლო ღონისძიებები. ბოლო ნაწილში შემოთავაზებულია მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერაზე მიმართული პოლიტიკის თვალსაზრისით არსებული არჩევანი.

## რატომ არის მნიშვნელოვანი მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულება

### *გაციფრულება უამრავ ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს ბიზნესს*

გაციფრულება შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ციფრული ტექნოლოგიების, მონაცემებისა და ურთიერთკავშირების გამოყენება, რაც იწვევს ახალ აქტივობებს ან არსებული აქტივობების ცვლილებებს“ (OECD, 2019[72]). ციფრული ტექნოლოგიები მუდმივად მზარდი ტემპით ვითარდებოდა კომპიუტერების გაჩენის და მსოფლიო ქსელის შექმნის შემდეგ, რაც ადამიანებს, მთავრობებსა და ბიზნესს ახალი ინსტრუმენტების ფართო სპექტრს სთავაზობს (ცხრილი 2.1). მათ გამოყენებას, თავის მხრივ, შეიძლება ჰქონდეს ღრმა ეკონომიკური და სოციალური ეფექტი, რომელსაც ჩვეულებრივ ციფრულ ტრანსფორმაციას უწოდებენ (OECD, 2019[72]).

რამდენიმე კვლევამ გამოიკვლია ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ზეგავლენა ბიზნესის მუშაობაზე და გამოავლინა პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად<sup>5</sup>. ეს შეიძლება სხვადასხვა არხებით მოხდეს, დაწყებული ოპერაციების ეფექტურობის გაზრდით, დამთავრებული მომხმარებელთა ფართო ჯგუფის მოცვით, გაუმჯობესებული მარკეტინგისა და გაყიდვების გზით. ისეთი ტექნოლოგიების მიღებით, როგორცაა მოწინავე მონაცემთა ანალიტიკა, რესურსების დაგეგმვის პროგრამული უზრუნველყოფა და ავტომატიზაცია, ბიზნესს შეუძლია გააუმჯობესოს ხარისხი დაბალ ფასად. გარდა ამისა, მომხმარებელთა ონლაინ შოპინგის ქცევის, პრეფერენციებისა და სოციალური მედიის აქტივობის ციფრული გადაწყვეტილებების გამოყენებით გაანალიზების გზით, საწარმოებს შეუძლიათ შეიქმნან უკეთესი წარმოდგენა ამ საკითხებზე და შეიმუშაონ უფრო ეფექტური მარკეტინგული გზავნილები (BCG, 2020 [73]). ფირმის მახასიათებლებიდან და განსაკუთრებით საქმიანობის სექტორიდან გამომდინარე, ციფრულ ინსტრუმენტებს შეუძლიათ უპასუხონ კონკრეტულ საჭიროებებს (ცხრილი 2.1). ამ ნაწილში შემოთავაზებულია შერჩეული ტექნოლოგიების სია, რომლებიც შეიძლება დანერგონ მცირე და საშუალო საწარმოებმა, და მოყვანილია მათი პოტენციური გამოყენების მაგალითები. როგორც ჩანართ 2.1-ში ასახული სამშენებლო სექტორის მაგალითიდან ჩანს, ციფრულ ინსტრუმენტებს შეუძლიათ შეასრულონ სხვადასხვა ფუნქციები, რომლებიც მორგებულია კომპანიის გაციფრულების დონეზე.

გარდა ამისა, გაციფრულებას შეუძლია ხელი შეუწყოს ბიზნეს გარემოს საერთო გაუმჯობესებას, რადგან ციფრული ინსტრუმენტები გვთავაზობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებებს კანონის უზენაესობის გასამდიერებლად, გამჭვირვალობის გაზრდისა და კორუფციის შემცირების მიზნით. მაგალითად, ელექტრონული ხელმოწერებისა და ციფრული ავთენტიფიკაციის სერვისების გამოყენება აუმჯობესებს უსაფრთხოებას სახელმწიფო ორგანოებთან ტრანზაქციებისას, ხოლო მონაცემთა ანალიტიკას შეუძლია მხარი დაუჭიროს განმცხადებლების სანდოობის შემოწმებას სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების დროს (Santiso, 2021[74]). საჯარო სერვისების, მათ შორის ადმინისტრაციული პროცესების გაციფრულება ზღუდავს კორუფციის შესაძლებლობებს და ზრდის საიმედოობას, ვინაიდან ამცირებს შუამავლების და ქაღალდის გამოყენებას. მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში, ტექნოლოგიას შეუძლია დაეხმაროს გამჭვირვალობის გაზრდასა და წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რადგან ის მონაცემების საჯაროობის საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა

<sup>5</sup> იხილეთ, მაგალითად Gal et al. (2019[143])

ელექტრონული ინვოისი, რომელიც აადვილებს საგადასახადო ვალდებულებების გაცხადების პროცესს და ამცირებს შეცდომების ალბათობას (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2020[75]).

მიუხედავად ამისა, ბიზნესებს არ შეუძლიათ უფლებელყოფონ მრავალი რისკი და გამოწვევა, რომელიც გაციფრულებასთანაა დაკავშირებული, როგორცაა კიბერუსაფრთხოებასთან და მომხმარებელთა მონაცემების კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული რისკები. ეს ეხება როგორც ისეთ დამკვიდრებულ ტექნოლოგიებს, როგორცაა ციფრული გადახდები, ასევე განვითარებად ტექნოლოგიებს: მაგალითად, ხელოვნური ინტელექტი (AI), რომელიც ეთიკურ კითხვებს ზადებს პოლიტიკის შემქმნელებისგან მოითხოვს მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებას, და მიზნების და ღირებულებების განსაზღვრას, რომლებიც დაცული უნდა იყოს (OECD, 2019 [76]). ნივთების ინტერნეტი (IoT) ამის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს, რადგან მისი გამოყენება იწვევს კონფიდენციალურობასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მზარდ გამოწვევებს (OECD, 2018[77]). რისკის ყველა პოტენციური წყაროს გააზრება და მათ მოსაგვარებლად სტრატეგიების იდენტიფიცირება გაციფრულების პროცესის განუყოფელი და ფუნდამენტური ნაწილია (Deloitte, 2018[78]). ამიტომ, პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა უზრუნველყოფონ, რომ ეს გამოწვევები გათვალისწინებული და განხილული იქნას ციფრული პოლიტიკის შემუშავებისას.

### ცხრილი 2.1. ზოგიერთი დამკვიდრებული და განვითარებადი ციფრული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი

ტექნოლოგია	აღწერა	გამოყენების შერჩეული მაგალითები
მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვა (CRM)	ეს პროგრამული უზრუნველყოფა აძლიერებს ფრანტ-ოფისის ფუნქციების მართვას ფირმების მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვის გზით.	საკოორდინაციო პლატფორმები: დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ უშუალო კონტაქტი და ისინი მუდმივად იღებენ განახლებულ ინფორმაციას პროექტის პროგრესის შესახებ.
ქლაუდ განგარიშები (Cloud Computing -CC)	ICT სერვისებზე წვდომა ინტერნეტით, მათ შორის ისეთ სერვისებზე, როგორცაა საცავი, ქსელის კომპონენტები და პროგრამული აპლიკაციები.	ქლაუდ ანგარიშგება: მრავალ მომხმარებელს შეუძლია ერთდროულად განაახლოს ინფორმაცია, რაც სანდო პროცესის და ხელმისაწვდომობის საშუალებას.
მიწოდების ჯაჭვის მართვა (SCM)	გამოყენება საქონლისა და სერვისების ნაკადის მართვისთვის; ეხება პროცესებს, რომლებიც ნედლეულს გარდაქმნის საბოლოო პროდუქტად	საზედამხედველო კონტროლი და მონაცემთა შეგროვება (SCADA) მცენარეთა მართვის სფეროში: ინტეგრირებული პლატფორმა აღჭურვილობისა და რესურსების მონიტორინგისთვის საწარმოო ხაზის მასშტაბით.
ელექტრონული კომერცია	გულისხმობს საქონლის ან მომსახურების გაყიდვას ან შეძენას, რომელიც ხორციელდება კომპიუტერული ქსელის მეშვეობით, შეკვეთების მიღების ან განთავსების მიზნით სპეციალურად შემუშავებული მეთოდების გამოყენებით.	ელექტრონული კომერციის პლატფორმები: ისინი ამარტივებენ შესყიდვის პროცესს, ზრდიან პროდუქტის ხილვადობას და მომხმარებელთა დიდი რაოდენობის მოცვის საშუალებას იძლევიან.
ელექტრონული ინვოისი	იგი მხარს უჭერს შესაბამისობას სტანდარტიზებული ფორმატების საშუალებით, რაც ადმინისტრაციული სამუშაოების და ადამიანური შეცდომების შემცირების საშუალებას იძლევა (მაგ. ბეჭდვითი შეცდომები) საგადასახადო დეკლარაციების და ბილინგის მომზადებისას, და ხელს უწყობს წესების დაცვას და ინტეგრაციას.	ელექტრონული ინვოისის მართვა: ინვოისების ელექტრონულად გენერირება, ქაღალდის გამოყენების თავიდან აცილება და ამით უსაფრთხოებისა და არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის გაზრდა.

ტექნოლოგია	აღწერა	გამოყენების შერჩეული მაგალითები
საწარმოს რესურსების დაგეგმვა (ERP)	ასეთი პროგრამული უზრუნველყოფა სხვადასხვა ბიზნეს აქტივობების ინტეგრირების საშუალებას იძლევა ინფორმაციის ნაკადების შენახვის და მართვის გზით. შედეგად, ბიზნეს ფუნქციები ავტომატიზირებულია, რაც ხელს უწყობს ბეჟოფის ფუნქციების განხორციელებას და სტრატეგიულ დაგეგმვას.	აქტივების ინვენტარის მართვა: საშუალებას გაძლევთ აკონტროლოთ მარაგები, რაც ამცირებს ჭარბი წარმოებისა და ნარჩენების რისკს.
რადიოსიხშირების იდენტიფიცირება (RFID)	ახლო ველში კომუნიკაციის საშუალებას იძლევა და გამოიყენება პროდუქტის ან პირის იდენტიფიკაციისთვის, ან წვდომის კონტროლისთვის, სამრეწველო წარმოების მონიტორინგისა და კონტროლისთვის, მიწოდების ჯაჭვის ინვენტარის თვალყურის დევნებისთვის და მიკვლევისთვის, ტექნიკური სერვისის შესახებ ინფორმაციის მართვისთვის ან გადახდის აპლიკაციებისთვის.	საწყობის მართვა: აქტივებზე თვალყურის დევნება დანაკარგის რისკის შესამცირებლად და ტრანსპორტირების ეფექტურობის გაზრდის მიზნით
5G	ეს ახალი უკაბელო ტექნოლოგია უზრუნველყოფს 200-ჯერ უფრო სწრაფ კავშირს, ვიდრე ამჟამინდელი 4G ქსელი, ამავდროულად იძლევა მილიარდობით მოწყობილობის ერთდროულ კავშირს და მოწყობილობებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებას.	ვირტუალური რეალობა სიმულაციისთვის: ისინი საბოლოო პროდუქტის ვიზუალიზაციის, ტრენინგის გაუმჯობესების და დიზაინის პროცესების გამარტივების საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე გამოიყენება, 5G-ის სიჩქარე გააუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას, გახდის მას უფრო რეალისტურს და ეფექტურს და გაზრდის გავრცელებას და გამოყენებას.
IoT	მოწყობილობები, რომელთა მართვა შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით, ადამიანის აქტიური მონაწილეობით ან მის გარეშე. სავარაუდოდ, ეს გაზრდის ფორმების სიმულაციის, პროტოტიპის შემუშავების, გადაწყვეტილების მიღებისა და ავტომატიზაციის შესაძლებლობებს.	აღჭურვილობის საერთო ეფექტურობა: ის საშუალებას გაძლევთ მუდმივად აკონტროლოთ აღჭურვილობა, რათა უზრუნველყოთ მისი ეფექტურობა.
დიდი მონაცემების ანალიტიკა	ისინი საშუალებას გაძლევთ გაანალიზოთ დიდი რაოდენობით მონაცემები, რაც შეიძლება იყოს საკვანძო გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, რადგან ეს საშუალებას იძლევა, რომ პროდუქციისა და მომსახურების მიწოდება მოთხოვნაზე იყოს მორგებული.	ცენტრალიზებული პლატფორმა მონაცემთა ანალიტიკით: ის ბაზრის შესაძლებლობების იდენტიფიცირების, მონაცემების საფუძველზე დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების და პროცესის ეფექტურობის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.
ხელოვნური ინტელექტი (AI)	მანქანური სისტემების უნარი ისწავლონ და გამოიყენონ მიღებული ცოდნა ინტელექტუალური ქცევის გზით. მათ შეუძლიათ შეასრულონ სხვადასხვა შემეცნებითი ამოცანები აპლიკაციების ფართო სპექტრის მეშვეობით	ენერჯის ეფექტური მართვა: ციფრული სენსორები ენერჯის მოხმარების მონიტორინგისთვის, რაც ენერჯიაზე მოთხოვნის პროგნოზირების საშუალებას იძლევა და, შესაბამისად, ამცირებს ნარჩენებს და ხარჯებს.
ბლოკჩეინი	ეს არის ქსელში მხარეებს შორის ტრანზაქციების საზიარო აღრიცხვის წიგნი, რომელიც არ კონტროლდება ერთი ცენტრალური ორგანოს მიერ, სადაც რეგულარული განახლებები ხორციელდება და ყველა ასლი იდენტური და გადამოწმებადია ყველა მონაწილის მიერ ნებისმიერ დროს. იმისდა მიხედვით, თუ ვის შეუძლია მისი ნახვა, ისინი შეიძლება იყოს საჯარო ან დახურული, შეიძლება იყოს ნებადართული ან უნებართვო, იმისდა მიხედვით, სჭირდება თუ არა მომხმარებლებს ჩანაწერის წარმოების ნებართვა.	ბლოკჩეინი სავაჭრო დოკუმენტაციისთვის: ბლოკჩეინში წარმოებული დოკუმენტების დადგენილ ადრესატებს შორის გაზიარება გაზრდის ტრანზაქციის უსაფრთხოებას და გამჭვირვალობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

წყარო: (OECD, 2011<sup>[79]</sup>), (OECD, 2014<sup>[80]</sup>), (OECD, 2021<sup>[81]</sup>), (OECD, 2018<sup>[82]</sup>), (Infocomm Media Development Authority, 2021<sup>[33]</sup>), და (Intel, 2021<sup>[83]</sup>).

## ჩანართი 2.1. მაგალითი: სამშენებლო კომპანიის მიერ ციფრული გადაწყვეტილებების მიღების ეტაპები

### ეტაპი 1

პირველი ეტაპი ფოკუსირებული უნდა იყოს ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე ძირითადი შესაძლებლობების ავტომატიზაციისა და გაძლიერების მიზნით, ასევე ოპერაციების ოპტიმიზაციაზე უკეთესი თანამშრომლობის გზით. ინსტრუმენტებს, როგორცაა შენობის ინფორმაციის მოდელირება (Building Information Modeling - BIM), სხვადასხვა ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ინსტრუმენტები და 3D მოდელირება, შეუძლიათ გააუმჯობესონ ვიზუალიზაციისა და ანალიზის შესაძლებლობები და გაამარტივონ პროექტის დიზაინი. ERP ინსტრუმენტები, როგორცაა თანამშრომლობის პლატფორმები, საშუალებას აძლევს კონტრიბუტორებს ადვილად გააჩნდეთ წვდომა ერთმანეთის სამუშაოს შედეგებზე და მუდმივად ეცნობოდნენ განახლებულ ინფორმაციას პროგრესის შესახებ.

### ეტაპი 2

მეორე ეტაპზე ყურადღება ინაცვლებს ინტეგრირებული ეკოსისტემების დანერგვაზე და პროცესების გამარტივებაზე, კოორდინაციის შემდგომი გაუმჯობესების და პროექტის მენეჯმენტისთვის მუშაობის გაადვილების მიზნით. ამ მიზნით, საშუალებების მართვის BIM და ERP ტექნოლოგია ადჭურვილობისა და საშუალებების მოვლა-პატრონობის ავტომატიზაციას უზრუნველყოფს და მომავალი პრობლემების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. ჩამოშენებული გარემოსდაცვითი ციფრული პლატფორმები და ERP-ზე დაფუძნებული სხვა ინსტრუმენტები საშუალებას აძლევს კონტრიბუტორებს შეატყობინონ პრობლემების შესახებ და თვალყური ადევნონ მათ გადაწყვეტას, და ისინი აკავშირებენ პარტნიორებს მომწოდებლების დიდ რაოდენობასთან, რაც აჩქარებს ნედლეულის არჩევას.

### ეტაპი 3

ამ ეტაპზე, ოპერაციების ავტომატიზაცია ფართოვდება და ახალი და უფრო რთული ამოცანების მოცვა ხდება, რაც პროექტის განხორციელების ყველა ასპექტის კონტროლის ცენტრალიზაციის საშუალებას იძლევა და ზრდის ოპტიმიზაციას. ბლოკჩეინის ტექნოლოგია საშუალებას გაძლევს მუდმივად განახლებული და სანდო ინფორმაცია გქონდეთ პროექტის პროგრესის შესახებ. მონაცემთა ანალიტიკას, ხელოვნური ინტელექტის მხარდაჭერით, შეუძლია უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროექტისთვის ყველაზე დამახასიათებელი რისკებსა და განხორციელების ჩვეული პრაქტიკის შესახებ, რაც ამცირებს ხარჯებს და ზრდის უსაფრთხოებას. რობოტიკა ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას სამშენებლო სამუშაოების მხარდასაჭერად, განმეორებადი ამოცანების თავიდან ასაცილებლად, რაც უთავისუფლებს დროს ადამიანებს იმისთვის, რომ შეასრულონ უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე სამუშაოები.

შენიშვნა: მაგალითი ეფუძნება სამშენებლო სექტორის ინდუსტრიულ გეგმას, რომელიც შემუშავებულია სინგაპურის SMEs Go Digital Initiative-ის მიერ  
წყარო: (European Construction Sector Observatory, 2021<sup>[17]</sup>) and (Infocomm Media Development Authority, 2021<sup>[18]</sup>).

რაც შეეხება ბიზნეს სექტორს, გაციფრულება სტრუქტურული ტრანსფორმაციის მთავარი მამოძრავებელია. ერთის მხრივ, ტექნოლოგიები და ამით გამოწვეული სიღრმისეული ცვლილებები მუშაობის, თანამშრომლობისა და პროცესების ორგანიზების ახალი გზების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ ახალ საბაზრო შესაძლებლობებს ქმნის, რომელთა გამოყენება ფირმებს შეუძლიათ, რაც ხელს უწყობს ახალი ბიზნეს მოდელების



ფორმირებას. შედეგად, ჩნდება ციფრული ფირმები: გასული წლების განმავლობაში საქართველოში გაჩნდა არაერთი სწრაფად მზარდი ციფრული სტარტაპი, როგორცაა B2C.ge, ფირმა, რომელიც ეხმარება სხვა ბიზნესებს თავიანთი ონლაინ მაღაზიების გახსნაში (მეტი მაგალითები დაწვრილებით მოცემულია ცხრილში 2.3). თუმცა, ეს არსებული ვითარების მხოლოდ მცირე ნაწილია. რაც უფრო მნიშვნელოვანია, გაციფრულება ასევე არის უფრო „ტრადიციულ“ სექტორებში დამატებითი ცვლილებების დანერგვის შესაძლებლობა, მაგ. პროცესების, პროდუქტების ოპტიმიზაციის (მაგალითად, მონაცემთა ანალიზის გამოყენებით მომხმარებელთა შეხედულებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად), მომხმარებლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების და ახალ ბაზრებზე ელექტრონული კომერციის პრაქტიკის გამოყენების საშუალებით. ERP ტექნოლოგიებს შეუძლია მხარი დაუჭიროს ისეთ სექტორებს, რომლებიც ვაჭრობას ეწევიან, მაგალითად, როგორცაა საბითუმო ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა, რაც ხელს უწყობს ტრანზაქციების განხორციელებას და ხარჯების შემცირებას, მაგ. მარაგების მონიტორინგის მეშვეობით, რაც ამცირებს ჭარბი წარმოებისა და ნარჩენების რისკს. გარდა ამისა, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა ელექტრონული ინვოისები და ელექტრონული გადახდები, ხელს უწყობს ტრანზაქციის უსაფრთხოების ზრდას. CRM პლატფორმების გამოყენებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კოორდინაციის გაუმჯობესებაში სხვადასხვა სექტორში, განსაკუთრებით მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, საქართველოს ეკონომიკის ორ მთავარ სფეროებში. პირველის შემთხვევაში, ეს საშუალებას აძლევს პროექტის სხვადასხვა მონაწილეებს მუდმივად იყვნენ ინფორმირებული მიმდინარე მოვლენების შესახებ, ხოლო, სოფლის მეურნეობის სფეროში, ეს ხელს უწყობს ადგილობრივ ფერმერებსა და გლობალურ დისტრიბუტორებს შორის უშუალო კონტაქტებს. ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ციფრულმა ინსტრუმენტებმა გააუმჯობესოს რიგი ტრადიციული სექტორები.


COVID-19 კრიზისმა ძლიერი სტიმული მისცა ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარებას, რადგან მთავრობები, ბიზნესები და კერძო პირები იძულებულნი გახდნენ ემუშავათ დისტანციურად, და შესაბამისად, მათ მოუწიათ გაეზარდათ ონლაინ პლატფორმების გამოყენებით შესრულებული ამოცანების წილი. ქვეყნის პერიოდულმა ჩაკეტვებმა და სოციალური დისტანცირების ხანგრძლივმა ზომებმა მობილობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია: საზოგადოებრივი ტრანსპორტის ჰაბების გამოყენება 78%-მდე შემცირდა 2020 წლის აპრილში საბაზისო მონაცემთან შედარებით<sup>6</sup>, ხოლო სამუშაო ადგილებზე გამოცხადება 81%-მდე შემცირდა (Google LLC, 2021 წ. [84]). 2021 წლის აგვისტოს ბოლოს არსებული მდგომარეობით, მიუხედავად იმისა, რომ ინფექციების ახალი ტალღის მიუხედავად საქართველომ არ დააწესა მკაცრი შეკავების ზომები, მაჩვენებლები ნორმალურ დონეს ჯერ არ დაუბრუნდა, და შესაბამისად, დაფიქსირდა 14%-იანი და 27%-იანი კლება სატრანზიტო სადგურებსა და სამუშაო ადგილებზე გამოცხადების თვალსაზრისით. მოქალაქეები სულ უფრო ხშირად ურთიერთობენ ონლაინ რეჟიმში, ხოლო სკოლებს უწევთ დისტანციური სწავლების რეჟიმში მუშაობა. ბიზნესებს ასევე მოუწიათ მოქნილობის გამოჩენა და დისტანციური მუშაობისადმი ადაპტირება ონლაინ რეჟიმში მუშაობაზე გადასვლის გზით: 2020 წლის შემოდგომისთვის, ქართული ფირმების მესამედზე მეტმა დაიწყო ან გაზარდა ონლაინ ბიზნეს საქმიანობა (დიაგრამა 2.1), ხოლო ონლაინ მაღაზიებში მიმართვიანობა

<sup>6</sup> საბაზისო მაჩვენებელი შეესაბამება საშუალო კვირა დღეებში საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის, და ორშაბათობით სამუშაო ადგილზე ვიზიტების გასაშუალოებულ მაჩვენებელს 2020 წლის 3 იანვრიდან 6 თებერვლამდე პერიოდში.

სამჯერ გაიზარდა 2019-დან 2021 წლამდე პერიოდში, რაც სამომხმარებლო ჩვევებში არსებულ ცვლილებებს ასახავს, რომლებიც სავარაუდოდ შენარჩუნდება (Galt & Taggart, 2021 [85]). ანალოგიურად, ქართველებმა საგრძნობლად გაზარდეს ელექტრონული მმართველობის სერვისების გამოყენება: მაშინ როცა ხელისუფლებამ თითქმის გააორმაგა my.gov.ge პორტალზე ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა, რომლებმაც 2020 წელს 700-ს მიაღწია, ამ სერვისებით სარგებლობა 9-ჯერ მეტად გაიზარდა (OECD, 2021[86]).

**დიაგრამა 2.1. COVID-19-ის გავლენა ბიზნესის ონლაინ აქტივობაზე, ფირმის ზომის მიხედვით**

ფირმების პროცენტი, რომლებმაც დაიწყეს ან გაზარდეს ონლაინ ბიზნეს აქტივობა COVID-19-ის გავრცელების საპასუხოდ



შენიშვნა: R-1 შეესაბამება 2020 წლის ივნისში ჩატარებული შემდგომი კვლევის შედეგებს, R-2 2020 წლის ოქტომბერ/ნოემბერში ჩატარებული კვლევის შედეგებს.  
წყარო: (World Bank, 2020[15]).


**გაციფრულების პოტენციური გამოყენებელი რჩება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებში**

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიებისა და სერვისების გამოყენება იზრდება, ადამიანებს და ორგანიზაციებს ჯერ კიდევ სრულად არ გამოუყენებიათ გაციფრულების სრული პოტენციალი ათვისების შემთხვევაში მოსალოდნელი სარგებელი (OECD, 2019[72]). მიუხედავად იმისა, რომ OECD-ის ქვეყნებში ადამიანების 80%-ზე მეტი იყენებს ინტერნეტს ელ.ფოსტის გასაცვლელად, 60%-ზე ნაკლები ამას აკეთებს ინფორმაციის მისაღებად ან ურთიერთობისთვის სახელმწიფო სერვისებთან და მოსახლეობის მხოლოდ ნახევარი ყიდულობს საქონელს ან მომსახურებას ონლაინ რეჟიმში (ITU, 2021 [87]). ეს სხვაობა საგრძნობლად დიდია საქართველოში, სადაც ციფრული ინსტრუმენტების ათვისება OECD-ისა და ევროკავშირის დონეებზე დაბალი რჩება (დიაგრამა 2.2). მაგალითად, ელექტრონული კომერცია ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გავრცელებული: საქართველოს მოსახლეობის ერთ მესამედზე ნაკლები ეძებს ინფორმაციას საქონლისა და მომსახურების შესახებ ინტერნეტით და მხოლოდ 14% ყიდულობს ონლაინ. ზოგიერთი შეფასებით ელექტრონული კომერცია

საქართველოში 2020 წელს მთლიანი საცალო გაყიდვების 1,1%-ს წარმოადგენს, ევროპაში არსებულ 12%-თან შედარებით (Galt & Taggart, 2021[85]). თუმცა, ადგილობრივი ონლაინ ბაზრები, როგორცაა Mymarket.ge და Extra.ge, ამჟამად განიცდის მომხმარებელთა მნიშვნელოვან ზრდას.

**დიაგრამა 2.2. აღმოსავლეთ პარტნიორობის, OECD-ის და ევროკავშირის 8 ქვეყნებში ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ინტერნეტ აქტივობები**

მოსახლეობის პროცენტი, 2018 ან უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები



შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობები OECD და EU-8 ქვეყნებისთვის. სომხეთისა და მოლდოვის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. მონაცემები საკონლის ან მომსახურების გაყიდვის, ფორმალური ონლაინ კურსის გავლისა და სახელმწიფო უწყებებისგან ინფორმაციის მიღების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი ბელარუსისა და უკრაინისთვის. წყარო: (ITU, 2021[87]).

მსგავსი განსხვავებები ტექნოლოგიების ათვისებაში ბიზნესებთან მიმართებაში იჩენს თავს. მიუხედავად კარგი კავშირისა (ქართული კომპანიების 94%-ს ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა 2020 წელს), მათი უმეტესობა არ იყენებს საბაზისო ციფრულ ტექნოლოგიებს, როგორცაა საწარმოთა რესურსების დაგეგმვა ან ელექტრონული დაჯავშნისა და შეკვეთების სისტემები (დიაგრამა 2.3).

გარდა ამისა, საქართველოში ზოგიერთი მაღალტექნოლოგიური კომპანიის არსებობის მიუხედავად, ტრადიციული ბიზნესების უმრავლესობას ჯერ არ დაუწერია მოწინავე ტექნოლოგიები. გაჩნდა მხოლოდ რამდენიმე ქართული კომპანია, რომლებიც სთავაზობენ ხელოვნური ინტელექტის სერვისებს ტრადიციული ბიზნესისთვის: მაგალითად, ფინტეკ სტარტაპი Optio.AI, საშუალებას აძლევს ფინანსურ ფირმებს დაახარისხონ თავიანთი


მომხმარებლების ტრანზაქციები და აწვდის ბიზნესზე მორგებულ რჩევებს ხარჯების ოპტიმიზაციის შესახებ ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე მომუშავე ჩატბოტის მეშვეობით. ფირმამ ახლახან პარტნიორობა დაამყარა საქართველოს ბანკთან ვირტუალური ასისტენტის შესაქმნელად (Optio.AI, 2021[88]).

რაც შეეხება ბლოკჩეინის ტექნოლოგიას, მიუხედავად იმისა, რომ მისი ათვისება დაბალია ტრადიციულ კომპანიებს შორის, საქართველოში არის მსოფლიოში უმსხვილესი კრიპტოვალუტის მაინინგ კომპანია Bitfury (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2018[89]). ეს კომპანია აკონტროლებს გლობალური კრიპტოვალუტის მაინინგის 10-15%-ს და, შედეგად, იგი გაფართოვდა მსოფლიო მასშტაბით მთელ რიგ ქვეყნებში ახალი ობიექტების მშენებლობის გზით. დარგში მიღწეული წარმატებების გამო, კომპანია ახლა არის საქართველოს ეროვნული ბლოკჩეინის სააგენტოს (GNBA) პარტნიორი, რომლის მიზანია ქვეყანაში ამ ტექნოლოგიის დანერგვის დაჩქარება (საქართველოს ეროვნული ბლოკჩეინის სააგენტო, 2018[90]). დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ IoT-ს შეუძლია გაზარდოს მიწოდების ჯაჭვის და ლოგისტიკის მენეჯმენტის ეფექტურობა, ქართული ბიზნესის მხრიდან ამ ტექნოლოგიის ათვისება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. თუმცა, რამდენიმე საერთაშორისო კომპანია, როგორცაა ფრანგული კომპანია Prodware, მხარს უჭერს IT გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყანაში წარმოების პროცესების გაუმჯობესებას.

ტექნოლოგიების ნელი ტემპით დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევა უფრო აშკარა ხდება, როდესაც გავრცელების მაჩვენებლების გაანალიზება ხდება საწარმოების ზომების კლასების მიხედვით. მიუხედავად საქართველოს საწარმოების ზომის მიხედვით დესაგრეგირებული მონაცემების ნაკლებობისა, სხვა ქვეყნების სტატისტიკური მტკიცებულებებიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ ეს ტენდენცია ყველა ქვეყანაში გამოიკვეთა, და სხვაობა მსხვილ და მცირე ფირმებს შორის უფრო აშკარა ხდება ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ (დიაგრამა 2.3). მსხვილი ფირმები ორჯერ უფრო ხშირად ნერგავენ და იყენებენ ონლაინ ინსტრუმენტებს შეკვეთების მისაღებად და დასამუშაველად, ვიდრე მცირე ფირმები, მაგრამ დაახლოებით ოთხჯერ უფრო ხშირად გამოიყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, როგორცაა დიდი მონაცემების ანალიტიკა ან AI.

**დიაგრამა 2.3. ციფრული ტექნოლოგიების გავრცელების ტემპები, ტექნოლოგიებისა და საწარმოების ზომების კლასის მიხედვით**

საწარმოების პროცენტი, რომლებიც იყენებენ ტექნოლოგიას, 2020 წელი ან უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები



შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობა OECD-ისთვის. მონაცემები არ მოიცავს საწარმოებს, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 10-ზე ნაკლებია, რადგან მცირე საწარმოებში იგულისხმება ფირმები 10-დან 49-მდე თანამშრომელით. წყარო: OECD ICT ხელმისაწვდომობა და გამოყენება ბიზნესის მიერ, აზერბაიჯანის, ბელორუსის, საქართველოსა და უკრაინის ეროვნული სტატისტიკური სააგენტოები. სომხეთისა და მოლდოვის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ადაპტირებული ვერსია (OECD, 2021[81]).


ეს ციფრული განსხვავებები აფერხებს ეკონომიკურ ზრდას და უთანასწორობის გაზრდის რისკს ქმნის, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების შეფერხება ხელს უშლის მათ მიიღონ სარგებელი, რომელსაც ციფრული ინსტრუმენტების დანერგვა სთავაზობს, რაც პროდუქტიულობის თვალსაზრისით არსებული განსხვავების კიდევ უფრო მეტ ზრდას იწვევს.

**პოლიტიკის შემქმნელებს საკვანძო როლი ეკისრებათ ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის სფეროში**

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 კრიზისმა ფირმებს უბიძგა ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარებისკენ, პოლიტიკის შემქმნელებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ამ ტრანსფორმაციის ხელშეწყობაში დამატებითი პოლიტიკის ინტერვენციების გატარების გზით. ჭეშმარიტად ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების მშენებლობას ყოვლისმომცველი მთავრობათაშორისი მიდგომა სჭირდება მაღალი ხარისხის ფართოზოლოვან კავშირზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ციფრული პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობი მარეგულირებელი გარემოს შესაქმნელად, და მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და ნდობის უზრუნველსაყოფად. როგორც ციფრული წიგნიერების მაღალი დონის განვითარება. ამ ძალისხმევასთან ერთად საჭიროა მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების მხარდასაჭერი ინსტრუმენტების შეთავაზება.

ამ მხრივ, პოლიტიკის შემქმნელებმა თანაბარი პირობები უნდა შეუქმნან მცირე და მსხვილ ფირმებს ისეთი ფაქტორების გათვალისწინების და აღმოფხვრის გზით, რომლებიც ხელს უშლიან პირველებს, და სარგებელი მოაქვთ მეორეებისთვის. ეს მოითხოვს ორმაგ ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებულ ციფრულ ტრანსფორმაციას, და ითვალისწინებს ტექნოლოგიების მიღების სტიმულირებას და პარალელურად ხელს უწყობს ციფრული კულტურის გავრცელებას (დიაგრამა 2.4).

**დიაგრამა 2.4. მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის ჩარჩო EaP-ში**



3

წყარო: OECD-ის ანალიზი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველო ავითარებს ინსტიტუციურ და პოლიტიკის ჩარჩოს გაციფრების მხარდასაჭერად. ეს იყო ერთ-ერთი პირველი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანა, რომელმაც მიიღო სპეციალური სტრატეგია - *ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018 წლებისთვის*. 11 თემატური მიმართულების გარშემო ორგანიზებული დოკუმენტი მიზნად ისახავს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ჩარჩოს შემუშავებას და ელექტრონული მმართველობის განვითარებას, ბიზნეს სექტორში და სამოქალაქო საზოგადოებაში ციფრული ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის პარალელურად. რაც შეეხება ციფრულ მთავრობას, სტრატეგია გახდა 2020 წლის საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის ნაწილი, რომელიც ეყრდნობა 2015 წელს მიღებული პოლიტიკის საგზაო რუკას ცენტრალური საჯარო ადმინისტრაციის და მისი სერვისების ეფექტიანობის, ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტის სახით ციფრულ მთავრობას მოიცავდა. ამ პოლიტიკის ჩარჩომ შესაძლებელი გახდა ღია მონაცემთა პორტალის (data.gov.ge) ფუნქციონირება და ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (my.gov.ge) შემდგომი განვითარება, ასევე ცნობიერების ამაღლების კამპანიების

ჩატარება საჯარო მოხელეების და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად ასეთი სერვისებით სარგებლობის შესახებ, და ტრენინგების ორგანიზების მიზნით. ამჟამად იგეგმება ციფრული მმართველობის შესახებ დამატებითი ღონისძიებები ციფრული მმართველობის მეორე ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რომელიც შემუშავებულია გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს უნივერსიტეტის ექსპერტების მხარდაჭერით.

რაც შეეხება ბიზნეს სექტორს, ელექტრონული საქართველოს წინა სტრატეგია ფოკუსირებული იყო ბიზნეს ტრანზაქციების ხელშეწყობაზე ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების წახალისებით, როგორცაა ონლაინ გადახდები, უსაფრთხოებისა და გამჭვირვალობის სტანდარტების დაწესება და ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მაგალითად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2017 წელს შემოიღო რეგულაცია მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, საგადახდო სერვისის პროვაიდერების რეგისტრაციის მოთხოვნის და საჩივრებზე რეაგირების ვალდებულების შემოღებით (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2017 [91]). გარდა ამისა, ელექტრონული კომერციის რეგულაციები გაძლიერდა, მონაცემთა დაცვის და ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურაზე წვდომის გაფართოების მიზნით (უფრო დეტალურად იხილეთ ქვემოთ).

ცოტა ხნის წინ, EU4Digital პროგრამის ფარგლებში და ევროკომისიის და მსოფლიო ბანკის ჯგუფის მხარდაჭერით, საქართველომ შეიმუშავა *საქართველოს ფართოზოლოვანი კავშირის განვითარების ეროვნული სტრატეგია (NBDS) და მისი 2020-2025 წლების სამოქმედო გეგმა*, რომელიც საქართველოს მთავრობა 2020 წლის 10 იანვარს მიიღო. ამ ქოლგა დოკუმენტის ძირითადი მიზნებია ფართოზოლოვანი ქსელის განვითარების სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერება ევროკავშირის ნორმების შესაბამისად და ქალაქებსა და სოფლებს შორის არსებული ციფრული თვალსაზრისით არსებული განსხვავების დაძლევა. NBDS-ის მიზნები ეფუძნება ევროკავშირის *გიგაბიტის საზოგადოება 2025*-ის მიზნებს. NBDS ითვალისწინებს მუშაობას სამ ძირითად მიმართულებაზე: 1) კონკურენტული ზეწოლის გაზრდა; 2) ინვესტიციების მოზიდვა; და 3) ციფრული უნარების და მოთხოვნის განვითარება. ამ მიმართულებების განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკთან ერთად დაიწყო პროექტი Log-in Georgia, რომელიც მიზნად ისახავს ფართოზოლოვანი ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ფართოზოლოვანი ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობას და პროექტის განხორციელების მხარდაჭერას.

ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული დამატებითი პოლიტიკის ღონისძიებები შედის პოლიტიკის ყოვლისმომცველ დოკუმენტებში, როგორცაა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმები, და 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისკენ“, რომელიც მოიცავს ICT-ისადმი მიძღვნილ ცალკე თავს. COVID-19-ის პანდემიამ ასევე წახალისა საქართველოს ხელისუფლება მიეღო დამატებითი საგანგებო ზომები კრიზისის საპასუხოდ (იხ. ჩანართი 2.2). მიღებულმა გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო წახალისა ციფრული ინსტრუმენტების გავრცელება ქართულ საზოგადოებაში და ხელი შეუწყო საჯარო სერვისების გაციფრულებას, და ამავედროულად აჩვენა ხელისუფლების უნარი რეაგირება მოახდინოს სწრაფი და ინოვაციური გზით.

საქართველო ამჟამად ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების გრძელვადიან ეროვნულ სტრატეგიაზე და მისი განხორციელების გეგმაზე

მუშაობს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამუშაო ჯგუფის მიერ მსოფლიო ბანკის დახმარებით შემუშავებული ამ ქოლგა დოკუმენტის მიზანია ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ელექტრონული მმართველობის სერვისების გაფართოების გზით, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გაძლიერება მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ციფრული წიგნიერების და უნარების ხელშეწყობა სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ფინტეკ, ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული ჯანდაცვის, კიბერუსაფრთხოების, ICT ინოვაციების და მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ხელშეწყობა, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის საშუალებით.



## ჩანართი 2.2. საქართველოს ხელისუფლების მიერ COVID-19-ის საპასუხოდ მიღებული ციფრული გადაწყვეტილებების მაგალითები

### საგანგებო ვითარებების ციფრული ინსტრუმენტები

#### კომუნიკაციისა და შეტყობინების საოპერაციო ცენტრი

სამინისტროს ბრძანებით შეიქმნა კომუნიკაციისა და საოპერაციო ცენტრი. ეს ცენტრი, რომელშიც შედიან სამინისტროს, კომუნიკაციების კომისიის (ComCom) და სატელეკომუნიკაციო და საფოსტო კომპანიების წარმომადგენლები, მიზნად ისახავს თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერებას, რათა კომპანიებს შეეძლოთ დაუყოვნებლივ რეაგირება მოახდინონ სატელეკომუნიკაციო და საფოსტო კურიერული მომსახურების შეფერხებებზე მომსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო.

#### “Stop Covid” მობილური აპლიკაცია iOS და ანდროიდისთვის

ჯანდაცვის სამინისტრომ შექმნა ეს მობილური აპლიკაცია, როგორც პლატფორმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ინფექციის გავრცელებაზე თვალყურის დევნება და მოსახლეობისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

#### სხვა მობილური ინსტრუმენტები

დაინერგა მთელი რიგი ცხელი ხაზი (მაგ. 112, 144, 114) ინფორმაციის და სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველსაყოფად COVID-19 კრიზისთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე, მაგ. გადაადგილებისთვის ერთჯერადი ნებართვის მისაღებად. ასევე გამოყენებული იქნა SMS-ები განახლებული ინფორმაციის მიწოდებისთვის, მათ შორის შემუშავდა ვერსია უმცირესობების ენებზე და შეიქმნა ფორმალური საკომუნიკაციო არხი ქართულ და ინგლისურ ენებზე სოციალური მედიის პლატფორმაზე „Telegram“.

#### ონლაინ სერვისების მიწოდების გაზრდა

ონლაინ კლინიკები შეიქმნა ვირტუალური სამედიცინო კონსულტაციებისა და ექიმების ვიზიტების შესამცირებლად. ეს ინსტრუმენტი დაეხმარა შემთხვევების მონიტორინგს, რადგან ის ადამიანების უფრო დიდი რაოდენობის მოცვის საშუალებას იძლეოდა.

დაინერგა დისტანციური სწავლება, ისევე როგორც მთელი რიგი ციფრული ინსტრუმენტები მის მხარდასაჭერად. საქართველოს მთავრობამ საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად „სატელევიზიო სკოლა“ დაიწყო, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის გაკვეთილებს გადასცემდა. განათლების სამინისტროს მიერ წამოწყებული პროექტი „ვებსკოლა“ ბოლო კურსის მსმენელებს გამოცდებისთვის მოსამზადებლად ვებინარებს სთავაზობდა. მოსწავლეთა პროფილებზე წვდომა, სკოლის ადმინისტრაციის შუამავლობის გარეშე, უზრუნველყოფილი იყო ამ მიზნით საგანგებოდ შექმნილი პორტალის მეშვეობით. მასწავლებლებს ასევე დახმარებას უწევდნენ ონლაინ სწავლებაზე გადასვლაში ვირტუალური კონსულტაციების მიწოდების გზით, და IT ექსპერტები დახმარებას უწევდნენ მათ „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში.

იურიდიული სერვისები მორგებული იქნა ონლაინ ფორმატზე, მაგ. სასამართლო პროცესები და მუდმივმოქმედი კომისიის სხდომები (რომელიც წყვეტს პირობით მსჯავრდების და მსჯავრდების მოხსნის საკითხებს) ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა.

my.gov.ge-ზე დაინერგა ელექტრონული მმართველობის დამატებითი სერვისები, მაგ. ბიზნეს რეესტრის ყველა სერვისი, ასევე საჯარო სამსახურის დარბაზებში, საზოგადოებრივ ცენტრებში და რამდენიმე საჯარო უწყებაში ვიზიტის დაჯავშნა იყო შესაძლებელი. პენსიები და დანამატები

დაწესდა ან ახლდებოდა ელექტრონულად დოკუმენტის ასლის ელექტრონული ფოსტით გაგზავნის მეშვეობით.

### **უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მთავრობას, მარეგულირებელსა და ტელეკომის ოპერატორებს შორის**


საბითუმო ფართოზოლოვანი სერვისის პროვაიდერებმა შეძლეს გაეორმაგებინათ მონაცემთა გადაცემის საერთაშორისო შესაძლებლობები, რათა უზრუნველყოთ, რომ გაზრდილი მოთხოვნა გავლენას არ მოახდენდა სერვისის მიწოდებაზე.

მობილურ ოპერატორებთან დადებული ხელშეკრულება საშუალებას აძლევდა საქართველოს აეროპორტებში უფასო სიმ ბარათების გავრცელებას „Stop Covid“-ის აპლიკაციასა და „112“-ის ცხელ ხაზზე წვდომის უზრუნველსაყოფად. მოეწყო უფასო Wi-Fi ცხელი წერტილები მგზავრებისთვის ფრენების და გადასხდომების შესახებ ინფორმაციის საჩვენებლად.

წყარო: (Government of Georgia, 2020<sup>[20]</sup>), (EU4Digital, 2020<sup>[21]</sup>), (Lomsadze, 2021<sup>[22]</sup>) and (OECD, 2021<sup>[23]</sup>).

ძირითადი დაინტერესებული მხარეები, რომლებიც შეიმუშავებენ და ახორციელებენ გაციფრულების პოლიტიკას საქართველოში, არიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD) და ციფრული მმართველობის სააგენტო (DGA). ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, კომუნიკაციების, ინფორმაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის მეშვეობით, მოქმედებს, როგორც მთავარი პოლიტიკის შემქმნელი ციფრულ სფეროში და ახორციელებს სხვადასხვა რეფორმებს, პროექტებს, პროგრამებსა და აქტივობებს სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, რათა გააუმჯობესოს ფართოზოლოვანი ინტერნეტი და ICT ტექნოლოგიები ფიზიკური პირებისა და ბიზნესისთვის. მცირე და საშუალო ბიზნესის ჩათვლით. ციფრული მმართველობის სააგენტო შეიქმნა 2020 წელს მონაცემთა გაცვლის ყოფილ სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ის Smart Logic-ის შერწყმის შედეგად, რომელიც მომსახურებას უწევდა რიგ სამინისტროებს, დეპარტამენტებსა და უწყებებს. ციფრული მმართველობის სააგენტო მოქმედებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში და პასუხისმგებელია საჯარო სერვისების ციფრულ ტრანსფორმაციაზე და უწყებათაშორის კოორდინაციაზე, კერძოდ, მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის შექმნაზე, ციფრული მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების შესახებ კანონპროექტის მომზადებაზე და რეგიონული და საერთაშორისო განვითარების ხელშეწყობაზე. თანამშრომლობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ასევე ჩართულია ციფრული წიგნიერების პოლიტიკაში განათლების სისტემის ყველა საფეხურზე და პროფესიული განათლების დონეზე. რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების მხარდაჭერის ძირითად ნაწილს ამჟამად ახორციელებს GITA, ხოლო „აწარმოე საქართველოში“ სთავაზობთ დახმარებას ელექტრონულ კომერციაში, როგორცაა პროდუქტების ციფრულ ბაზრებზე განთავსების საფასურის თანადაფინანსება (დიაგრამა 2.5).

დიაგრამა 2.5. გაციფრულების ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში



წყარო: OECD-ს ავტორები ფაქტების დადგენის კითხვარებზე, სამუშაო ჯგუფის შეხვედრებსა და სამაგიდე კვლევის საფუძველზე.

ხელსაყრელი გარემოს შექმნა

ფართოზოლოვანი კავშირის გაუმჯობესება


საიმედო კავშირი ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოებების განვითარების წინაპირობაა. ინტერნეტზე წვდომა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება როგორც ადამიანებისთვის, ასევე ბიზნესისთვის, რადგან ისინი ზრდიან და დივერსიფიკაციას უკეთებენ თავიანთ ონლაინ აქტივობებს, მათ შორის ინფორმაციის მიღებას, ელ. ფოსტის გაგზავნას, ინტერნეტ ბანკით სარგებლობას და ელექტრონულ კომერციას. ეს ასევე ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციისთვის: ფირმების მიერ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის დანერგვის 10 პროცენტული პუნქტით გაზრდამ შეიძლება გააუმჯობესოს პროდუქტიულობა 0.8-დან 1.9%-მდე (Sorbe et al., 2019[92]). ფართოზოლოვანი კავშირი ასევე სარგებელს მოუტანს პატარა ფირმებს, მაგალითად, ეს საშუალებას აძლევს მათ გააფართოვონ თავიანთი მომხმარებლების/ბაზრის ბაზა და/ან გაზარდონ სოპერაციო ეფექტიანობა ხარჯთეფექტური გადაწყვეტილებების მიღების გზით (მაგ. CRM, ERP, საგადახდო ინსტრუმენტები), თუმცა მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებიც ტრადიციულ სექტორებში ოპერირებენ, ხშირად აკლიათ ამ შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობა. ქვეყნის მასშტაბით მაღალსიჩქარიანი და ხელმისაწვდომი კავშირის უზრუნველყოფის აუცილებლობა კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოჩნდა COVID-19-ის კრიზისის პირობებში: სოციალური დისტანციური ზომების დანერგვის, დისტანციური მუშაობისა და განათლების რეჟიმზე გადასვლის შემდეგ, ფართოზოლოვანი ქსელზე მოთხოვნა არსებითად გაიზარდა. კერძოდ, ინფექციების პირველი ტალღის დროს 2020 წლის გაზაფხულზე ამ სერვისზე მოთხოვნა 60%-ით გაიზარდა (OECD, 2020[93]). მიუხედავად იმისა, რომ ამ უპრეცედენტო ზრდამ მნიშვნელოვანი ზეწოლა მოახდინა საკომუნიკაციო ქსელებსა

და ოპერატორებზე, მან ასევე გამოავლინა მუდმივი ციფრული სხვაობა ადამიანებსა და ფირმებს შორის - მაგალითად, ასაკობრივ ჯგუფებს შორის სხვაობა. ასე მაგალითად, 55-74 წლის ასაკის პირები ჩამორჩებიან 16-24 წლის მოსახლეობას. ასევე სხვაობა გამოვლინდა განათლების სხვადასხვა დონის მქონე პირებს შორის (OECD-ის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები, რომელსაც აქვს დაბალი დონის განათლება, ან არ მიუღიათ ფორმალური განათლება, იყენებდა ინტერნეტს სამთავრობო ორგანოებთან ურთიერთობისთვის 2018 წელს, მაშინ როდესაც უმაღლესი განათლების მქონე პირებში ეს მაჩვენებელი 80%-ია) (OECD, 2020<sup>[94]</sup>). ასევე დიდი სხვაობა არსებობს ქალაქის და სოფლის მოსახლეობასა და მსხვილ და მცირე ბიზნესს შორის, როგორც ეს ქვემოთ არის ახსნილი უფრო დეტალურად.

მთლიანობაში, საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანად გვევლინება ინტერნეტ კავშირის თვალსაზრისით, სადაც 100 მოსახლეზე ფიქსირებული და მობილური აბონენტის რაოდენობა 2019 წელს, შესაბამისად, 24-ს და 80-ს აღწევს (დიაგრამა 2.6, დიაგრამა 2.7). ციფრები ადასტურებენ, რომ 2010 წლის შემდეგ რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველოში ამ მხრივ ყველაზე მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა (+429% +207%-თან შედარებით EaP-ში და +36% OECD-ში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტისთვის, და +1011% მობილური ინტერნეტისთვის, 938%-თან შედარებით EaP-ში და 216%-თან შედარებით OECD-ში).

**დიაგრამა 2.6. ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტების ზრდა საქართველოში EaP, EU და OECD-თან შედარებით**


ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტები 100 მოსახლეზე, 2010-2019 წწ.



შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობები OECD-სა და EU-8-სთვის (ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვენია, სლოვაკეთი, პოლონეთი). წყარო: (ITU, 2021<sup>[95]</sup>).

დიაგრამა 2.7. მობილური ფართოზოლოვანი კავშირის აბონენტთა რაოდენობის ზრდა საქართველოში EaP, EU და OECD-თან შედარებით

მობილური ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა 100 მოსახლეზე, 2010-2019 წწ




შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობები OECD-სა და EU-8-სთვის (ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვენია, სლოვაკეთი, პოლონეთი). 2019 წლის მონაცემები უკრაინისთვის არ არის ხელმისაწვდომი.  
წყარო: (ITU, 2021<sup>[95]</sup>).

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს ქართული შინამეურნეობების 86%-ს ჰქონდა ინტერნეტთან წვდომა სახლში, მონაცემები ამ მხრივ სხვადასხვა ტერიტორიებზე მუდმივ უთანასწორობას აჩვენებს. რეგიონებში ამ მხრივ კვლავ ჩამორჩენაა, და მათა და ქვეყნის ქალაქებს შორის 16-პროცენტის სხვაობაა. თუმცა, ეს განსხვავება შემცირდა გასული წლების განმავლობაში და ახლა უფრო დაბალია, ვიდრე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უმეტესობაში, თუმცა ბევრად აღემატება OECD-სა და ევროკავშირის მაჩვენებლებს (დიაგრამა 2.8, დიაგრამა 2.9). საქართველოს ხელისუფლება კარგად აცნობიერებს ამ გამოწვევას და გაციფრულება მისი დღის წესრიგის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ზოგიერთმა მთიანმა რეგიონმა, როგორცაა თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი და გუდამაყარი, სარგებელი მიიღო სათემო ქსელების განვითარებით, ანუ თემში მოწყობილი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით, რაც საჯარო და კერძო თანამშრომლობის შედეგად მოხდა, რომელშიც ჩართულია ადგილობრივი საზოგადოება, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება, სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და კომუნიკაციების კომისია (ყოფილი GNCC), კერძო ბიზნესი, ინტერნეტ საზოგადოების ევროპის ბიურო (ISOC) და საერთაშორისო დონორები. ამ ძალისხმევის შედეგად 2017 წელს მთიანი თუშეთის ორ ხევსა და 24 სოფელში, და 2020 წელს ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის ხეობებში 100-მდე სოფელში (ანუ დაახლოებით 500 ოჯახს) ინტერნეტ კავშირი იყო უზრუნველყოფილი. მათ ასევე ხელი შეუწეეს ადგილობრივ ეკონომიკას ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის გზით: მაგალითად, ამ მთიან რაიონებში ადგილობრივი სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმროების აღჭურვა საიმედო კავშირით ხელს უწყობს ადგილობრივი და საერთაშორისო მოლაშქრეების მეტი რაოდენობის მოზიდვას (საქართველოს მცირე და საშუალო ტელეკომის ოპერატორთა ასოციაცია და თუშეთის განვითარების ფონდი, 2018<sup>[96]</sup>). დაგეგმილია ამ

მიმართულებით შემდგომი პოლიტიკური ძალისხმევის წარმართვა, რადგან მთავრობა მიზნად ისახავს გააგრძელოს სათემო ქსელების მოწყობის მხარდაჭერა ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში. აჭარა განსაკუთრებით დიდ სარგებელს მიიღებს ამით.

**დიაგრამა 2.1. EaP-ის ქვეყნების რეგიონებში არსებული განსხვავებები**


შინამეურნეობების %, რომლებსაც სახლებში ინტერნეტზე წვდომა აქვთ, 2019 წლის ან უახლესი მონაცემები



შენიშვნა: მონაცემები ეხება 2019 წელს, გარდა სომხეთისა (2016) და უკრაინისა (2018). საშუალო მნიშვნელობები OECD-სა და EU-8-ისთვის.  
წყარო: (ITU, 2021[95]).

**დიაგრამა 2.2 საქართველოს რეგიონებში არსებული განსხვავებები, 2012-2019**

შინამეურნეობების %, რომლებსაც სახლებში ინტერნეტზე წვდომა აქვთ




წყარო: (ITU, 2021[95]).

თუმცა, მხოლოდ ფართოზოლოვან ქსელზე წვდომა არ არის საკმარისი ინტერნეტ კავშირის თვალსაზრისით არსებული განსხვავებების დასაძლევად: ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს მაღალი ხარისხის კავშირის უზრუნველყოფას ხელმისაწვდომ ფასებში. საქართველოში ინტერნეტის ხარისხი ბოლო წლების განმავლობაში გაუმჯობესდა: 3G/4G მობილური ქსელები ახლა მოიცავს საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს, ხოლო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელების 85% სთავაზობს სიჩქარეს, რომელიც 10 Mbps-ს აღემატება. თუმცა, ბევრი ქართული ბიზნესი ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს ხარისხიანი ინტერნეტით: მაშინ, როცა აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს წვდომა ინტერნეტზე (94%), 41%-ს ჯერ კიდევ აქვს ინტერნეტ კავშირი, რომლის სიჩქარე 10 Mbps-ზე ნაკლებია. ახალი NBDS 2020-2025 მიზნად ისახავს უზრუნველყოს ტერიტორიის 99%-ის 4G-ით დაფარვა, და 2025 წლისთვის 5G სერვისების დანერგვას საპილოტე საფუძველზე სამ მუნიციპალიტეტში; ასევე, ყველა ოჯახისთვის წვდომის უზრუნველყოფას მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე (მინიმუმ 100 Mbps); და 1 Gbps-ს უზრუნველყოფას ყველა ინსტიტუციური ერთეულისთვის. საქართველო ასევე მუშაობს 5G-ის დანერგვაზე, ფართომასშტაბიანი სამუშაოების განხორციელების გზით ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით (ITU, 2020[97]). გარდა

ამისა, კომუნიკაციების კომისია მუშაობდა სპექტრის ხელმისაწვდომობაზე, სარეზერვო ფასის გაანგარიშებაზე და სალიცენზიო ვალდებულებებზე, და აუქციონი უნდა ჩატარებულიყო 2021 წელს საჭირო სიხშირის სპექტრის გასაცემად, თუმცა იგი ჯერ არ არის გამოცხადებული. ქვეყანა ასევე თანამშრომლობს მეზობელ ქვეყნებთან სიხშირეების კოორდინაციის მიზნით: კომუნიკაციების კომისიამ განაცხადა, რომ მიაღწია შეთანხმებებს EeP ქვეყნებთან ამ თემაზე, რის შედეგადაც უნდა შემცირდეს მათგან შემომავალი სიგნალები, რაც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო ქსელებს შორის რადიო სიხშირეების გადაფარვის თავიდან აცილებას და მათ სათანადო ფუნქციონირებას.


ფიქსირებულ და მობილურ ფართოზოლოვან ქსელს შორის ათვისების თვალსაზრისით არსებული სხვაობა ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ხელმისაწვდომობაში არსებული განსხვავებული ვითარებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მობილური კავშირის ფასები ერთ-ერთი ყველაზე დაბალია აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, თუ ამ ფასებს ყოველთვიური მთლიანი ეროვნული შემოსავლის ერთ სულ მოსახლეზე პროცენტული წილის სახით განვიხილავთ, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი მაინც საკმაოდ ძვირია, რადგან იგი ITU-ს 2%-იანი ხელმისაწვდომობის სამიზნეზე მაღალია (დიაგრამა 2.10, დიაგრამა 2.11). მიუხედავად ამისა, ბიზნესს სჭირდება ძლიერი და საიმედო ფართოზოლოვანი კავშირი, რადგან მათი საქმიანობა შეიძლება დიდწილად იყოს დამოკიდებული გამტარუნარიანობის ხარისხზე - ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირი ხშირად უკეთეს სიჩქარეს გთავაზობს, მაგ. კონტენტის ატვირთვის/ჩამოტვირთვის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაშვებისთვის. შესაბამისად, ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის ხარჯების შემცირება ხელს შეუწყობს ფირმების კავშირის გაუმჯობესებას და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას. თუმცა, საქართველოს ფართოზოლოვანი კავშირის განვითარების ეროვნული სტრატეგია (NBDS) არ ითვალისწინებს ბიზნესზე ორიენტირებულ კონკრეტულ ზომებს, არამედ ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკურად დაუცველ ჯგუფებზე, რომლებისთვისაც იგეგმება ინტერნეტთან წვდომის სუბსიდირება.

დიაგრამა 2.10. ICT ფასები – ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირი



შენიშვნა: GNI = მთლიანი ეროვნული შემოსავალი. ფასები ეხება ფიქსირებულ ფართოზოლოვან კალათას ყოველთვიური მონაცემებით (მინიმუმ) 5 გბ. მოხმარების შესახებ. საშუალო მნიშვნელობები OECD-სა და EU-8-ისთვის. წყარო: (ITU, 2021[95]).

დიაგრამა 2.11. ICT ფასები – მობილური ფართოზოლოვანი კავშირი



შენიშვნა: GNI = მთლიანი ეროვნული შემოსავალი. ფასები ეხება მხოლოდ მონაცემთა მობილურ ფართოზოლოვან კალათას, მონაცემთა ყოველთვიური გამტარიანობით 1,5 გბ. საშუალო მნიშვნელობები OECD-სა და EU-8-ისთვის. წყარო: (ITU, 2021[95]).

ფასის მხრივ ხელმისაწვდომ მაღალსიჩქარიან ფართოზოლოვან ქსელზე ხელმისაწვდომობა შეიძლება გაიზარდოს პოლიტიკის და მარეგულირებელი ღონისძიებებით, როგორც კონკურენციის ხელშეწყობა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასა და სერვისებში ინვესტიციების მოსაზიდად (OECD, 2019[72]). საქართველოს ახალი NBDS განსაზღვრავს მას, როგორც პრიორიტეტს, და ქვეყანამ უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონი გადაისინჯა ბაზრის რეგულირების გაზრდის მიზნით და ამჟამინდელი ოლიგოპოლიის პრობლემის გადასაჭრელად, რადგან კომუნიკაციების კომისიის შესაბამისად, რამდენიმე ოპერატორმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოიპოვა ბაზარზე, და არსებული ინფორმაციით, ცდილობს უფლებელყო სამართლებრივი მოთხოვნები (კომუნიკაციის კომისია, 2021[98]). ახალი დებულებები უფრო მეტ უფლებამოსილებას ანიჭებს კომუნიკაციების კომისიას, რაც უფრო ეფექტური აღსრულების მექანიზმების დანერგვის საშუალებას იძლევა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის, სანქციების დაკისრების საშუალებას, სატარიფო რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში. ახალი რეგულაცია ასევე საშუალებას აძლევს კომუნიკაციების კომისიას უფრო მარტივად დანიშნოს სპეციალური მენეჯერი, რათა მან უზრუნველყოს სახელმწიფო გადაწყვეტილებების აღსრულება, ნაცვლად დამრღვევი კომპანიისთვის ავტორიზაციის გაუქმებისა, რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს სერვისების სტაბილურობის უზრუნველყოფას, და შესაბამისად, მომხმარებლების დაცვას. პირდაპირი უცხოურმა ინვესტიციებმა ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობასა და კონკურენციის გაძლიერებაში. OECD-ს



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვის ინდექსის მიხედვით, საქართველომ მაღალი ქულა აიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, რადგან ქვეყანაში არ არსებობს ფორმალური ბარიერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის სატელეკომუნიკაციო სექტორში, და პირობები OECD-ის ყველაზე ღია ეკონომიკების ანალოგურია (OECD, 2019<sup>[99]</sup>). ვინაიდან ინდექსი ითვალისწინებს მხოლოდ ფორმალურ ბარიერებს, არაფორმალურ ბარიერებს, მაგ. კორუფციას, მაინც შეუძლია შეამციროს კონკურენცია და ეს არ უნდა იყოს უგულებელყოფილი.

საქართველოს შეუძლია დაეყრდნოს არსებულ კარგი ხარისხის ინფრასტრუქტურას და წახალისოს ინფრასტრუქტურის გაზიარება სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონპროექტის მიღებით. ეს რეგულაცია საშუალებას მისცემს ოპერატორებს გამოიყენონ არსებული ინფრასტრუქტურა არადისკრიმინაციულ და კონკურენტულ პირობებზე, რაც ბაზარზე მეტ კონკურენციას და ოპტიმიზაციას შეუწყობს ხელს, და იმავდროულად, შეუმცირებს ხარჯებს ქსელის პროვაიდერებს. თავის მხრივ, ამან უნდა წახალისოს პროვაიდერები, რომ უმაღლესი ხარისხის მომსახურება შესთავაზონ მომხმარებლებს უფრო დაბალ ფასებში.

და ბოლოს, საქართველო ჩართულია რამდენიმე რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივაში, რომლებიც მიმართულია ფართოზოლოვანი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, სიჩქარისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. ქვეყანას აქვს ამბიციური, გახდეს სამხრეთ კავკასიის ციფრული ცენტრი. ამ მიზნით მოლაპარაკებები მიმდინარეობს სამინისტროსა და უცხოურ სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს შორის მათი საქართველოში შემოსვლის წახალისების, და ქვეყნის ტერიტორიაზე მონაცემთა ცენტრების შექმნის მიზნით. ასევე განიხილება ციფრული სატელეკომუნიკაციო დერეფნის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე სატრანზიტო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის ქსელს, რომელიც ევროპას აზიასთან დააკავშირებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გავლით. აღმოსავლეთ პარტნიორობის დონეზე ექვსი ქვეყანა მუშაობდა მათი მარეგულირებელი ჩარჩოებისა და ფასების ჰარმონიზაციისკენ EU4Digital ინიციატივის მხარდაჭერით, რამაც უნდა გააუმჯობესოს თავსებადობა და შეამციროს საფასური. რეგიონალური როუმინგული შეთანხმება იქნა მიღწეული, მობილური როუმინგის საერთაშორისო მარეგულირებელი ჩარჩოსა და ხარჯების ჰარმონიზაციის მიზნით. ის 2022 წლის 1 ივლისს შევა ძალაში და მოსალოდნელია, რომ 2026 წლისთვის ეს როუმინგის ფასების 87%-ით შემცირებას გამოიწვევს (EU4Digital, 2021<sup>[100]</sup>). EU4Digital შეისწავლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის მსგავსი შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობებს.

### **ციფრული ტრანსფორმაციის მარეგულირებელი ბაზის შექმნა**

საქართველო ავითარებს საკანონმდებლო და მარეგულირებელ ბაზას ICT სფეროში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად (EU4Digital, 2020<sup>[101]</sup>), რაც გამოიხატება მისი კარგი შესრულების მაჩვენებლებში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ქსელის მზადყოფნის ინდექსი 2020-ის მიხედვით. საქართველოს ICT მარეგულირებელმა ჩარჩომ 134 ქვეყნიდან 21-ე ადგილი დაიკავა, ხოლო რეგულირების ხარისხის მიხედვით 24-ე ადგილი დაიკავა (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2020 <sup>[102]</sup>). ქვეყანა სარგებელს იღებს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს (NRA) - ზემოხსენებული კომუნიკაციების კომისიის საქმიანობის შედეგად, რომლის ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია

საქართველოს კონსტიტუციით 2017 წლიდან. ბოლოდროინდელმა დამოუკიდებელმა შეფასებამ ასევე აჩვენა, რომ ხელისუფლების საქმიანობა გამჭვირვალეა და ევროკავშირის მოთხოვნებს შეესაბამება, მაგალითად, მისი გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს და ექვემდებარება სამართლიანი სასამართლო განხილვის პროცესს (EU4Digital, 2020<sup>[101]</sup>).

თუმცა, ევროკავშირის რეგულაციებთან შემდგომი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტის ნებისმიერი ნაშთი უნდა გადაერიცხოს ბაზრის მონაწილეებს (ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისა, როგორც ეს ამჟამად ხდება). საერთო ჯამში, ICT რეგულაციების ჰარმონიზაციას ხელს უწყობს რეგიონული თანამშრომლობა: საქართველო რეგულარულად ახდენს გამოცდილების გაზიარებას EaP-ის სხვა ქვეყნებთან და ევროკავშირთან ამ თემებზე EaPeReg ქსელისა და ექსპერტთა ჯგუფების მეშვეობით, რომელშიც კომუნიკაციების კომისია მონაწილეობს როგორც აქტიური წევრი. ეს პლატფორმა აერთიანებს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან და უზრუნველყოფს მათ ელექტრონულ კომუნიკაციებთან დაკავშირებულ მარეგულირებელ საკითხებზე თანამშრომლობის პლატფორმას. სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შემდგომი გაძლიერება ასევე წარმოადგენს NBDS-ის მთავარ მიზანს.

### *ელექტრონული კომერცია და მომხმარებელთა დაცვა*

საქართველოში ელექტრონული კომერციის პრაქტიკა იზრდება, და მკვეთრი ზრდა განპირობებული იყო COVID-19-ის კრიზისით. საქართველოს ელექტრონული კომერციის ბაზრის ზომა 2020 წელს სამჯერ გაიზარდა და 138 მილიონ ლარს მიაღწია (დაახლოებით 44 მილიონი აშშ დოლარი) (Galt & Taggart, 2021<sup>[85]</sup>). ბევრი ფირმა იძულებული გახდა გადაეტანა თავისი საქმიანობა ონლაინ რეჟიმში ჩაკეტვებისა და სოციალური დისტანცირების ზომების გამო. რაც შეეხება მოთხოვნის მხარეს, 15 წელზე უფროსი ასაკის ქართველების წილი, რომლებიც იყენებენ ინტერნეტს ონლაინ შოპინგისთვის, 15%-ით გაიზარდა 2016-2020 წლებში (+50% 15-29 წლის ახალგაზრდებში) (საქსტატი, 2021<sup>[103]</sup>). თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ზრდის უზარმაზარი პოტენციალი, რადგან ელექტრონული კომერცია 2020 წელს მთლიანი საცალო გაყიდვების მხოლოდ 1.1%-ს შეადგენდა, და OECD-ის შეფასებით, საქართველოში ელექტრონული კომერციის ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე პატარაა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში აბსოლუტური თვალსაზრისით. (სტატისტა, 2021<sup>[104]</sup>). ამასთან დაკავშირებით, ელექტრონული კომერციის პრაქტიკის საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის გაძლიერება ხელს შეუწყობს ონლაინ ვაჭრობის პოტენციალის ათვისებას: ერთის მხრივ, ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს ევროკავშირის ბაზარზე წვდომას. მეორეს მხრივ, სამართლებრივ ინსტრუმენტებს შეუძლიათ გააძლიერონ მომხმარებლების ნდობა მათი ონლაინ დაცვის უზრუნველსაყოფად.

ელექტრონული კომერციის კანონმდებლობის რეიტინგის მიხედვით საქართველოს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ქსელის მზადყოფნის ინდექსით (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2020<sup>[102]</sup>) (115-ე ადგილი 134 ქვეყნიდან). მართლაც, ქვეყანას ჯერ კიდევ არა აქვს ელექტრონული ვაჭრობის პრაქტიკის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რასაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება მოითხოვს. ონლაინ პლატფორმის რეგულირება და მომხმარებელთა დაცვა არასრულად არის დაფარული ფრაგმენტული ხასიათის საკანონმდებლო აქტებით. ამ საკითხის გადასაჭრელად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2018 წელს შეიმუშავა კანონპროექტი ელექტრონული კომერციის შესახებ, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის ელექტრონული

კომერციის დირექტივას და DCFTA მოთხოვნებს. ამ ახალმა კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს შუამავალი სერვისის პროვაიდერების ოპერატორების უფლებები და მოვალეობები და გააძლიეროს მომხმარებელთა დაცვა, და გაზარდოს სერვისების სანდოობა როგორც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, ასევე მომხმარებლებისთვის.

კიდევ ერთმა კანონპროექტმა, რომელიც მომხმარებელთა უფლებებს ეხება, უნდა უზრუნველყოს დამატებითი გარანტიები აგრესიული კომერციული პრაქტიკის მიმართ მოთხოვნების დაწესებით, და იმ მხარეებს შორის კონტრაქტების სტანდარტიზაციის გზით, რომლებიც ახორციელებენ ონლაინ ტრანზაქციას, ასევე, მომხმარებლისთვის ყველა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების დაკისრების გზით (EU4Digital, 2021<sup>[105]</sup>). ზოგადად, სამართლებრივი ჰარმონიზაცია ხელს უწყობს საქართველოს აქტიურ მონაწილეობას EU4Digital პროგრამაში, სადაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მოქმედებს როგორც ეროვნული კოორდინატორი, რათა ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზარზე წვდომას.

თუმცა, ევროკავშირთან ელექტრონული კომერციის თვალსაზრისით გარკვეული ხარვეზები ჯერ არ არის აღმოფხვრილი არცერთი კანონპროექტით. მაგალითად, ამანათების მიწოდების ოპერაციების თავსებადობის თვალსაზრისით პრობლემები იქმნება ამანათებზე თვალყურის გადევნების, მიკვლევისა და მარკირების შესახებ ეროვნული სტანდარტების არარსებობის გამო. ანალოგიურად, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, რეგულირდება თუ არა ხელშეკრულება მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის კანონმდებლობით. საქართველო ასევე არ შეესაბამება ევროკავშირის 2021 წლის ახალი ელექტრონული კომერციის პაკეტის რამდენიმე დებულებას, მაგ. საბაჟო დეკლარაციის, ფისკალური რეგულაციებისა და ტრანსსასაზღვრო ამანათების მიწოდების ჯაჭვის პრაქტიკასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ინფორმირებულობის ნაკლებობა ევროკავშირის დღგ-ს, საბაჟო პროცედურებსა და ელექტრონულ დეკლარაციებში მომავალი ცვლილებების შესახებ, რაც ხელს უშლის დაინტერესებულ მხარეებს დაიწყონ მოსამზადებელი ქმედებები.

### *ელექტრონული ხელმოწერები*

ელექტრონული ხელმოწერები შეიძლება სხვადასხვა ფორმით არსებობდეს, დაწყებული ფიზიკური ხელმოწერის მარტივი ასლიდან, დამთავრებული სხვადასხვა დონით დამოწმებული ხელმოწერით. ელექტრონული ხელმოწერები მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ დოკუმენტი სათანადოდ პასუხობს მის დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, და იმავდროულად ხელს უწყობს ფიზიკური დოკუმენტაციის წარმოების საჭიროების თავიდან აცილებას, და ხშირ შემთხვევაში შეუძლია უზრუნველყოს პირის ვინაობის სათანადო დადასტურება. ელექტრონული ხელმოწერების სამართლებრივი მნიშვნელობისა და საკანონმდებლო ჩარჩოს მრავალფეროვანი ფორმების გამო, რომელიც მათ გამოყენებას არეგულირებს, აუცილებელია სანდოობის გარანტირება, და ამ გზით ურთიერთქმედების გამჭვირვალობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, და მომხმარებელთა ნდობის გაზრდა.

ამ მიზნით პარლამენტმა ჯერ კიდევ 2008 წელს შემოიღო კანონი *ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის შესახებ* (საქართველოს მთავრობა, 2008<sup>[106]</sup>), რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული ხელმოწერის დამოწმების მოთხოვნის მეთოდს და ასეთი დამოწმების გაცემის მოთხოვნებს. კანონმდებლობა საფუძვლიანად გადაისინჯა საქართველოს 2014-2018 წლების ელექტრონული სტრატეგიის მიღების შემდეგ. მართლაც,

სამოქმედო გეგმამ ხაზი გაუსვა ელექტრონული ხელმოწერების გამოყენების ხელშეწყობის მნიშვნელობას, რადგან მათ შეუძლიათ უზრუნველყონ მეტი უსაფრთხოება ონლაინ ურთიერთქმედებებში, როგორცაა ელექტრონული კომერციის ტრანზაქციები და პროცედურები, რომელშიც საჯარო ხელისუფლებას ჩართული. შედეგად, 2017 წლის კანონმა „ელექტრონული დოკუმენტაციისა და ელექტრონული სანდო სერვისების შესახებ“ ელექტრონულ ხელმოწერებსა და დოკუმენტებს სამართლებრივი სტატუსი მიანიჭა (საქართველოს მთავრობა, 2017 წ. [107]). ამ ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა მრავალი იურიდიული სერვისის დისტანციურად მიღება, რაც ხელს უწყობს საქართველოს ელექტრონული მმართველობის განვითარებას, და კანონი ასევე ითვალისწინებდა, რომ ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიძლება გახდეს კვალიფიციური ნდობის სერვისების პროვაიდერი. შედეგად, ამ სერვისს უკვე აღარ ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო უწყება - სსიპ საჯარო სერვისების განვითარების სააგენტო (SDA), როგორც ეს 2018 წლამდე ხდებოდა, არამედ ამ სერვისების შეთავაზება სხვადასხვა ორგანიზაციებსაც შეუძლიათ. ელექტრონული ხელმოწერების გამოყენება კიდევ უფრო წახალისდა 2019 წლიდან, როდესაც ნებისმიერ კომპანიას, რომელიც ბიზნესს აწარმოებს ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ვალდებულება დაეკისრა ხელი მოაწეროს დოკუმენტებს დადგენილი ელექტრონული ხელმოწერის ან შტამპის გამოყენებით (EU4Digital, 2019 [108]). 2020 წლიდან კანონი გადასინჯვის პროცესშია, რომელიც ჯერ არ დასრულებულა (საქართველოს პარლამენტი, 2020 [109]).

დღესდღეობით, საქართველოში, და ასევე უკრაინასა და მოლდოვაში, რეგიონში ელექტრონული ხელმოწერების ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი სამართლებრივი ჩარჩო არსებობს. თუმცა, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, ჯერ არ მოუხდენია თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ნდობის სერვისების (eIDAS) რეგულაციებთან და რეკომენდაციებთან. ელექტრონული პირადობის (eID) და ელექტრონული ხელმოწერის სისტემების მრავალფეროვნება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აფერხებს ტრანსსასაზღვრო გაზიარებას (EU4Digital, 2020 [110]). ამ პრობლემის გადასაჭრელად, EU4Digital-მა წამოიწყო ელექტრონული ხელმოწერის საპილოტე ინიციატივა, რომელიც მოიცავს უკრაინასა და მოლდოვას (EaP-EaP) და უკრაინასა და ესტონეთს (EaP-EU) შორის ტრანსსასაზღვრო ელექტრონული ხელმოწერის აღიარებას. ამ პროექტის მიზანია ამ ურთიერთაღიარების პროცესის ტექნიკური და ორგანიზაციული ასპექტების გაანალიზება ერთიანი ციფრული ბაზრის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ჩართვის მიზნით.


*ციფრული უსაფრთხოება, მონაცემთა კონფიდენციალურობა და დაცვა ნდობის გასაძლიერებლად*

ციფრული ეკონომიკის მიმართ ნდობის ჩამოყალიბება ციფრული ტრანსფორმაციის წინაპირობაა. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანები, მთავრობები და ბიზნესები სწრაფად ზრდიან თავიანთ ონლაინ აქტივობებს, ისინი მზარდი გამოწვევების წინაშე დგებიან ციფრული უსაფრთხოების თვალსაზრისით, როგორცაა ფიშინგ-კამპანიები, მავნე პროგრამები ან კიბერ შეტევები. ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ზარალი გამოიწვიოს, დაწყებული ოპერაციების შეფერხებიდან, რეპუტაციისა და კონკურენტუნარიანობისთვის ზიანის მიყენებამდე, რაც ფინანსურ ზარალს იწვევს. ეს განსაკუთრებით გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესზე, რომლებიც ხშირად არ

არიან საკმარისად ინფორმირებული რისკებისა და რესურსების შესახებ, რათა ეს საფრთხეები დაძლიონ (OECD, 2016 [111]). საქართველომ პოლიტიკა და საკანონმდებლო ბაზა შეიმუშავა ამ საკითხის გადასაჭრელად, რის შედეგადაც იგი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ლიდერებს შორის აღმოჩნდა საერთაშორისო რეიტინგებში, როგორცაა ITU-ს გლობალური კიბერუსაფრთხოების ინდექსი (GCI) 2020 (დიაგრამა 2.12) და კიბერუსაფრთხოების ეროვნული ინდექსი 2020.

**დიაგრამა 2.12. საქართველოს ქულები კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში 2020, თითოეული მიმართულებით**

შკალა 0-დან 20-მდე



შენიშვნა: **სამართლებრივი ზომები** ეხება ციფრულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, რეგულაციების და სხვა წესების არსებობას; **ტექნიკური ზომები** ეხება ციფრული უსაფრთხოების ტექნიკური ინსტიტუტებისა და ჩარჩოს არსებობას; **ორგანიზაციული ზომები** ეხება საკოორდინაციო ინსტიტუტების, პოლიტიკის და სტრატეგიების არსებობას ეროვნულ დონეზე; **შესაძლებლობების განვითარება** ეხება კვლევისა და განვითარების, განათლებისა და ტრენინგის პროგრამების, სერტიფიცირებული პროფესიონალების არსებობას; და **თანამშრომლობის ღონისძიებები** ეხება პარტნიორობების, თანამშრომლობის ჩარჩოების და ინფორმაციის გაზიარების ქსელების არსებობას.

წყარო: (ITU, 2021[112]).

საქართველო ერთ-ერთია აღმოსავლეთ პარტნიორობის იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, რომლებმაც მიიღეს სპეციალური სტრატეგია და სამოქმედო გეგმები ციფრული უსაფრთხოების საკითხებზე. საქართველომ პირველი კიბერუსაფრთხოების სტრატეგია ჯერ კიდევ 2012 წელს მიიღო (საქართველოს მთავრობა, 2012[113]), რასაც მოჰყვა მეორე სტრატეგიის მიღება 2017 წელს. ორივე დოკუმენტი ფოკუსირებული იყო ამ საკითხების კვლევაზე მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს მიღების, დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობისა და კოორდინაციის მექანიზმების დანერგვის, და ცნობიერების ამაღლების და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით (გაერო, 2019[114]). DGA-მ შეიმუშავა მესამე ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2021 წლის სექტემბერში დაამტკიცა (საქართველოს

მთავრობა, 2021<sup>[115]</sup>). მოსალოდნელია, რომ ეს ახალი დოკუმენტი გააძლიერებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის მედეგობას საზოგადოებასა და ორგანიზაციებში კიბერუსაფრთხოების რისკების კულტურისა და შემარბილებელი ღონისძიებების გატარების უნარების განვითარებით, მმართველობის სისტემური ფუნქციონირების გაძლიერებით, და საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატივებში მონაწილეობის გაფართოებით.

საქართველომ ასევე შექმნა სპეციალური ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც შედგება დაინტერესებული მხარეებისგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ციფრული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე: DGA (ყოფილი მონაცემთა გაცვლის სააგენტო 2020 წლამდე), საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიურო და საქართველოს ეროვნული ბანკი. რაც შეეხება მოქმედ კანონმდებლობას, საქართველომ 2012 წელს მიიღო კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, რომელიც წარმოადგენს საწყის საკანონმდებლო ბაზას, და იგი უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს როლებს, და ითვალისწინებს ზემოთხსენებული კიბერუსაფრთხოების ბიუროს შექმნას. EU4Digital-ის შესაბამისად, 2020 წლის ივნისის მდგომარეობით საქართველოს კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ იყო შესაბამისობაში ევროკავშირის დირექტივასთან ქსელებისა და საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების შესახებ (NIS დირექტივა), მაგრამ 2021 წლის ივნისში კანონში ცვლილებები შევიდა საკანონმდებლო ჩარჩოს გასაძლიერებლად (საქართველოს პარლამენტი, 2021 წ. [116]).

გარდა ამისა, აუცილებელია „ინციდენტების რეაგირების შესაძლებლობების“ შექმნა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის დახმარების გასაწევად რისკების მართვაში და მედეგობის გაუმჯობესებაში (OECD, 2015 [117]). ასეთი სისტემები საშუალებას აძლევს ფირმებს და ადმინისტრაციებს შეატყობინონ კიბერ ინციდენტების შესახებ, და ამით მოახდინოს მათი ცენტრალიზება და მონიტორინგი, შეიმუშავონ ადეკვატური რეაგირება მათ დასაძლევად, აამაღლონ ცნობიერება პოტენციურ საფრთხეებზე და ხელი შეუწყონ ეროვნულ და საერთაშორისო თანამშრომლობას. საქართველომ ამ დრომდე დააფუძნა სამი კომპიუტერული სასწრაფო დახმარების ჯგუფი (CERT) – cert.gov.ge, რომლებიც 2011 წელს შეიქმნა და რომლებიც DGA-ს, კიბერუსაფრთხოების ბიუროს (თავდაცვის სამინისტროს) და აკადემიური CERT GRENA-ს (საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია) დაქვემდებარებაში ფუნქციონირებენ. თუმცა, ისინი შეიძლება გაუმჯობესდეს: cert.gov.ge ვებგვერდი ჯერ კიდევ არ არის მომხმარებელზე ორიენტირებული და ხშირად განიცდის შეფერხებებს, ხოლო ონლაინ ხელმისაწვდომი რესურსები ძალიან შეზღუდულია. საქართველოს ასევე აკლია დაფინანსება და ექსპერტიზა ციფრული უსაფრთხოების საკითხებში (EU4Digital, 2020<sup>[118]</sup>). გარდა ამისა, კერძო ფირმები განსხვავებით ზოგიერთი ევროპული ქვეყანისგან, როგორცაა ავსტრია, არ არიან იურიდიულად ვალდებული დააკმაყოფილონ კიბერუსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები ან შეატყობინონ კიბერუსაფრთხოების ინციდენტების შესახებ, და ასეთი სამართლებრივი ვალდებულებები ვრცელდება მხოლოდ კრიტიკული ინფრასტრუქტურის ოპერატორებზე, რაც ამცირებს რეაგირებისა და მონიტორინგის შესაძლებლობებს.

კერძო პირებისა და ფირმების დონეზე, ქართველებმა სარგებელი მიიღეს რამდენიმე ინიციატივისგან, რომლებიც მიზნად ისახავენ მათი ცნობიერების ამაღლებას კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ და მათი უნარების განვითარებას. მაგალითად, GITA-ს IT ტრენინგი მოიცავს კიბერუსაფრთხოების კომპონენტს

(GITA, 2021 [119]). DGA-ის CERT-ი 2016 წლიდან აწყო კიბერ ოლიმპიადებს, სადაც კიბერუსაფრთხოების ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ გააუმჯობესონ თავიანთი ცოდნა და უნარები რეალური სცენარების გადაჭრის გზით. საქართველომ შეიძლება განიხილოს სხვა მსგავს წვრთნებში მონაწილეობის შესაძლებლობა რეგიონალურ და/ან საერთაშორისო დონეზე, მაგალითად, როგორცაა “ევროპის კიბერუსაფრთხოების გამოწვევა” მსგავსი (<https://ecsc.eu/>), რომელსაც ატარებს ევროპის კიბერუსაფრთხოების სააგენტო. ასეთი შეჯიბრებები ასევე შესაძლებელს გახდის სხვა ქვეყნების პროგრესზე თვალყურის გადევნებას და მათზე სწორებას.

დაბოლოს, საქართველო თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, როგორცაა ევროკავშირთან twinning პროექტის ფარგლებში, ევროპის საბჭოსთან (CyberEast), ეუთოსთან (მაგ. ნდობის აღდგენის ღონისძიებები) და ნატოსთან. საქართველო ასევე ჩართულია რეგიონულ ინიციატივაში GUAM (ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისათვის), აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან ერთად. ქვეყანამ ასევე გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი 5G უსაფრთხოების შესახებ შეერთებულ შტატებთან 2021 წლის იანვარში.

პერსონალური მონაცემების დაცვა ციფრული უსაფრთხოების პოლიტიკის კიდევ ერთი მთავარი ასპექტია. ონლაინ აქტივობებისა და ტრანზაქციების მუდმივი ზრდის გამო, ციფრული სერვისების პროვაიდერები სულ უფრო მეტ მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს აგროვებენ, რის გამოც მაღალია პოტენციური დარღვევების და პერსონალური მონაცემების გაჟონვის ალბათობა. 2011 წელს მიღებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მიზნად ისახავს მომხმარებლების დაცვას ამ რისკებისგან მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების გარკვეული მოთხოვნებისა და წესების, აგრეთვე მონაცემთა კონტროლერებისა და დამმუშავებლებისთვის გარკვეული ვალდებულებების დაწესების გზით. გარდა ამისა, ეროვნული სამეთვალყურეო ორგანოს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის არსებობა ხელს უწყობს ონლაინ უსაფრთხოების გაზრდას. ხელისუფლება აკონტროლებს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, ელექტრონული კომერციის პლატფორმების ჩათვლით. მან შეამოწმა ხუთი კერძო ონლაინ პლატფორმა 2020 წელს. ის ასევე გასცემს რეკომენდაციებს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ კომპანიებს, რომლებიც ონლაინ გაყიდვებს ახორციელებენ.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ არ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს, როგორცაა ერთჯერადობის პრინციპი (კანონით არ არის განსაზღვრული მოთხოვნები მონაცემთა გაზიარებასა და ხელახალ გამოყენებასთან დაკავშირებით), და მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას (GDPR). საქართველოს კანონმდებლობის GDPR-თან დაახლოების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონპროექტი შემუშავდა და პარლამენტში დარეგისტრირდა 2019 წლის 22 მაისს, მაგრამ იგი ჯერ არ შესულა ძალაში.

### **ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობა**


ციფრული უნარების ხელშეწყობა ციფრული ტრანსფორმაციის არსებითი კომპონენტია: ფიზიკური პირები და ბიზნესი ვერ მიიღებენ სარგებელს, რომელსაც ახალი ტექნოლოგიები სთავაზობს, თუ მათ არ გააჩნიათ მათი გამოყენებისთვის საჭირო შესაძლებლობები. კვლევებმა აჩვენა, რომ ციფრული წიგნიერების უფრო მაღალი დონე დადებით

კორელაციაშია მაღალ დასაქმებასთან და ხელფასებთან (OECD, 2015 [120]). და პირიქით, უნარების დეფიციტი იმის რისკს ქმნის, რომ ადამიანებს შორის ამ უნარების თვალსაზრისით არსებული განსხვავება კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მაღალი დონის ციფრული ცოდნის მქონე პირებს შეუძლიათ ისარგებლონ ონლაინ აქტივობების ფართო სპექტრით (ტრენინგები, შოპინგი, ელექტრონული მმართველობა და ა.შ.). ეს ასევე ეხება ბიზნესებს, სადაც თანამშრომლებს შორის ციფრული უნარების ნაკლებობამ შეიძლება შეზღუდოს ციფრული ტექნოლოგიების დადებითი გავლენა ფირმების მომგებიანობაზე (Sorbe et al., 2019 [92]).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების დონე მაღალია და სამუშაო ძალა კვალიფიციურია, ქვეყანა ჩამორჩება რეგიონის ქვეყნებს ციფრული წიგნიერების თვალსაზრისით (დიაგრამა 2.13). 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ მესამედს ჰქონდა საბაზისო ციფრული უნარები, OECD-ისა და ევროკავშირის 8 ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტთან შედარებით. სტანდარტული უნარებისთვის, როგორცაა ცხრილების და საპრეზენტაციო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, ეს წილი 18%-მდე მცირდება, და მხოლოდ 1%-ს წარმოადგენს იმ პირების შემთხვევაში, რომლებსაც შეუძლიათ დაწერონ კომპიუტერული პროგრამა სპეციალიზებული პროგრამირების ენის გამოყენებით.

**დიაგრამა 2.13. ICT უნარები EaP-ის, OECD-ის და EU-8 ქვეყნებში**

უნარების ტიპის მიხედვით, 2019 წლის ან უახლესი მონაცემები



შენიშვნა: სომხეთის, მოლდოვისა და უკრაინის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ძირითადი უნარები გულისხმობს ფაილის ან ფოლდერის კოპირებას ან გადატანას, კოპირებისა და ჩასმის ინსტრუმენტების გამოყენებას, ელ. ფოსტის გაგზავნას თანდართული ფაილებით და ფაილების გადატანას კომპიუტერსა და სხვა მოწყობილობებს შორის; სტანდარტული უნარები გულისხმობს ექსელ ცხრილებში ძირითადი არითმეტიკული ფორმულის გამოყენებას; ახალი მოწყობილობების დაკავშირებას და ინსტალაციას; ელექტრონული პრეზენტაციების მომზადებას საპრეზენტაციო პროგრამული უზრუნველყოფით; და პროგრამული უზრუნველყოფის პოვნას, ჩამოტვირთვას, ინსტალაციას და კონფიგურაციას; და კომპიუტერული პროგრამის დაწერის დახვეწილ უნარებს სპეციალიზებული პროგრამირების ენის გამოყენებით.

წყარო: (ITU, 2021[87]).

თუმცა, საქართველომ ციფრული უნარები საჯარო პოლიტიკის პრიორიტეტად გამოაცხადა სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტებში. ელექტრონული საქართველოს სტრატეგიამ 2014-



2018 წლების სტრატეგიაში აღიარებულია ციფრული უნარების მნიშვნელობა (Krabina et al., 2017<sup>[121]</sup>) და ახალ NBDS-ში ამ უნარების განვითარება სამი ძირითადი მიზნიდან ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. ამ პოლიტიკურ მიზანს ასევე მხარს უჭერდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017-2021 წლების ერთიანი სტრატეგია, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სკოლებში ICT-ის სწავლება და იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მოსწავლეს საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ ჰქონდეს ICT-ის შესახებ საბაზისო ცოდნა და მისი გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება. ამ მიზნით, სწავლებისა და სწავლის ხელშესაწყობად, 2018 წელს დანერგილი ახალი სკოლის მოდელი ითვალისწინებს ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას მასწავლებელთა სამუშაო პროცესში (მაგ. ცხრილის შედგენა ან კომუნიკაცია) და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ეფექტურ გამოყენებას სწავლებისა და სწავლის პროცესებში.

ამ პროცესს მხარს უჭერენ საერთაშორისო პარტნიორები, როგორცაა EU4Digital-ის ქსელი<sup>7</sup>. ამ ძალისხმევის ფარგლებში საქართველომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა ციფრული უნარების განვითარების მიზნით, რაც მოიცავს ეროვნულ ციფრულ უნარებში ხარვეზების მონიტორინგისა და პროგნოზირების ღონისძიებებს პრიორიტეტული ქმედებების იდენტიფიცირებისთვის და ეროვნული კოალიციების შექმნას უნარების განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშესაწყობად. ევროპული სასწავლო ფონდი ასევე ეხმარება ციფრული კომპეტენციების გათვალისწინებას ეროვნულ სასწავლო გეგმებში, და 15-მა პროფესიული განათლების დაწესებულებამ მიიღო მონაწილეობა მის ერთ-ერთ ინიციატივაში - თვითშეფასების ინსტრუმენტის SELFIE-ს პილოტირებაში, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ კითხვარს, რომელიც აფასებს ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ და საშუალებას აძლევს საქართველოს, რომ ისეთ ქვეყნებთან შედარებადი იყოს, როგორცაა საფრანგეთი და გერმანია. ინსტრუმენტმა აჩვენა, რომ პროფესიული განათლების დაწესებულებებს აქვთ ძლიერი ICT ბაზა და ისინი ციფრულ ინსტრუმენტებს იყენებენ სასწავლო პროცესში. დაბოლოს, მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას სკოლებში *ინოვაციების, ინკლუზიისა და ხარისხის პროექტის* მეშვეობით.

მთავრობამ მიიღო რამდენიმე პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებენ ციფრული უნარების განვითარებას. NBDS განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით გეგმავს მხარი დაუჭიროს ციფრული უნარებისა და წიგნიერების პროგრამებს, განსაკუთრებით ციფრულ უსაფრთხოებაზე, რომლებიც ორიენტირებულია ახალგაზრდებზე. დამატებითი ღონისძიებები იგეგმება შშმ პირებსა და უმცირესობებთან დაკავშირებით. პროექტს Log-In Georgia აქვს რეგიონებში ტრენინგებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული პროგრამების განხორციელების კომპონენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ელექტრონული სერვისების დანერგვას და ელექტრონული კომერციის, ელექტრონულ სწავლების და ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობას. განათლებისა და მეცნიერების 2022-2032 წლების ერთიანი სტრატეგია და პროფესიული განათლების 2021-2025 წლების სტრატეგია, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს სტუდენტებს შორის ციფრული კომპეტენციების და დისტანციური სწავლების განვითარებას.

<sup>7</sup> EU4Digital არის ევროკავშირის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზარში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჩართვას და მათთვის დახმარების გაწევას ციფრული პოტენციალის გამოყენებაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი ვებგვერდი [eufordigital.eu](http://eufordigital.eu).

**ცხრილი 2.2. საქართველოში ციფრული უნარების პოპულარიზაციაზე მიმართული პოლიტიკის ინიციატივების მაგალითები**

პოლიტიკის მიმართულება	პოლიტიკის მიღწევები	დაგეგმილი სამომავლო ზომების მაგალითები
ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობა დაწესებულებით და საშუალო განათლების დონეზე	<p>ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ICT სწავლების მიზანი</p> <p>დასახული მიზანი გულისხმობს, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს საბაზისო ცოდნა ICT სფეროში და ამ ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების შემდეგ.</p> <p>ციფრული კომპეტენცია განისაზღვრება, როგორც ძირითადი კომპეტენცია</p>	
განათლების სისტემაში ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობა	<p>მასწავლებლების მუშაობის პროცესში დანერგილი ციფრული ინსტრუმენტები (მაგ. დაგეგმვის ან კომუნიკაციისთვის) და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების გაზრდა სწავლებისა და სწავლის პროცესში (ახალი სკოლის მოდელი)</p> <p>სკოლები უზრუნველყოფილია WiFi-ით, ლეპტოპებით და პროექტორებით</p> <p>COVID-19-ით გამოწვეული დისტანციური სწავლება: შექმნილი ვირტუალური საკლასო ოთახები და საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთობლივად განხორციელებული ტელესკოლის პროექტი დისტანციური სწავლების სატელევიზიო რეჟიმების შემუშავებისთვის</p> <p>Microsoft office-ის მეშვეობით დისტანციურ სწავლებაში 16 000 მასწავლებელმა გაიარა ტრენინგი</p> <p>Microsoft Office ინსტრუმენტები შემუშავდა იმისთვის, რომ მასწავლებლებს საშუალება ჰქონოდათ თავად შექმნათ ელექტრონული რესურსები და გაეზიარებინათ ისინი კოლეგებთან</p> <p>Microsoft Office-ის მომხმარებლის პროფილები შეიქმნა 60 000-მდე მოსწავლისთვის და 55 000 მასწავლებლისთვის საჯარო სკოლებში</p>	ახალი სკოლის მოდელის გავრცელება დამატებით სკოლებზე
ციფრული უნარების ხელშეწყობა უმაღლესი განათლების დონეზე	<p>სან დიეგოს უნივერსიტეტის გახსნა საქართველოში, რომელიც საერთაშორისოდ აკრედიტებულ STEM ბაკალავრის ხარისხს სთავაზობს, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ფინანსური მხარდაჭერით.</p> <p>ციფრული უნარები ინტეგრირებულია რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში</p> <p>საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული IT სპეციალისტების პროგრამა; GeoLab Junior პროგრამა იქნა წამოწყებული GITA-ს მიერ 2021 წლის ივნისში, სტუდენტების მოსამზადებლად ონლაინ რეჟიმში Front End განვითარების პროგრამების ფარგლებში (დამწყები პროგრამისტებისთვის) 10 რეგიონში.</p>	პოლიტიკის შემქმნელებსა და აკადემიურ წრეებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება
ციფრული უნარების განვითარება პროფესიული	<p>ციფრული კომპეტენცია განისაზღვრება, როგორც ძირითადი კომპეტენცია</p> <p>ICT მოდული ძირითადი ციფრული კომპეტენციების განვითარების შესახებ სავალდებულოა ყველა პროფესიული</p>	დამატებითი ზომები უნდა გატარდეს გარკვეული მოდულების დისტანციური სწავლებისთვის

პოლიტიკის მიმართულება	პოლიტიკის მიღწევები	დაგეგმილი სამომავლო ზომების მაგალითები
განათლების დონეზე	<p>განათლების სტუდენტისთვის, მიუხედავად მათი სპეციალიზაციისა</p> <p>GITA-ს მიერ დაარსებულია ფაბლაბები (იხილეთ გვერდი 45), სადაც პროფესიული განათლების სტუდენტებს შეუძლიათ განავითარონ ციფრული უნარები, და შეიქმნა FabLab ICT მენეჯერების ქსელი</p> <p>GITA-ს მიერ ორგანიზებული იქნა ჰაკათონები და „ბუსტერები“.</p> <p>ციფრული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა პროფესიული განათლების დაწესებულებებში გაიზარდა (მაგ., სმარტბორდები, სიმულატორები, პროფესიასთან დაკავშირებული სპეციფალური პროგრამული უზრუნველყოფა)</p> <p>დაინერგა საერთაშორისო საპილოტე თვითშეფასების ინსტრუმენტი SELFIE 15 პროფესიული განათლების დაწესებულებებში</p> <p>COVID-19 კრიზისის შემდეგ ზოგიერთი მოდული ადაპტირებული იქნა დისტანციური სწავლებისთვის</p>	<p>ადაპტირების მიზნით</p> <p>ახალგაზრდების კოდირების (Youth Coding) და ტექნიკური სამეწარმეო კლუბების ქსელების განვითარება (იხ. ქვემოთ)</p>
ზოგად მოსახლეობაში ციფრული უნარების განვითარება	<p>ცნობიერების ამაღლების მასშტაბური აქტივობები განხორციელდა DGA-ს ხელმძღვანელობით, მაგ. საჯარო მოხელეებისთვის ელექტრონული მმართველობის სერვისების შესახებ ინფორმაციისა და ტრენინგის მიწოდება.</p> <p>ციფრული წიგნიერების ტრენინგები ჩატარდა რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის</p> <p>ტრენინგი ინტერნეტისა და ელექტრონული კომერციის უნარ-ჩვევების საკითხებზე სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის, გათვალისწინებული მსოფლიო ბანკის GENIE პროგრამით (იხ. ჩანართი 2.3).</p> <p>2019 წლიდან არაფორმალური სწავლის შედეგების აღიარება, მათ შორის ICT შესაბამისი პროფესიებისთვის</p> <p>IT სასწავლო ცენტრი ჩამოყალიბდა ICT-ით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის, რომელიც სთავაზობს რეგულარულ სასწავლო კურსებს პროგრამირების, თამაშების, კოდირების, გრაფიკული დიზაინის მიმართულებით.</p> <p>GIZ-ის მხარდაჭერით პარტნიორ მუნიციპალიტეტებში ციფრული წიგნიერების და მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრების განვითარება</p>	<p>პროგრამების განხორციელება განათლების, ინოვაციებისა და ელექტრონული მმართველობის სფეროში ციფრული უნარების განვითარების წახალისებისა და ფართოზოლოვანი სერვისების გამოყენების ხელშეწყობისთვის</p> <p>დაგეგმილი აქტივობების განხორციელება, რომლებიც მიმართულია დაუცველ ჯგუფებზე (ქალები, ეთნიკური და სოციალური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სამიზნე დასახლებებში)</p>

წყარო: OECD-ის ფაქტების დამდგენი კითხვარები, 2021 წლის ივნისი-აგვისტო (OECD, 2021[86]) და სამაგიდე კვლევა.

## მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ციფრული ტექნოლოგიებისა და სერვისების გამოყენების ხელშეწყობა

მიუხედავად იმისა, რომ ხელსაყრელი ჩარჩო პირობები ციფრული ეკონომიკის ფუნდამენტური მნიშვნელობის ხელშემწყობი ფაქტორია, მცირე და საშუალო საწარმოებს ასევე სჭირდებათ მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამები მათი ციფრული ტრანსფორმაციის მისაღწევად. მართლაც, მცირე და საშუალო საწარმოების ჩამორჩენა ციფრული თვალსაზრისით განპირობებულია ახალი ტექნოლოგიების მიერ შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით, ასევე ციფრული უნარების დაბალი დონით და შეზღუდული რესურსებით, რაც მათ გაციფრიანებას აფერხებს (ფინანსური საშუალებების, ინფორმაციისა და ცოდნის თვალსაზრისით). ეს არის საერთო მახასიათებელი OECD-სა და EaP-ის ქვეყნებში, და საქართველოს გამოცდილებაც ამას ადასტურებს, და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ეს საკითხები დაასახელა, როგორც ძირითადი გამოწვევები მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის სფეროში წინსვლის მიღწევაში (OECD, 2021[86]).

ამ კუთხით, პოლიტიკის შემქმნელებს გადამწყვეტი როლი აქვთ. ასეთი მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სააგენტოები. საქართველოში GITA არის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო მეწარმეების გაციფრულების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაზე. თუმცა, მისი ქმედებები ფოკუსირებულია ინოვაციურ სტარტაპებზე და/ან გაციფრულებაში დაინტერესებულ ფირმებზე და არ ითვალისწინებს ზომებს, რათა დაეხმაროს „ტრადიციულ“ მცირე და საშუალო ბიზნესს ციფრული გადაწყვეტილებების მიღებაში. არსებობს სხვა პოლიტიკური ინიციატივები, მაგრამ ისინი არ არის ცენტრალიზებული და მათ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები ახორციელებენ (მაგ. „აწარმოე საქართველოში“, რომელიც მხარს უჭერს ელექტრონული კომერციის პრაქტიკას და GCCL, რომელმაც დაიწყო ტრენინგი ელექტრონული კომერციის სფეროში). შემდეგ ნაწილში მიმოხილულია ამ ეტაპისთვის განხორციელებული ფინანსური და არაფინანსური პროექტები.

### არა-საფინანსო მხარდაჭერა

ქართული ბიზნესი სარგებელს იღებს ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ეკოსისტემით, მაგრამ ეს ინფრასტრუქტურა უფრო მეტად გამიზნულია ფირმებზე, რომლებიც ინოვაციურ ციფრულ პროდუქტს ან სერვისს ავითარებენ. ამ კუთხით, GITA მოქმედებს როგორც ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც ეხმარება მეწარმეებს თავიანთი იდეების განხორციელებაში სხვადასხვა პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზების გზით, მათ შორის, ინფრასტრუქტურას (თანამშრომლობის სივრცეები), ტრენინგებს, ქსელებს და ფინანსურ მხარდაჭერას. როგორც პირველ ნაწილში აღინიშნა, GITA-მ ასევე ქვეყნის მასშტაბით დააარსა 22 ფაბლაბი მთელი, სამი ტექნოპარკი და ხუთი ინოვაციური ცენტრი (მინი ტექნოპარკები). სამი უნივერსიტეტში დაფუძნებული ინოვაციების ლაბორატორია განსაკუთრებით ხელს უწყობს პროგრამირების უნარების განვითარებას და ისეთი ღონისძიებების ორგანიზებას, როგორცაა ჰაკათონები და ოლიმპიადები. დაგეგმილია საინოვაციო ინფრასტრუქტურის შემდგომში განვითარება, განსაკუთრებით GENIE პროექტის მეშვეობით (ჩანართი 2.3), რომლის ერთ-ერთი კომპონენტი მიზნად ისახავს რეგიონული საინოვაციო ჰაბებისა და სათემო ინოვაციური ცენტრების ქსელის განვითარებას ქვეყნის მასშტაბით.

## ჩანართი 2.3 საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტი

### პროექტის მიმოხილვა

2016 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ და IBRD-მ ხელი მოაწერეს ხუთწლიან ხელშეკრულებას, რომელიც გახანგრძლივდა 23 თვით, ანუ 2023 წლამდე, რომლითაც საქართველოს გადაეცა 40 მილიონი აშშ დოლარი GENIE პროექტის განსახორციელებლად. ეს პროგრამა მიზნად ისახავდა მოქალაქეების და ფირმების მონაწილეობის ხელშეწყობას ციფრულ ეკონომიკაში და მათ მიერ განხორციელებული ინოვაციური აქტივობების რაოდენობის გაზრდას. პროექტი GITA-მ განახორციელა.

GENIE პროგრამა ოთხი ძირითადი კომპონენტისგან შედგება, რომელზე დაყრდნობითაც შესაბამისი აქტივობები ხორციელდება. ესენია:

- ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა ინტერნეტთან წვდომის გასაუმჯობესებლად, ციფრული წიგნიერების განვითარება და ფართოზოლოვანი ინტერნეტის და მისი გამოყენების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა;
- ინოვაციური მხარდაჭერის სერვისების დაწესება, ანუ, ტრენინგი და ტექნიკური დახმარება მოქალაქეებსა და ფირმებში ციფრული უნარების განვითარების მხარდასაჭერად;
- ინოვაციების დაფინანსება თანადაფინანსების საგრანტო კონკურსების მეშვეობით, რომლებიც მიმართულია ინოვაციურ კომპანიებსა და სტარტაპებზე;
- პროექტის განხორციელების მხარდაჭერა

### GENIE-ს ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების მაგალითები

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით GITA-მ განახორციელა ინიციატივების ფართო სპექტრი. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე აქტივობის მაგალითი, მათ შედეგებთან ერთად:

- პროგრამა „ფართოზოლოვანი კავშირი განვითარებისთვის“ (Broadband-for-Development - BfD) MSME-ების და შინამეურნეობების მიერ ფართოზოლოვანი ქსელის ათვისებისა და გამოყენების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით სოფლად;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ელექტრონული კომერციის შესაძლებლობების განვითარება, რაც მიზნად ისახავს პირისპირ ტრენინგების ჩატარებას ციფრული უნარების შესახებ, ყურადღების გამახვილებით ელექტრონული კომერციის შესაძლებლობების განვითარებაზე BfD ბენეფიციარებისთვის. თუმცა, პროგრამის მსოფლიო ბანკის მიერ შეფასებამ გამოავლინა, რომ ამ ეტაპისთვის შეზღუდული მოცულობითაა მიღწეული წარმატება: ინტერნეტი კვლავ ძირითადად გამოიყენება ინფორმაციის წყაროდ, და ტრენინგებში მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება უფრო მეტი შედეგი იყოს მიღწეული. შეფასების შედეგები მიუთითებს უფრო ყოვლისმომცველი მიდგომის აუცილებლობაზე ინიციატივის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად;
- რეგიონალური ინოვაციების ჰაბები (RIH), რომლებიც ერთობლივი მუშაობისა და პროტოტიპის დამზადების ისეთ შესაძლებლობებზე წვდომის საშუალებას იძლევა, როგორცაა ინოვაციების ლაბორატორიები;
- სათემო ინოვაციების ცენტრები (CIC), ისინი საშუალებას აძლევს ინოვაციურ მეწარმეებს მცირე ქალაქებიდან და სოფლებიდან მიიღონ წვდომა შესაბამის ინფრასტრუქტურაზე, სერვისებზე და დაფინანსების შესაძლებლობებზე საინოვაციო ეკოსისტემაში, აღჭურვილობის, ტრენინგისა და საკონფერენციო საშუალებების და ერთობლივი სამუშაო სივრცეების უზრუნველყოფის გზით;

- ინოვაციების თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა, ანუ ფინანსური მხარდაჭერა პროექტებისთვის, რომლებიც ინოვაციას სთავაზობენ და საბაზრო პოტენციალი გააჩნიათ;
- სტარტაპების თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა, ანუ ფინანსური მხარდაჭერა ინოვაციური საწარმოების შექმნის ხელშესაწყობად;
- ICT ტრენინგ პროგრამა, რომელიც მოიცავს ერთობლივ სტრატეგიას ქართველი პროფესიონალების ციფრული უნარების გასაუმჯობესებლად 30 სფეროდან ერთ-ერთში (ფრონტ-ენდ პროგრამირება, კიბერუსაფრთხოება, პროექტების მენეჯმენტი და ა.შ.), და მათი მომზადება სერთიფიცირებისთვის. პროგრამის მიზანია 2023 წლის მარტამდე მინიმუმ 3000 მონაწილის მომზადება.

წყარო: (GITA, 2021<sup>[27]</sup>), (EU4Digital, 2020<sup>[28]</sup>), (GITA, 2018<sup>[29]</sup>), (World Bank Group, 2020<sup>[30]</sup>) and (The World Bank, 2021<sup>[31]</sup>).

შედეგად, ინოვაციური, ტექნიკური ფირმები სარგებლობენ ამ მუდმივად მზარდი ეკოსისტემით, რაც მათ ასევე ეხმარება ინფორმაციის მიღებაში ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ. მაგალითად, ზემოაღნიშნული ტექნოპარკები ფუნქციონირებენ ერთი ფანჯრის პრინციპით, IT კომპანიებისა და სტარტაპების მხარდაჭერის მიზნით, ხელს უწყობენ ინოვაციებისა და მეწარმეობის განვითარებას და აგროვებენ ტექნოლოგიურ, საგანმანათლებლო და პროფესიულ რესურსებს ერთ ფიზიკურ სივრცეში. ასეთი ერთი ფანჯრის პრინციპით მხარდაჭერის სისტემა არ არის ხელმისაწვდომი ტრადიციული ფირმებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან გაციფრულებაში, რაც ამცირებს ხელმისაწვდომი სერვისებით მათ მოცვას, რადგან მცირე და საშუალო საწარმოებმა ხშირად არ იციან არსებული სერვისების და შესაძლებლობების შესახებ.

სულ უფრო მეტი ინიციატივები არის მიმართული უნარების განვითარების მხარდაჭერაზე, და ბევრი მათგანი მიზნად ისახავს ახალგაზრდების აღჭურვას მოწინავე IT უნარებით, რათა შეიქმნას ნიჭიერი IT სპეციალისტების ფონდი. ამ მიზნებს ემსახურება ზემოხსენებული ICT სასწავლო პროგრამა, რომელიც GENIE-ის ფარგლებში ხორციელდება, და ახალგაზრდების კოდირებისა და ტექნიკური სამეწარმეო კლუბების ქსელები, რომელთა ფარგლებში დაგეგმილია 2000 სტუდენტის სწავლება პროგრამირებისა და ტექნიკური მეწარმეობის მიმართულებით, და მათი დაკავშირება მენტორებთან, IT და ტექნიკურ ფირმებთან რვა სამიზნე რეგიონიდან. გარდა ამისა, სპეციალურად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის განკუთვნილი საბაზისო ციფრული უნარების ტრენინგები არის ხელმისაწვდომი ქართულ ბაზარზე, თუმცა მათი რაოდენობა კვლავ მწირია: მაგალითად, GENIE-ის პროგრამის ფარგლებში „ფართოზოლოვანი კავშირი განვითარებისთვის“ რეგიონების დაახლოებით 1500-მა მცირე და საშუალო მეწარმემ გაიარა მომზადება, განსაკუთრებით ელექტრონული კომერციის, ციფრულ მარკეტინგისა და სოციალური ქსელების და საოფისე პროგრამების გამოყენების საკითხებზე. GENIE-ის ფარგლებში დამატებით ტრენინგს სთავაზობს GITA და GCCI-ი ელექტრონული კომერციის საკითხებზე: ამ უკანასკნელმა შეიმუშავა სასწავლო პროგრამა ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებში ჩატარებული ორი საჭიროების შეფასების შედეგების საფუძველზე, და 2021 წლის თებერვლიდან აგვისტომდე პერიოდში 600-ზე მეტი ბიზნესის წარმომადგენელი მოამზადა ონლაინ რეჟიმში პროდუქტების რეკლამირების სფეროში, როგორც სოციალური მედიის, ასევე ონლაინ მარკეტინგის პლატფორმების გამოყენებით. პალატამ ასევე უზრუნველყო შემდგომი ინდივიდუალური მხარდაჭერის სერვისები ბიზნესებისთვის და ხელი შეუწყო კოლეგების მხრიდან

ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარებას სპიკერების მოწვევით ელექტრონულ კომერციაში ჩართული მსხვილი ფირმებიდან და საწარმოებიდან, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს თავიანთი საქმიანობის გაციფრულება. როგორც პირველ ნაწილში აღინიშნა, პალატა მხარს უჭერს 100 ბიზნესს საკუთარი ვებსაიტის შემუშავებაში და ელექტრონული კომერციის ექსპერტებთან ერთად მუშაობს ელექტრონულ წიგნზე, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულებისთვის, ყურადღების გამახვილებით ელექტრონული კომერციის პრაქტიკაზე. მომავალში შესაძლებელია ამ პროგრამების გაფართოება და მათი ზეგავლენის უკეთესი მონიტორინგი. ასეთი ტრენინგები უაღრესად საჭიროა, რათა ფირმებს დახმარება გაეწიოთ ონლაინ გაყიდვების გაუმჯობესებაში: Galt & Taggart-ის ანგარიშში მოყვანილია მომხმარებლის ცუდი გამოცდილება, როგორც მთავარი გამოწვევა ქართული ელექტრონული კომერციის მაღაზიებისთვის, რის შედეგადაც ადგილობრივი მომხმარებლები სამჯერ მეტ დროს ატარებენ საერთაშორისო ონლაინ მაღაზიებში (Galt & Taggart, 2021<sup>[85]</sup>).

თუმცა, საქართველოში არ არის საკმარისად წარმოდგენილი საკონსულტაციო მომსახურება. GENIE პროექტის ფარგლებში მეწარმეებს შეუძლიათ მიიღონ უფასო კონსულტაციები ელექტრონული კომერციის განვითარებაზე, მაგრამ არც ერთი მცირე და საშუალო ბიზნესის სააგენტო და არც კერძო სექტორის ასოციაცია არ სთავაზობს ყოვლისმომცველ მხარდაჭერის პროგრამას, რათა მიაწოდოს "ტრადიციულ" ფირმებს მნიშვნელოვანი რჩევები ციფრული ან მსგავსი რესურსების გამოყენების შესახებ. გარდა ამისა, ცოტა რამ კეთდება მცირე და საშუალო ბიზნესის ცნობიერების ამაღლებისთვის გაციფრულების სარგებელის შესახებ. „საქართველოს გაციფრულება“ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ინიციატივებს შორის, რომლებიც განხორციელდა ცნობიერების ამაღლების მიზნით. იგი ითვალისწინებს ე.წ. „ციფრული მისიონერების“ მომზადებას რეგიონებში და მათი ციფრული უნარების განვითარებას. ამ მოხალისეებს (ამ მომენტისთვის დაახლოებით 300) შეუძლიათ დაუკავშირდნენ ადგილობრივ ბიზნესს, რათა დაეხმარონ მათ იმაში, რომ ისინი Google Maps-ზე წარმოდგენილი არიან და მათ შესახებ შესაბამისი ინფორმაციაა მითითებული, მათ შორის ინგლისურ ენაზე, და ამით მაქსიმალურად გაზარდონ მათ შესახებ მოსახლეობისა და ტურისტების ინფორმირებულობა. თუმცა, არ არსებობს მსგავსი პროგრამა სხვა ტექნოლოგიებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური ვებსაიტის და/ან სოციალური მედიის პლატფორმების მეშვეობით ონლაინ საკუთარი საქმიანობის რეკლამირება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მომხმარებელთა უკეთ მოსაცავად, რამაც თავის მხრივ შეიძლება გააუმჯობესოს Google Map-ით მოცვა.

### **ფინანსური მხარდაჭერა**

ფინანსური მხარდაჭერა მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების კიდევ ერთი მთავარი მიმართულებაა. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ზოგადად მცირე და საშუალო ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ ბარიერად რჩება, რადგან ისინი უფრო მეტ სირთულეს აწყდებიან დაფინანსებაზე წვდომაში, ვიდრე მსხვილი ფირმები, როგორც ეს აღწერილია 1-ელ ნაწილში. ნაწილობრივ, რესურსების ნაკლებობით აიხსნება ციფრული ტექნოლოგიების ნაკლებ გამოყენება, რადგან ეს მოითხოვს როგორც ინვესტიციებს, ასევე მენეჯერებისა და თანამშრომლებისგან შესაბამისი უნარებს. ციფრული სტარტაპები მსგავსი ფინანსური პრობლემების წინაშე დგანან ადგილობრივი სარისკო კაპიტალის არარსებობის გამო.

დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად, GITA-მ რამდენიმე პროგრამა განახორციელა ფინანსური მხარდაჭერის შესათავაზებლად ინოვაციური მცირე და

საშუალო ბიზნესისთვის, მათ შორის ციფრული სფეროს კომპანიებისთვის. მაგალითად, თანადაფინანსების საგრანტო პროგრამამ 2021 წელს 20 ფირმა დააფინანსა, 2 მილიონი ლარის საერთო ოდენობით. წლების განმავლობაში, დაფინანსების ინიციატივებმა შესაძლებელი გახადა წარმატებული ციფრული სტარტაპების გაჩენა, როგორცაა Optio.AI, რომელიც თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის ბენეფიციარი იყო. საქართველოს მთავრობა აგრძელებს ხარჯების გაზრდას ციფრულ ინოვაციებზე, და იმავდროულად მუშაობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. მაგალითად, 2020 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას GITA-ს, სეზ-სა და 500 სტარტაპს, და აშშ-ის წამყვან ბიზნეს აქსელერატორს შორის, რათა ეს უკანასკნელი საქართველოში დაარსდეს და ამით ხელი შეუწყოს რეგიონული ეკოსისტემის განვითარებას.

ტრადიციული ფირმების გაციფრულების პროცესის დაფინანსებაზე მიმართული ინიციატივები უფრო შეზღუდული რაოდენობისაა, და ძირითადად შემოიფარგლება „აწარმოე საქართველოს“ თანადაფინანსებით, რაც მიმართულია ციფრულ ბაზრებზე პროდუქციის განთავსებაზე.

## სამომავლო ქმედებები: საგზაო რუკა მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების დასაჩქარებლად

### 1-ლი მიზანი: გაციფრულების ინსტიტუციური და პოლიტიკის ჩარჩოს გაძლიერება

*ყოვლისმომცველი ეროვნული ციფრული სტრატეგიის მიღება მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებით, ქმედებებითა და რესურსებით*

OECD-ის თითქმის ყველა ქვეყანამ მიიღო ეროვნული ციფრული სტრატეგია ციფრული ტრანსფორმაციის ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვის უზრუნველსაყოფად (OECD, 2020[94]). ასეთი სტრატეგიები მთავრობებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ მიზნები და პოლიტიკის ზომები ეკონომიკისა და საზოგადოების გაციფრულების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით. მათი ერთ დოკუმენტში შეკრება დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ამასთან დაკავშირებით, საქართველომ უნდა დაასრულოს და მიიღოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგია, რომელიც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ სხვადასხვა პოლიტიკის სფეროებს, დაწყებული ჩარჩო პირობებიდან, დამთავრებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებით, და შესაბამისი სამოქმედო გეგმებით, რომლებიც განსაზღვრავენ მკაფიო ზომებს, პასუხისმგებლობებს, ბიუჯეტს, ვადებს და შედეგების ინდიკატორებს. სტრატეგია უნდა იყოს საღი, მაგრამ საკმარისი მოქნილობის საშუალებას უნდა იძლეოდეს სწრაფად ცვალეზად გარემოსთან და ახალ ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ადაპტირების უზრუნველსაყოფად (OECD, 2017 [122]).

სტრატეგიის შემუშავების განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანია შეიქმნას საკოორდინაციო მექანიზმი, როგორცაა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოიცავს ყველა საჯარო და კერძო დაინტერესებულ მხარეს (სამინისტროები, შესაბამისი უწყებები, ბიზნეს ასოციაციები), და უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჯარო და კერძო სექტორს შორის კონსულტაციები და კერძო სექტორის მოსაზრებების გათვალისწინება. ეს ასევე ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეების მიერ ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებას და მათ შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას. ასევე რეგულარულად უნდა ჩატარდეს



პოლიტიკის ეფექტურობის შეფასება, ხარვეზების იდენტიფიცირებისა და შესაბამისად გამოსწორების მიზნით.

რაც შეეხება განვითარებად ტექნოლოგიებს, რომელთა სარგებელი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (იხ. ცხრილი 2.1 და ჩანართი 2.1) ძირითადად გამოუყენებელი რჩება, სულ უფრო მეტი ქვეყანა შეიმუშავებს ეროვნულ ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიებს. საქართველომ შეიძლება განიხილოს ასეთი შეიმუშავების საჭიროება, რადგან ქვეყანა ჩამორჩება OECD-ის დონეს ამ ტექნოლოგიების პოლიტიკის ჩარჩოს თვალსაზრისით. ეს ხარვეზი აისახება ხელოვნური ინტელექტისთვის მთავრობის მზადყოფნის ინდექსში, სადაც საქართველო 72-ე ადგილს იკავებს გაანალიზებული 172 ქვეყნიდან. ქვეყანაში ხელოვნური ინტელექტის სტარტაპების გაჩენასთან ერთად, შეიძლება დაიგეგმოს ზომები სპეციალური სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება ამ ტექნოლოგიის მიღებასთან დაკავშირებით, რადგან იგი უზრუნველყოფს შესაბამის სამართლებრივ, ეთიკურ და ტექნიკურ ჩარჩოს. მართლაც, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ხელოვნური ინტელექტის შორსმომავალი და გლობალური გავლენა, რომელიც, სავარაუდოდ, ღრმად გარდაქმნის ეკონომიკებსა და საზოგადოებებს (OECD, 2019 [76]). სხვა განვითარებადი ტექნოლოგიები, როგორცაა IoT და ბლოკჩეინი, შეიძლება არ წარმოადგენდეს პოლიტიკის პრიორიტეტს, რადგან ისინი ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზე არიან როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში. მათი სარგებელი ფირმებისთვის ჯერ კიდევ შესწავლილია და ნაკლებად ცნობილია, ვიდრე ხელოვნური ინტელექტის სარგებელი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექნოლოგიები უამრავ შესაძლებლობებს გვთავაზობენ, ისინი უამრავ საკითხს წამოჭრიან, რომლებიც ჯერ არ არის შესწავლილი და გათვალისწინებას საჭიროებენ. IoT-ს შეუძლია გაზარდოს უსაფრთხოების რისკები და ამ ინციდენტების აღბათობა, რამაც შეიძლება პრობლემები გამოიწვიოს (OECD, 2018 [77]), ხოლო ბლოკჩეინი ხასიათდება ენერჯის მაღალი მოხმარებით, მაღალი ხარჯებით და მაღალი რისკებით (გოლოსოვა და რომანოვი, 2018 [123]). გარდა ამისა, ვინაიდან ამ ტექნოლოგიების სხვადასხვა შესაძლო ზეგავლენა ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი, საერთაშორისო საზოგადოებას არ გააჩნია მარეგულირებელი პრინციპების საერთო წყება, რაც აუცილებელია მათი ეფექტური გამოყენებისთვის ქვეყნებს შორის განხორციელებულ ისეთ ოპერაციებში, როგორცაა მიწოდების ჯაჭვი. მიუხედავად ამისა, პოლიტიკის შემქმნელები ინფორმირებულები უნდა იყვნენ ამ კუთხით უახლესი მოვლენების თაობაზე, რათა შეძლონ სწრაფად რეაგირება მუდმივად ცვლად პირობებზე.

*მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სააგენტოების უპირველესი ამოცანაა მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების მხარდაჭერა*

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული ფირმები ნამდვილად იღებენ გარკვეულ მხარდაჭერას გაციფრულების სფეროში, მაგრამ როგორც ჩანს, ამ ინიციატივებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები ახორციელებენ. ეს განსაკუთრებით ეხება იმ რამდენიმე სერვისს, რომლებიც გამიზნულია იმ "ტრადიციული" მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე, რომლებსაც სურთ გაციფრულება. ამრიგად, ამ ბიზნესებს დასჭირდებათ „ციფრული ერთი ფანჯრის“ სისტემა, ანუ ერთი საკონტაქტო სააგენტო, სადაც მათ შეეძლება ინფორმაციის, რჩევებისა და სხვადასხვა რესურსების მოძიება გაციფრულების შესახებ. „აწარმოე საქართველოს“ გააჩნია ყველა შესაძლებლობა ამ როლის ქმედითად შესასრულებლად, რადგან სააგენტო ისედაც ხელმძღვანელობს მცირე და საშუალო საწარმოების ზოგად მხარდაჭერაზე მიმართულ ძალისხმევას, და სხვადასხვა სექტორის ფირმების მხარდაჭერის

დიდი გამოცდილება გააჩნია. გარდა ამისა, იგი მსოფლიო ბანკთან ერთობლივად მუშაობდა მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობაზე მიმართული ზომების შემუშავებაზე ახლახან დაწყებული ხუთწლიანი პროექტის, საქართველოს *მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და ადგენის პროექტის ფარგლებში*.

არჩეულ სააგენტოს დასჭირდება ძლიერი მანდატი გაციფრულების ინიციატივების წარმართვის მიზნით. ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოადგენდეს ცალკე სამუშაო ნაკადს არჩეული სააგენტოსთვის, და ამ მიზნით შეიძლება მოხდეს ცალე ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფა და ადვილად იდენტიფიცირებადი პოლიტიკის დოკუმენტების და გარე საკომუნიკაციო მასალების შემუშავება, როგორცაა სამთავრობო ვებსაიტები. ამ ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისები შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სექტორის ციფრული სიმწიფის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასებას, მაგ. მოცემული ინდუსტრიის ფირმებს შორის გამოკითხვების ჩატარების მეშვეობით. ეს საშუალებას მისცემს აღირიცხოს როგორც ციფრული ცნობიერების დონე, ასევე ციფრული ტექნოლოგიების ათვისება, რაც თავის მხრივ სექტორების მიხედვით ბიზნეს პრაქტიკის შესახებ მონაცემთა შეგროვებას და მიღწეული პროგრესის მონიტორინგს შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, სააგენტოს შეუძლია შესთავაზოს ხელმისაწვდომი ფინანსური და არაფინანსური სერვისების ჩამონათვალი (იხ. ქვემოთ) და უზრუნველყოს რესურსებისა და დაინტერესებული მხარეების კოორდინაცია. ეს ხელს შეუწყობს ციფრულ ტრანსფორმაციაში ჩართული მხარეების როლის უფრო მკაფიოდ განსაზღვრას, გაზრდის პროგრამების წვდომის არეალს, და საბოლოო ჯამში, გაზრდის შესაბამისი საჯარო პოლიტიკის ეფექტურობას.

## **მიზანი 2: სხვა ჩარხო პირობების გაუმჯობესება**

*უფრო მაღალი ხარისხის ფართოზოლოვანი კავშირის უზრუნველყოფა უფრო დაბალ ფასებში*

NBDS-ი ითვალისწინებს ღონისძიებების ფართო სპექტრს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით კი, ქალაქსა და სოფლებს შორის ციფრული გამყოფის შესამცირებლად, რაც გასული წლების განმავლობაში მიღწეული გაუმჯობესების მიუხედავად კვლავ პრობლემად რჩება საქართველოში. ადგილობრივი ფართოზოლოვანი კავშირის სიჩქარისა და ხელმისაწვდომობის, განსაკუთრებით კი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის შემდგომი გაუმჯობესების, და მათი OECD-ის დონეებთან დაახლოების მიზნით, მთავრობამ შეიძლება განიხილოს შემდეგი ზომების გატარების მიზანშეწონილობა:

- **კონკურენციის, ინვესტიციების და ინოვაციების ხელშეწყობა:** გარდა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოყენებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონის პროექტის მიღებისა, რამდენიმე ღონისძიებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კონკურენციას და, საბოლოო ჯამში, უფრო სწრაფ ინტერნეტ კავშირს დაბალ ფასებში. საქართველოს შეუძლია გააუმჯობესოს დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგი ამ საკითხებზე სამთავრობო ორგანოებს, ქსელის ოპერატორებს, მარეგულირებელ ორგანოებს და მომხმარებლებს შორის კონსულტაციების გზით, რათა უზრუნველყოს, რომ ზომები და რეგულაციები სათანადოდ არის გაგებული და მიღებული, და ყველა მხარის შეხედულებებია გათვალისწინებული. ეს ხელს შეუწყობს შემოთავაზებული მიდგომებისადმი მიმდებლობას და თავიდან აიცილებს ისეთ კონფლიქტებს,

რომელსაც მაგალითად, ადგილი ჰქონდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ. გარდა ამისა, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოების პერიოდული მიმოხილვა ხელს შეუწყობს საღი ჩარჩოს მიღებას და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების შეტანას/გაუმჯობესებას (OECD, 2021<sup>[124]</sup>).

- **მოთხოვნის მხარის გაძლიერება:** NBDS-ის ფარგლებში დაიგეგმა ზომები მოთხოვნის მხარის მხარდასაჭერად ციფრული წიგნიერების გაზრდის გზით. ეს დებულებები შეიძლება შეივსოს მომხმარებელთა უფლებებისა და არჩევანის პატივისცემის უზრუნველყოფაზე მიმართული ღონისძიებებით, მაგ. ინფორმაციის ასიმეტრიის აღმოფხვრის გზით. უკრაინა საინტერესო მაგალითს გვთავაზობს ამ კუთხით. კერძოდ, ქვეყანაში დაინერგა რამდენიმე ინსტრუმენტი მოქალაქეების ცოდნის ასამაღლებლად ფართოზოლოვანი სერვისებისა და ხარისხის შესახებ, როგორცაა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ინტერაქტიული რუკა და უფასო ონლაინ სიჩქარის ტესტი მოქალაქეებისთვის ინტერნეტ კავშირის ხარისხის შესაფასებლად. გარდა ამისა, სერვისის ხარისხის, მათ შორის ქსელის გათიშვის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მისი გასაჯაროება ეხმარება არამარტო მომხმარებელთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას, არამედ ასევე ხელს უწყობს ქსელის გაუმჯობესებას. კიდევ ერთი შესაძლო პოლიტიკა გულისხმობს მომხმარებელსა და ინტერნეტ პროვაიდერს შორის კონფლიქტის შემთხვევაში დავების გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმების უზრუნველყოფას.

*მარეგულირებელი ჩარჩოს ჰარმონიზაცია ევროკავშირის სტანდარტებთან, უფრო მეტი თავსებადობის და თანამშრომლობის ხელშესაწყობად ევროკავშირის ბაზარზე*

საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირობების შესაქმნელად, სადაც მოქალაქეებს და ბიზნესებს შეუძლიათ მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული ციფრული ინსტრუმენტები და სათანადოდ იყონ დაცული ციფრული საფრთხეებისგან, დარღვევებისგან და პერსონალური მონაცემების გაჟონვისგან. ამ მიზნით საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი:

- **საკანონმდებლო ბაზის მიღება, რომელიც არეგულირებს ელექტრონული კომერციის პრაქტიკას და ხელს უწყობს მომხმარებელთა დაცვის გაძლიერებას,** როგორც ამას ასოცირების შეთანხმება მოითხოვს. ეს უკანასკნელი მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფას ევროკავშირის ელექტრონული კომერციის დირექტივასთან, DCFTA-ს მოთხოვნებთან და ევროკავშირის 2021 წლის ელექტრონული კომერციის შესახებ ახალ პაკეტთან, მაგ. საბაჟო დეკლარაციისა და მომხმარებელთა დაცვის შესახებ, რაც ერთ-ერთი მთავარი საკითხია ტრანსსასაზღვრო ტრანზაქციებისთვის (EU4Digital, 2021<sup>[105]</sup>). კანონი უნდა შეიცავდეს დებულებებს ელექტრონულ გადახდებთან დაკავშირებით, მაგ. რათა უზრუნველყოფილი იყოს გადახდების უსაფრთხოება და ტრანზაქციების ზედმეტად მაღალი ღირებულების დადგენის შესაძლებლობის შეზღუდვა. რეგულაცია გაათანაბრებს პირობებს, და გააუმჯობესებს მათ როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე ბიზნესისთვის.
- **ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტების გათანაბრება** ევროკავშირის eIDAS-ის რეგულაციასთან და ამ მოთხოვნების ჰარმონიზაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან.

*ციფრული უსაფრთხოების გაძლიერება ციფრული ეკონომიკისადმი ნდობის გასამყარებლად*

არსებული პოლიტიკის ჩარჩოზე დაყრდნობით, საქართველოს შეუძლია კიდევ უფრო გააუმჯობესოს თავისი მოქალაქეების ნდობა ციფრული ეკონომიკის მიმართ შემდეგი

ზომების გათვალისწინებით მესამე ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის მომზადებისას:

- **ციფრული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩარჩოს გაუმჯობესება:** საქართველოს შეუძლია გააუმჯობესოს გამოვლენისა და რეაგირების შესაძლებლობები არსებული CERT cert.gov.ge-ს მეტი პრეროგატივებით, და ადამიანური და ფინანსური რესურსებით აღჭურვის გზით. სტრუქტურის ვებსაიტი შეიძლება გაუმჯობესდეს და გახდეს პლატფორმა ციფრული რისკების და უახლესი ტენდენციების შესახებ ინფორმაციის გასაზიარებლად და პრევენციული ზომების შესახებ რჩევების მისაწოდებლად, რითაც იგი ცენტრალიზებული საინფორმაციო პლატფორმა გახდება და ხელს შეუწყობს ადამიანების და ფირმების ცნობიერების ამაღლებას. იგივე ონლაინ პლატფორმა შეიძლება ითვალისწინებდეს ვიზიტორების მიერ ინციდენტების შესახებ შეტყობინების შესაძლებლობას. ციფრული უსაფრთხოების ინციდენტების მონიტორინგი შეიძლება გაუმჯობესდეს, რათა შესაძლებელი იყოს უფრო ზუსტი ანალიზი და ადაპტირებული რეაგირება, რომელიც მორგებულია თავდასხმების ყველაზე ხშირ ტიპებზე.
- **ციფრული უსაფრთხოების ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობა:** ერთობლივი ღონისძიებები, როგორც ჩანს, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ინდიკატორია GCI 2020-ში. მიუხედავად ამისა, ციფრული უსაფრთხოების მრავალმხრივი ეკოსისტემის არსებობა ციფრული უსაფრთხოების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. ასეთმა თანამშრომლობამ შეიძლება ხელი შეუწყოს კონკრეტული სექტორისთვის შესაბამის პარტნიორობას, და/ან პარტნიორობას ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებთან, რათა გაზარდოს გამოვლენისა და რეაგირების შესაძლებლობები (OECD, 2020<sup>[125]</sup>).
- **კომპანიების ცნობიერების ამაღლების ინიციატივების გაძლიერება,** განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის, მათზე მორგებული ტრენინგების საშუალებით, რათა ისინი ინფორმირებულნი იყვნენ სხვადასხვა რისკების შესახებ და შეძლონ მათი მინიმუმამდე დაყვანა კარგი პრაქტიკის დანერგვით; ასევე, საჭიროა მათთვის ამ რისკებზე რეაგირების გზების სწავლება და ნდობის ამაღლება ონლაინ ტექნოლოგიების მიმართ. უფრო ზოგადად, მოსახლეობა მომზადებული უნდა იყოს ციფრული უსაფრთხოების საკითხებში, რაც ციფრული წიგნიერების ტრენინგების ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს. ჩანართი 2.4 ამ კუთხით კარგი პრაქტიკის რამდენიმე მაგალითს სთავაზობს.
- **ციფრული უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზაზე მუშაობის დასრულება:** არსებული კანონმდებლობა შეიძლება გადაისინჯოს მისი GDPR-ის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საკანონმდებლო ბაზას შეუძლია ფირმების სტიმულირება, რათა მათ დანერგონ რისკის მართვის მიდგომა. რაც შეეხება მონაცემთა დაცვას, ცვლილებები უნდა ითვალისწინებდნენ ერთჯერადობის პრინციპს, განსაზღვრავდნენ მონაცემთა გაზიარებასა და ხელახალ გამოყენებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, და ითვალისწინებდნენ მონაცემთა დარღვევის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას.

## ჩანართი 2.4. ინსტრუმენტების წყება ციფრული უსაფრთხოების პოლიტიკისთვის

### ანგარიშგების ხელშეწყობა: დანიის ანგარიშგების ერთიანი ციფრული პორტალი

დანიის 2018-2021 წლების კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგიის ფარგლებში დანიის ხელისუფლებამ შექმნა ანგარიშგების ერთიანი ციფრული პორტალი, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესს და ხელისუფლებას მარტივად და სწრაფად შეატყობინონ უსაფრთხოების ინციდენტების თაობაზე და მიიღონ განახლებული ინფორმაცია მათზე რეაგირების და სამომავლო საფრთხეების თავიდან აცილებაზე მიმართული ქმედებების თაობაზე. ამ მხრივ რამდენიმე სახელმძღვანელოა ხელმისაწვდომი. ანგარიშგების ეს ინსტრუმენტი ინტეგრირებულია virk.dk-ზე, ქვეყნის ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე პორტალზე, რომელიც ბიზნესისთვის ხელმისაწვდომ ყველა ელექტრონული მმართველობის სერვისს აერთიანებს, რაც მომხმარებლებს უადვილებს ინფორმაციის მოძიებას და მასზე წვდომას.

### ცნობიერების ამაღლება: მექსიკის კიბერუსაფრთხოება

მექსიკის ფედერალურმა მთავრობამ 2017 წლიდან გააძლიერა ცნობიერების ამაღლების ინიციატივები ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის ფარგლებში. ამ მიზნით ფედერალურმა პოლიციამ განახორციელა ეროვნული პრევენციის კამპანია „კიბერუსაფრთხოება მექსიკაში“, რომელმაც 680 000 მოქალაქე მოიცვა და შექმნა 48 მილიონზე მეტ ინტერაქციას შეუწყო ხელი სოციალურ მედიაში. გარდა ამისა, კიბერუსაფრთხოების ეროვნული კვირეული 2015 წლიდან იმართება ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით.

### განათლება და ტრენინგი: კორეის ინტერნეტ უსაფრთხოების სააგენტო (KISA)

KISA, რომელიც 2009 წელს დაარსდა, გთავაზობთ ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ საგანმანათლებლო და პროფესიულ ტრენინგ პროგრამას ინტერნეტის უსაფრთხოების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით. სააგენტო ატარებს ტრენინგებს, რათა ხელი შეუწყოს უსაფრთხოების ექსპერტების ფორმირებას, რომლებსაც შეუძლიათ მყისიერად უპასუხონ კიბერშეტევებს, უზრუნველყონ კომპანიებისთვის საჭირო დაცვა კონკრეტული ინდუსტრიული სექტორისთვის დამახასიათებელი საფრთხეებიდან გამომდინარე და გააძლიერონ რეაგირების შესაძლებლობები. შემდეგ ამ უნარების სერტიფიცირება ხდება ინფორმაციული უსაფრთხოების ეროვნული ტექნიკური საკვალიფიკაციო ტესტის მეშვეობით. ინფორმაციული უსაფრთხოების სამუშაო ძალის შესაქმნელად, პროგრამა მხარს უჭერს საბაკალავრო და სამაგისტრო საუნივერსიტეტო კურსებს, სადაც ამ სფეროს მომავალი სპეციალისტების ჩამოყალიბება ხდება, და აწყობს ჰაკერული თავდაცვის კონკურსებს შემდეგი თაობის ექსპერტების აღმოსაჩენად. KISA ასევე ატარებს სემინარებს კიბერუსაფრთხოების საკითხებზე მცირე და საშუალო კომპანიების თანამშრომლებისთვის და სკოლის სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, როგორც გლობალური პროექტის ნაწილი, KISA ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას კიბერ საფრთხეებთან ბრძოლაში, სთავაზობს ტრენინგებს სხვა ქვეყნებისთვის ინციდენტებზე რეაგირებისა და სპეციალური პოლიტიკის მიღებაზე მათგან შესაბამისი მოწვევის საფუძველზე.

წყარო: (OECD, 2021<sup>[81]</sup>), (The Danish Government. Ministry of Finance, 2017<sup>[32]</sup>), (Council of Europe, 2020<sup>[33]</sup>) and (KISA. Korea Internet and Security Agency, 2021<sup>[34]</sup>).

### ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობა

საქართველომ უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები ციფრული უნარების განვითარების ხელშესაწყობად განათლების ყველა საფეხურზე და გაითვალისწინა დამატებითი ღონისძიებები NBDS-ში, 2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიან

სტრატეგიაში და 2021-2025 წლების პროფესიული განათლების სტრატეგიაში. წინამდებარე ანგარიშის პირველ ნაწილში მოწოდებული რეკომენდაციებისა და კარგი პრაქტიკის მაგალითების გარდა, მთავრობას შეუძლია განიხილოს შემდეგი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა შრომის ბაზარზე არსებული ციფრული უნარების თვალსაზრისით არსებული ხარვეზებისა და უნარების შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად:


- **რეგულარულად შეაფასოს ციფრული უნარ-ჩვევების თვალსაზრისით არსებული საჭიროებები:** იმისათვის, რომ ტრენინგები მოერგოს ბაზრის საჭიროებებს და უზრუნველყოს მონაწილეთა დასაქმების შესაძლებლობა, საქართველომ რეგულარულად უნდა აწარმოოს ციფრული უნარების საჭიროებების შეფასება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის სააგენტოს, მას შემდეგ, რაც იგი განისაზღვრება, როგორც გაციფრულების მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე სააგენტო, შეიძლება დაეკისროს ამ ამოცანის განხორციელების პასუხისმგებლობა. ეს შეიძლება გაკეთდეს „აწარმოე საქართველოს“ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტრენინგის საჭიროებების ანალიზის სფეროში, რადგანაც სააგენტომ ევროპის სასწავლო ფონდის მხარდაჭერით, დამსაქმებელთა რამდენიმე რაოდენობრივი და ხარისხობრივი გამოკითხვა განხორციელა გასული წლების განმავლობაში.
- **გააუმჯობესოს მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციები,** რადგან ზემოაღნიშნული SELFIE შეფასების შედეგად, ეს გამოვლინდა როგორც ერთ-ერთი მთავარი ნაკლოვანება.
- **ხელმისაწვდომი ტრენინგების შესახებ ცნობიერების ამაღლება ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე პორტალის საშუალებით:** მოქალაქეებისა და ფირმების ციფრულ უნარებში მომზადების მიმდინარე ინიციატივებს სხვადასხვა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სააგენტოები, ბიზნეს ასოციაციები და კომპანიები ახორციელებენ. მათი შეკრება ერთ ადგილზე, ე.ი. სამთავრობო ვებსაიტზე, ხელს შეუწყობს ბენეფიციარების უკეთეს მოცვას. ასეთი ონლაინ პლატფორმა ასევე საშუალებას მისცემს მონაწილეებს მიაწოდონ უკუკავშირი ტრენინგების ხარისხზე და შეძენილ უნარებზე.
- **ხელი შეუწყოს ეკოსისტემის განვითარებას კოორდინირებული მიდგომის გამოყენებით:** შეიძლება შემუშავდეს ერთიანი რუკა, სადაც წარმოდგენილი იქნება მრავალი დაინტერესებული მხარე, რომლებიც გარკვეულ ქმედებებს ახორციელებენ ციფრული წიგნიერების პოლიტიკაზე დაყრდნობით, როგორცაა ინდუსტრიის წარმომადგენლები, შუამავლები (კლასტერები, ბიზნეს ასოციაციები და ა.შ.) და განათლების პროვაიდერები, და ხელი უნდა შეეწყოს მათ შორის კავშირების გაძლიერებას. ეს ხელს შეუწყობს ინიციატივებს შორის მეტ კოორდინაციას, და საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, კერძოდ კი, სასწავლო კურსების შემუშავების მიზნით, და რესურსების გაზიარებას სექტორების შიგნით, და სხვადასხვა სექტორებს შორის.
- **განხორციელებული პოლიტიკისა და პროგრამების გავლენის მონიტორინგი და შეფასება:** ახლახან მიღებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს GCCI-ის მიერ ტრენინგების ჩატარებას ციფრული უნარების სფეროში. OECD-ის რეკომენდაციით, ამ ტრენინგების ეფექტურობის შესაფასებლად ზემოქმედების ინდიკატორები იქნა ჩართული ლოგიკურ ჩარჩოში. ასეთი შეფასებები რეგულარულად უნდა განხორციელდეს და ეს მოთხოვნა ყველა მსგავს ინიციატივაზე უნდა გავრცელდეს მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამების შემუშავების უზრუნველსაყოფად. მათ ასევე შეუძლიათ დაეხმარონ სერტიფიცირების მექანიზმების დანერგვას, როგორც ეს შემოთავაზებულია 1-ელ ნაწილში (ჩანართი 1.2).

**მე-3 მიზანი: არა-ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორების გაციფრულების ყოვლისმომცველი მხარდაჭერის ინიციატივების შემუშავება**

და ბოლოს, საქართველომ უნდა შეიმუშაოს მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების ყოვლისმომცველი გეგმა, რომელიც ინოვაციებისა და IT სექტორის ფარგლებს გასცდება. GITA-ს მიერ ინოვაციური სტარტაპებისა და ციფრული ფირმებისთვის გაწეული არსებითი მხარდაჭერა, რომელმაც ნაყოფი გამოიღო და წარმატებული ციფრული კომპანიების გაჩენა შეუწყო ხელი, უნდა გაფართოვდეს და გავრცელდეს „ტრადიციული“ ფირმებისთვის ყოვლისმომცველი მხარდაჭერის ზომების შემუშავებაზე, რათა ამ უკანასკნელებმა სარგებელი მიიღონ ციფრული ტრანსფორმაციისგან. ამ მიზნით, გაციფრულების მხარდაჭერაზე პასუხისმგებელმა ერთი-ფანჯრის პრინციპით მომუშავე სააგენტომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი: (i) გაზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის ცნობიერება შესაძლებლობებისა და გაციფრულების უპირატესობების შესახებ, რათა დაძლიოს მცირე და საშუალო ბიზნესის ცოდნისა და ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა; (ii) დახმარება გაუწიოს ფორმებს მათი ციფრული სიმწიფის შეფასებისას და მათი საჭიროებების განსაზღვრისას; (iii) შესთავაზოს არაფინანსური გადაწყვეტილებების სპექტრი, რომლებიც შეიძლება მორგებული იყოს ფირმის საჭიროებებზე, დიაგნოსტიკების შედეგებიდან გამომდინარე; (iv) დაწეროს ფინანსური ინსტრუმენტები მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ციფრული ტექნოლოგიების ათვისების მხარდასაჭერად; და (v) ხელი შეუწყოს ციფრული ტრანსფორმაციის ეკოსისტემის ეფექტურ განვითარებას.

დიაგრამა 2.14, რომელიც შედგენილია OECD-ის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, წარმოადგენს „რეცეპტს“ პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავებისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე რეაგირებისა და მათი ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის მიზნით.

**დიაგრამა 2.14. „რეცეპტი“ პოლიტიკის შემქმნელებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარების მიზნით**



წყარო: OECD-ს ანალიზი

*გაციფრულების უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ციფრული კულტურის ჩამოყალიბება მცირე და საშუალო საწარმოებში*

ცნობიერების ამაღლება არის პირველი ნაბიჯი მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულებისკენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მცირე და საშუალო ბიზნესის ცოდნის ნაკლებობა ციფრული ტექნოლოგიების და მათი სარგებლობის შესახებ არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც აძლიერებს უფსკრული მათსა და დიდ ფირმებს შორის. ისინი ხშირად ხედავენ გაციფრულებას, როგორც ხარჯებთან დაკავშირებულ ფაქტორს და არა როგორც შესაძლებლობას. ციფრულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელმა ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე სააგენტომ უნდა განახორციელოს ინიციატივები ამ პრობლემის დასაძლევად. ეს შეიძლება იყოს საექსპერტო ვებინარები, სემინარები, სპეციალური ღონისძიებები, რომელშიც წარმოდგენილია ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებული მაგალითები, სხვადასხვა სექტორში, და/ან ერთ კონკრეტულ ტექნოლოგიაზე ორიენტირებით. ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს მატერიალური გადაწყვეტილებები, როგორცაა სასწავლო პლატფორმები და სახელმძღვანელოები. მაგალითად, ფინეთმა წარმატებით დანერგა ასეთი ინსტრუმენტების ფართო სპექტრი (ჩანართი 2.5).



## ჩანართი 2.5. მეწარმეებს შორის გაციფრულების უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლება: ფინეთის საწარმოთა ფედერაციის (FFE) მაგალითი

FFE არის ფინეთის უმსხვილესი ბიზნეს ასოციაცია, რომელიც 115 000-ზე მეტ ფინურ საწარმოს აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ ასოციაციებში და მიზნად ისახავს სამეწარმეო პირობების გაუმჯობესებას.

ფინეთი ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ქვეყანაა მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების თვალსაზრისით, რადგან ქვეყნის მცირე და საშუალო ბიზნესის დაახლოებით 80% ყოველდღიურად იყენებს ძირითად ციფრულ ინსტრუმენტებს. მცირე და მსხვილ ფირმებს შორის სხვაობა მაინც საგრძნობია, როდესაც საქმე უფრო მოწინავე ტექნოლოგიებსა და პროცესების გაციფრულებას ეხება. აქედან გამომდინარე, FFE-მ განახორციელა რიგი მხარდაჭერის ღონისძიებები ბიზნესების ცნობიერების ასამაღლებლად იმ შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც ციფრულმა ინსტრუმენტებმა და ტექნოლოგიებმა შეიძლება მოიტანონ, რაც შემდეგს მოიცავდა:

- *მეწარმეთა ციფრული სკოლა*, როგორც აღნიშნულია ჩანართში 1.2, ღონისძიებების ყოველწლიური სერიის ფარგლებში, რომლებიც ტარდება მთავარ ქალაქებში, განხილულია პრაქტიკული მაგალითები და დაგეგმილია კოლეგა ორგანიზაციების მხრიდან მოტივაციური სწავლების აქტივობები, და ეს ღონისძიებები გამიზნულია მცირე ბიზნესის მფლობელებზე, რომლებმაც ახლახან დაიწყეს გაციფრულების პროცესი;
- ვებინარები, რომლებიც ასევე გამიზნულია მცირე და საშუალო ბიზნესზე, მიზნად ისახავენ შედარებით დაბალ ფასად ადვილად ხელმისაწვდომი ტრენინგების უზრუნველყოფას ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ;
- *მეწარმეთა ციფრული სახელმძღვანელო* არის ონლაინ ფორმატში მომზადებული უფასო სახელმძღვანელო ბიზნესის გაციფრულების პროცესის სხვადასხვა ასპექტებზე. სახელმძღვანელო თემატურად დაკავშირებულია პლატფორმასთან, რომელიც გაციფრულებაში დაინტერესებულ მცირე და საშუალო საწარმოებს და ციფრული სერვისის პროვაიდერებს ფინეთში;
- *მეწარმის GDPR სახელმძღვანელო* ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის მოთხოვნების შესრულებაში;
- *მეწარმის მედია* არის ბეჭდური და ციფრული მედია საშუალება, რომელიც ყოველდღიურად მცირე ბიზნესის მფლობელების დიდი რაოდენობის მოცვის, ინფორმირების და შთაგონების საშუალებას იძლევა უახლესი ციფრული განვითარებისა და ციფრული ინსტრუმენტების პოტენციური აპლიკაციების შესახებ.

წყარო: (SMEunited, 2019<sup>[126]</sup>), (OECD, 2021<sup>[36]</sup>) and (Suomen Yrittäjät, 2021<sup>[37]</sup>).

*ფირმებისთვის საშუალების მიცემა განახორციელონ თავიანთი ციფრული სიმწიფის დიაგნოსტიკა და საჭიროებების შეფასება*

მცირე და საშუალო ბიზნესის ცნობიერების ამაღლების და იმავდროულად, მათ საჭიროებებზე მორგებით მხარდაჭერის შეთავაზების კიდევ ერთი გზა არის მათთვის დახმარების გაწევა გაციფრულების თვალსაზრისით მათი მდგომარეობის დიაგნოსტიკაში. ამ მიზნით შეიძლება რამდენიმე ინსტრუმენტის დანერგვა:

- **ციფრული თვითშეფასების ინსტრუმენტი:** OECD-ის ბევრმა ქვეყანამ, როგორცაა ავსტრია, საფრანგეთი და ლუქსემბურგი (ციტირებული ჩანართში 1.2), შემოიღო

ონლაინ კითხვარები, რომლებიც კომპანიებს შეუძლიათ შეავსონ მოკლე დროში, რათა შეაფასონ რამდენად არიან ციფრულად მომწიფებულები. ასეთი ტესტი შეიძლება შეიცავდეს კითხვებს ტრადიციული ტექნოლოგიების მიღებასთან დაკავშირებით, როგორცაა CRM, SCM, სოციალური მედია და ა.შ., მაგრამ ასევე შეიძლება შეიცავდეს ნაწილს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ სექტორში არსებულ ტენდენციებზე. ტესტის დასრულების შემდეგ, პლატფორმას შეუძლია გაციფრულების პროცენტული მაჩვენებლის გენერირება, და ასევე საწყისი რეკომენდაციების შეთავაზება სამომავლო ზომების შესახებ. ეს ინსტრუმენტი არა მხოლოდ საშუალებას აძლევს მეწარმეებს შეაფასონ საკუთარი თავი და გაეცნონ მათი სექტორისთვის ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებს, არამედ იგი ასევე მიღებული შედეგების მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების შესახებ ანონიმური მონაცემების შეგროვების შესაძლებლობას იძლევა, რაც უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების საშუალებას იძლევა.

- **საკონსულტაციო მომსახურება** სპეციალიზებულ კონსულტანტთან შეხვედრის ფორმით: გაციფრულების ექსპერტებთან კონსულტაციები შეიძლება დაინერგოს დამოუკიდებლად, ან თვითშეფასების ინსტრუმენტის დამატების სახით. მეორე შემთხვევაში, მეწარმეს შეუძლია დაჯავშნოს შეხვედრა სპეციალიზებულ კონსულტანტთან: ამ უკანასკნელს შეუძლია დაეხმაროს მას კითხვარის შევსებაში, მეტი ახსნა-განმარტებები მისცეს კითხვებთან დაკავშირებით, და შემდეგ განიხილოს მეწარმესთან ერთად კითხვარის შედეგები და სამომავლო ქმედებები, რაც უფრო მეტი განმარტების, გაზიარების და უკეთ მორგებული რეკომენდაციების მიცემის საშუალებას იძლევა. ავსტრიული ინიციატივა KMU Digital ამ მხრივ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს (იხ. ჩანართი 2.6).
